ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
16
მარტი
№11 (2739)
გამოცემის 58-ე წელი
1990

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთაწმინდა

მურმან ჩაჩუას ფოტო

## გავხდეთ მიმტევებელნი!

გთხოვთ ყურად იღოთ საქართველოს მხედრიონის კეთილშობილური წინადადება — ეროვნული ერთიანობისა და ურთიერთმიტევების დღის შესახებ. ყველა კარგად გრძნობს საქართველოში დღევანდელი დღის სირთულეს. ქართველი ერის მომავალს განსაზღვრავს იგბალი — შეძლებს თუ არა იგი ნამდვილ შინაგან სულიერ ერთიანობას.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ დეკლარაციებითა და მოწოდებებით ასეთი ერთიანობა არ მიიღწევა. მაგრამ ვერც ერთი მოქალაქე, ვერც ერთი ქართველი, ვისაც გული შესტკივა თავის სამშობლოს ბედზე, გულგრილი ვერ დარჩება ამ საერთო საზოგადოებრივი სანუხარის მიმართ. ყველა შემთხვევაში, რაოდენ მცირე შედეგებსაც არ უნდა მოველოდეთ ამჟამად, ყველა ქართველი ვალდებულია ერის წინაშე — ერთიანობისათვის ბრძოლა დავიწყოთ ჩვენი თავიდან. ქრისტიანული წესით ეს მიიღწევა მონანიება-მიტევების გზით. ყველამ, ვინც კი პირჯვარს გადაიწერა იცის, იცის, რომ უცოდველი კაცი ქვეყანაზე არ დადის; ყველას მეტ-ნაკლები ცოდვა მიგვიძღვის ღმერთისა და ერის წინაშე. აბსოლუტურად უცოდველი მხოლოდ ზეციურ დასს ეკუთვნის. მოვინანიოთ ჩვენი წინაპრების ცოდვა, რაზედაც გოდებდა დავით გურამიშვილი; მოვინანიოთ ჩვენივე გულფიცხობა, ამბიციურობა, ერთმანეთის განკითხვით გატაცება, ღრმად აღვბეჭდოთ გულში მაცხოვრის სიტყვები: „ნუ განიკითხავთ, რაითა არა განიკითხნეთ; და ნუ დასჯით, რაითა არა დაისაჯნეთ, მიუტევეთ, რაითა მოგეტევნენ“ (ლუკა 6,37).

ჩვენი თხოვნაა, მოწოდებაა, ა/წ 19 მარტს, 12 საათზე მივიდეთ სიონის საკათედრო ტაძართან, ცხადია, ეს არ არის საეკლესიო რიტუალი. ეს არის ეროვნული დაფიცების დღე, გავხდეთ შემწყნარებელნი, მიმტევებელნი, დაე გრძნობდეს მტერი ჩვენს ნამდვილ ერთიანობას. თუ მღვდელმთავრობა ინებებს და გვიკურთხებს ამ ეროვნული ერთიანობის ტკივილსა და ოცნებას, კიდევ ერთხელ მადლს შევწირავთ ღმერთს. ეს კიდევ უფრო შეამზადებს მრევლს — განიმსჭვალოს მართლმადიდებელი ეკლესიის წეს-აღმსარებლობისადმი ჭეშმარიტი მორწმუნის სულით.

დღეს ვის შეუძლია უდავო ჭეშმარიტების პოვნა. არც ეს დეკლარაცია იქნება უდავო. მაგრამ, მოდით, ნუ ვიდავებთ, რათა ვძლიოთ სატანას. მოვინდომოთ ყველამ, დავუთმოთ ერთმანეთს, რათა საქართველო არ იყოს დაქსაქსული ეგოისტურ ერთეულებად, დაპირისპირებულ სოციალურ ფენებად. ჩვენი უზენაესი საფიცარია ღმერთი და საქართველო. გთხოვთ, ნუ ვიქნებით ნიჰილისტები, ნუ მივეცემით „მაინც არაფერი გამოვა“ ფილოსოფიას. ვინც გრძნობს ჩვენი საზოგადოების ახლანდელ განწყობილებას, დაგვერწმუნება, რომ სამძიმო ვითარება მომწიფდა. ჩვენ გვჯერა, რომ მთელი ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, მშრომელი ხალხი მხარს დაგვიჭერს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

მხედრიონი, კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტია, უნივერსიტეტის პრეს-კლუბი, თბილისის უნივერსიტეტი, გეოფიზიკის ინსტიტუტი, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება, დემოკრატიული პარტია, ქრისტიანულ-დემოკრატთა კავშირი, მწერალთა კავშირი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რუსთაველის საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპუტატობის კანდიდატები



## გურამ ფანჯიკიძე

გურამ ივანეს ძე ფანჯიკიძე დაიბადა თბილისში, 1933 წელს. მისი მამა ივანე ფანჯიკიძე, შემდგომში რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ყირიმის ბრძოლების მონაწილე, გარდაიცვალა 1989 წელს. დედა, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, თამარ ფანჯიკიძე ამჟამად პენსიონერია. ძმა თეიმურაზი თბილისის უნივერსიტეტის დოცენტია.

გ. ფანჯიკიძემ 1951 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-6 სკოლა ოქროს მედალზე. 1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შავი ლითონების მეტალურგიის ფაკულტეტი. მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის შავი ლითონების მეტალურგიის კათედრაზე, ინსტიტუტის გაზეთის რედაქტორად.

კენჭს იყრის ქ. ქუთაისის უქიმერიონის (№ 191) საარჩევნო ოლქში. იგი დეპუტატობის კანდიდატად აგრეთვე დაასახელეს საქართველოს მშვიდობის საბჭოსთან არსებულმა მეცნიერთა ასოციაციამ, წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ და თბილისის ლენინის რაიონის ელმავალმშენებელი ქარხნის კულტურის სახლმა.

ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა 1958 წლიდან. მისი რომანები და მოთხრობები თარგმნილია ინგლისურად, ესპანურად, ჩეხურად, უნგრულად, ბულგარულად, ფინურად, ვიეტნამურად, მონღოლურად, საბჭოთა რესპუბლიკების თითქმის ყველა ენაზე. 1983 წელს, ჩეხოსლოვაკიაში ჩეხურ ენაზე გამოცემული „აქტიური მზის წელიწადი“ აღიარეს წლის საუკეთესო რომანად. გ. ფანჯიკიძის რომანების მიხედვით შექმნილია კინო-ფილმები და სპექტაკლები. ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მწერლის პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, აგრეთვე მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევებს და სპორტზე დაწერილ სტატიებს.

მინიჭებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის, საქართველოს სსრ სახელმწიფო და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიები. წლის საუკეთესო პუბლიცისტური წერილებისათვის სამჯერ მიენიჭა საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია.

გ. ფანჯიკიძე არის სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოების თავმჯდომარე, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიწების დატაცების შემსწავლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სპორტის პროპაგანდის ფედერაციის თავმჯდომარე. გ. ფანჯიკიძე არის აგრეთვე საქართველოს ანექსიის შემსწავლელი კომისიის, საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემმუშავებელი კომისიის, რესპუბლიკის ეკოლოგიური კომისიის, გამსახკომისა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ კოლეგიების წევრი.

გ. ფანჯიკიძის მეუღლე დალი ფანჯიკიძე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, გერმანულენოვანი ლიტერატურის მთარგმნელი, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი.

ჰყავს სამი შვილი. უფროსმა ქალიშვილმა მაია ფანჯიკიძემ იენის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია და მუშაობს თბილისის უნივერსიტეტში, ვაჟიშვილი ლაშა ფანჯიკიძე მოქანდაკე-დიზაინერია, უმცროსი ქალიშვილი ნათია თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია. სიძე პაატა თუშურაშვილი ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატია, რძალი — ნათია კიტოვანი სამხატვრო აკადემიის სტუდენტი. გ. ფანჯიკიძეს ჰყავს სამი შვილიშვილი: სალომე, გიორგი და არჩილი.

### პროგრამა

**მე მწერალი ვარ, ქართველი მწერალი. ეს უკვე განსაზღვრავს ჩემს პროგრამას. ერის წყლული მაჩნდეს წყლულად... ამ პროგრამით ვცხოვრობდი მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე და ამ პროგრამით ვიცხოვრებ, სანამ ცოცხალი ვარ. ამისათვის სრულებით არ ექნება მნიშვნელობა, ამირჩევენ დეპუტატად თუ არა. რასაკვირველია, თვითონ დეპუტატობა გაძლევს გაცილებით დიდ შესაძლებლობებს, უფრო სრულყოფილად განახორციელო შენი ეროვნული პროგრამა.**

**ერთსაც ვიტყვი, პროგრამის დაწერა ადვილია. თანაც ახლა ისეთი პროგრამები ქვეყნდება, რომ კაცს უფრო გიადვილდება დაპირებების უხვად და ლამაზად გაცემა. მაგრამ პროგრამა ერთია, მისი შესრულება კი მეორე. ამომრჩეველს, ბუნებრივია, დეპუტატობის კანდიდატის წარსული ცხოვრებით უნდა შეეძლოს გააკეთოს დასკვნები, რამდენად შესწევს პროგრამის ავტორს განახორციელოს თავისი დაპირებანი.**

**დეპუტატობა კიდევ ერთ დიდ მოვალეობას აკისრებს ადამიანს — იყოს იმ საარჩევნო ოლქის დიდი პატრიოტი, სადაც იგი დეპუტატად აირჩიეს.**

**იმედი მაქვს, რომ შევძლებ გავამართლო ამომრჩეველთა იმედები, რასაკვირველია, თუკი ამირჩევენ. ამის იმედი რომ არ მქონდეს, არც კი ვიყრიდი კენჭს.**



## რეზო ჭეიშვილი

დაიბადა 1933 წელს ქალაქ ქუთაისში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1959 წელს დაასრულა თბილისის უნივერსიტეტი. 1960 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. მუშაობდა ჟურნალ „ცისკარში“, ალმანახ „საუნჯეში“. 1987 წლის 1 იანვრიდან ჟურნალ „განთიადის“ მთავარი რედაქტორია. ხელმძღვანელობს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას. არის ქართველი მწერალი. მიღებული აქვს ნაკლებმნიშვნელოვანი ლიტერატურული ჯილდოები. ქართულ, რუსულ და უცხო ენებზეც გამოცემული აქვს მრავალი წიგნი. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია მხატვრული კინოფილმები. ერთ-ერთ მათგანს — „ცისფერ მთებს“ მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. ჰყავს ორი შვილი და ორი შვილიშვილი. დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს: საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა, ქუთაისის რუსთაველის საზოგადოებამ, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ.

### პროგრამა

**საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა მთავარი მიზანი. თავისუფლება მოახლოებულია და მომავალი პარლამენტი მომზადებული უნდა შეხვდეს ამ ისტორიულ ფაქტს. ამისათვის ხალხმა, საამისო წინაპირობა უკვე არსებობს, ღირსეული წარმომადგენლები უნდა აირჩიოს. პარლამენტმა უნდა განავითაროს, გააღრმაოს დემოკრატიზმი, პიროვნებას უნდა მიანიჭოს თავისუფლება; დააკანონოს მრავალპარტიულობა, კერძო საკუთრება, სახელმწიფოს მართვის სამართლებრივი სისტემა. უნდა დაჩქარდეს ქართველი ერის კონსოლიდაცია — ფსიქოლოგიური, ეთნიკური, ეკონომიკური ერთობა. ამ ბრძოლაში მთელმა საქართველომ — საქართველოს ყველა რეგიონმა (ქალაქმა, სოფელმა) — უნდა წარმოაჩინოს თავი. ქალაქი ქუთაისი, ვლაპარაკობ როგორც ქუთაისის წარმომადგენელი, რეალურად უნდა გადაიქცეს საქართველოს მეორე კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრად, ნათლად უნდა გამოიკვეთოს მისი როლი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. საქართველოს ერთიანობისა და სიძლიერის სიმბოლოდ უნდა აღდგეს ბაგრატის ტაძარი, ზეგუთი, სხვა ისტორიული ძეგლებიც.**

**დეპუტატი, თუკი იგი არჩეული იქნება, იბრძოლებს ამომრჩეველთა ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური საკითხების შესწავლისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. იგი ამისათვის გამოიყენებს მასობრივი ინფორმაციების ყველა საშუალებას: პრესას, რადიოს, ტელევიზიას.**



## თამაზ კვაჭანტირაძე

თამაზ კვაჭანტირაძე თბილისელია, დაბადებული 1940 წელს. მან წარჩინებით დაამთავრა ჯერ მე-60 საშუალო სკოლა, შემდეგ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი; 1966 წლიდან დღემდე მუშაობს უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტად, არის ჟურნალ „ბალავერის“ („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“) მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტთა კავშირისა და მწერალთა კავშირის წევრი, ორი წიგნისა და მრავალი კრიტიკულ-პუბლიცისტური და სამეცნიერო სტატიის ავტორი.

1975 წლიდან კითხულობს ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსს საქართველოს ტელევიზიით. 1989 წელს თამაზ კვაჭანტირაძე აირჩიეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტად.

მეუღლე ნანა კვარაცხელია ჟურნალისტია, უფროსი ქალიშვილი, თამარი — ასპირანტი, შუათანა, ანი — სტუდენტი, უმცროსი, სალომე — მოსწავლე.

უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად იგი დასახელებულია თბილისის 127-ე საშუალო სკოლის, ქუთაისის უალკოჰოლო სასმელებ... კომბინატის, ახალგაზრდა მანიტართა საზოგადოებისა და რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულ ინვალიდთა (ღვთის შვილთა) ასოციაციის მიერ.

კენჭს იყრის დედაქალაქის საბურთალოს რაიონის №67 „კოლხეთის“ საარჩევნო ოლქში.

### პროგრამა

**დეპუტატობის კანდიდატები ამომრჩევლებს, ჩვეულებრივ, ათას სიკეთეს ვპირდებით: ხელფასის მომატებით დაწყებული და — წყალგაყვანილობის შეკეთებით დამთავრებული...**

**იმ სამასმა კაცმა კი, ვისაც თქვენ დღეს დეპუტატად აირჩევთ, ხვალ თვითონ უნდა გააკეთოს არჩევანი — აირჩიოს საქართველოს მომავალი.**

**ჩემს ამომრჩევლებს მე, პირველ ყოვლისა, სწორედ ამას ვპირდები — საქრათველოსათვის სწორ არჩევანს! ისიც გაცნობიერებული მაქვს, რომ ეს არცთუ უხიფათო საქმეა: დღეს არჩეულ სამას პარლამენტარს ხვალ, შესაძლოა, სამასი არაგველობა მოუწიოს...**

**პატიოსან არჩევნებში დამარცხება, რაღა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, მაგრამ, თუნდ ასეც მოხდეს, ერთი სპარტელისა არ იყოს, იმით მაინც გავიხარებ, რომ ჩემს სამშობლოს ჩემზე ღირსეული სადეპუტატო, მინიმუმ, სამასი კაცი კიდევ ჰყოლია!**

**მთავარია — მოვუაროთ საქართველოს!**



## სოლომონ ხუციშვილი

სოლომონ ხუციშვილი დაიბადა ქ. გორში, 1908 წელს, საშუალო სასწავლებელი დაამთავრა იქვე, 1927 წელს. ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტში და მიიღო ფილოლოგიური განათლება. მუშაობდა მასწავლებლად, ხოლო 1934 წლიდან იმავე უნივერსიტეტშია დღემდის. მან გაიარა ასპირანტურის კურსი, იყო უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, ახლა იგი პროფესორია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ს. ხუციშვილი უპარტიოა, არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო ასპარეზზე, არის რამდენიმე დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს წევრი, აგრეთვე ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი, გამოკვლევებისა და სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორია.

ს. ხუციშვილი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი, სსსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

რეგისტრირებულია ქ. თბილისის გლდანის რაიონის № 60 საარჩევნო ოლქში.

### პროგრამა

**ჩემს სადეპუტატო პროგრამაში ადგილი დათმობილი აქვს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მოწესრიგების საკითხებს, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ურთიერთობას. მინდა საქართველოში აღდგეს და დაბრუნდეს ჩვენი ქვეყნის მკვიდრის დამახასიათებელი პატრიოტიზმი, ადამიანის პატივისცემა, გმირული ... ვაჟკაცური წესები, სწავლა-აღზრდის საკითხების მოგვარება, თაობათა აღზრდა ეროვნულ და ჰუმანურ ტრადიციებზე დაყრდნობით. დიდ ყურადღებას ვუთმობ ქალაქსა და სოფელს შორის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ კავშირს, ქართველი და საქართველოს ახალგაზრდობის სამხედრო ვალდებულების საკითხს, საქართველოს მოქალაქეთა სოციალური პირობების მოწესრიგებას, საკუთრების პრობლემას.**

# დეპუტატობის კანდიდატები



## ვანო ჩხიკვაძე

ვანო გაიოზის ძე ჩხიკვაძე დაიბადა 1947 წლის 5 ოქტომბერს, გორის რაიონში, სოფელ კირბალში.

1960 წელს დაამთავრა გორის I საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა გაზეთ „ნორჩი ლენინელისა" და „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციებში, ამჟამად მუშაობს საქართველოს ტელევიზიაში ლიტერატურული თეატრის რედაქტორად.

ლექსები და წერილები პირველად გამოაქვეყნა გაზეთ „გამარჯვებასა" და გორის ლიტერატურულ ალმანახ „ლიახვში".

მისი ლექსები და მოთხრობები ითარგმნა და გამოქვეყნდა გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ, ბულგარულ, ლიტვურ, რუსულ, უკრაინულ, სომხურ, ყაზახურ, და სხვა ენებზე.

1973 წლიდან არის საკავშირო მწერალთა კავშირის წევრი.

გამოცემული აქვს ლექსების კრებულები:

„ნათლება" — „მერანი", 1973, „დაბადება" — „საბჭოთა საქართველო", 1976, „ორნი სინათლის წრეში" — „მერანი", 1978, „ლექსები" — „საბჭოთა საქართველო", 1980, „სალამი ზამთრის დედოფალო" — „მერანი", 1981, „შემოდგომის ბილიკი" — „ნაკადული", 1982, „გადაფრენა" — „საბჭოთა საქართველო", 1984.

რომანი — „ჩიტები ზამთარში" — „ნაკადული", 1986.

მოთხრობების და ნოველების წიგნები:

„ორი კაცი" — „ნაკადული", 1983, „ექო" — „მერანი", 1987, „წიგნში ჩამარხული ყვავილის სევდა" — „ნაკადული". 1989. არის პუბლიცისტური წერილების ავტორი.

რეგისტრირებულია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გორის მშვიდობის 90-ე საარჩევნო ოლქში.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

### პროგრამა

**მხოლოდ თავისუფლებას შეუძლია სრულფასოვან, ღირსეულ ერად გვაქციოს, მიგვაახლოვოს იმ ჩვენს დიდ წინაპართა სულიერ სიმაღლეს, ვის სახელებზეც მთელი შეგნებული საქართველო ლოცულობს.**

**ამიტომ:**

**1. დროა, მომავალმა უზენაესმა საბჭომ, ბოლოსდაბოლოს მიიღოს ისეთი კონსტიტუცია, როგორიც ჭეშმარიტად სუვერენულ რესპუბლიკას ეკადრება, — გამოხატოს ხალხის ინტერესები, დაფუძნდეს ჩვენს ისტორიულ გამოცდილებაზე, ხასიათზე, მტკიცედ განსაზღვროს ქართველი ერის წარმმართველი როლი თავის ისტორიულ ტერიტორიაზე.**

**2. უნდა პრინციპულად დაისვას და გადაწყდეს საბჭოთა რუსეთის მიერ ანექსიის, და აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიაზე „ნაღმებად ჩაწყობილი" ავტონომიური წარმონაქმნების საკითხი — უნდა მოგვეცეს უფლება, გავაუქმოთ ის, რაც დამპყრობელმა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ძალით თავს მოგვახვია.**

**3. ჩვენ ოდითგანვე მიწათმოქმედი ხალხი ვართ. მივხედოთ მიწას, დავუბრუნოთ მის კანონიერ მფლობელს, ავალორძინოთ მიწისადმი ჩამკვდარი პატივისცემა, ნუ დავემგვანებით სართან გაჯიბრებულ ბაყაყს — დიდი ქალაქები, წამგებიანი წარმოება-დაწესებულებები სიკეთეს არ მოგვიტანს. გავიხსენოთ: ერის ეკონომიკური პოტენციალი (ვიდრე დამოუკიდებელი ქვეყანა გვერქვა) გლეხკაცის ღონიერ ქედზე იდგა.**

**4. საქართველოს სუვერენიტეტზე ლაპარაკი ზედმეტია, ვიდრე ეროვნული ჯარი არ გვეყოლება. საჭიროა დროულად ვიზრუნოთ სამხედრო კადრებზე, უნდა ვიფიქროთ წვევამდელთა ისეთ სამსახურზე, რომელიც აღალგაზრდებს ბრძანების ბრმად შემსრულებელ მონებად კი არა, გონიერ, მამაც ადამიანებად ჩამოაყალიბებს.**

**5. თუ დროულად არ გაიმარჯვა ეროვნულმა თვითშეგნებამ, „მოყვარე" მტერი ისევ ეცდება ძველი პოზიციების გამაგრებას, ლახვარს ჩასცემს თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს იდეას, ამიტომ, ქვეყნის მმართველი ორგანოსაკენ მიმავალი გზა უნდა გადავუღობოთ შემთხვევით პიროვნებებს, ჩვენი ბედი მხოლოდ ჭეშმარიტად ერის რჩეულებს უნდა მივანდოთ.**

**6. თუკი ამომრჩევლები მხარს დამიჭერენ, ვეცდები ჩემს ხელთ არსებული საშუალებანი ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრები ყველა პატიოსანი, სხვა ეროვნების წარმომადგენლის საკეთილდღეოდ გამოვიყენო.**



## გრიგოლ ჯულუხიძე

დაიბადა 1940 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენიშში, გლეხის ოჯახში. მამა დაეღუპა სამამულო ომში. იყო სკკპ წევრი 1962 წლიდან. 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის საპროტესტოდ გავიდა პარტიის რიგებიდან.

დაამთავრა სამტრედიის რაიონის სოფელ ნაბაკევის საშუალო სკოლა. მუშაობდა სოფელ ჩხენიშში ჯერ ფერმის მწყემსად, შემდეგ ბიბლიოთეკარად. იყო თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სტამბის მუშა. პარალელურად სწავლობდა და დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იყო გამომცემლობა „მერანის" გამომშვები, ტექნიკური რედაქტორი, რედაქტორი, რედაქციის გამგე, ალმანახ „კრიტიკის" მთავარი რედაქტორის მოადგილე. ამჟამად მუშაობს გამომცემლობა „მერანის" წამყვან რედაქტორად.

1973 წლიდან არის საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი.

ლექსების პირველი წიგნი — „აპრილის ქარი" გამოსცა 1968 წელს. დღემდე გამოქვეყნებული აქვს ოცამდე პოეტური კრებული. თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა პოლონელი პოეტების ლეოპოლდ ლევინისა და იგორ სიკირიცკის ლექსთა კრებულები. აქვეყნებს წერილებს ლიტერატურულ და სადღეისო ეროვნულ-პოლიტიკურ პრობლემებზე. მისი ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის სხვადასხვა ენებზე.

ჰყავს მეუღლე და ორი დაოჯახებული შვილი.

### პროგრამა

**დეპუტატობის კანდიდატად მშობლიურმა სამტრედიის რაიონის მშრომელებმა დამასახელეს. კენჭს ვიყრი 207-ე საარჩევნო ოლქში. მხარს მიჭერს საქართველოს სახალხო ფრონტის სამტრედიის რეგიონი.**

**დღეს უაღრესად დაძაბულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ატმოსფეროში ვცხოვრობთ. სამწუხაროდ, მუშისა და გლეხის შრომა დაუფასებელია. მოვითხოვ მშრომელი კაცის პრესტიჟის ამაღლებას, რომ მისი სიტყვა, შრომასთან ერთად, ყველა ინსტანციაში ანგარიშგასაწევი იყოს. მიზანშეწონილად ვთვლი, განხორციელდეს ეროვნული ჯარისა და ფულის შექმნა. გადაისინჯოს რესპუბლიკის გარეთ პატიმრობაში მყოფ თანამემამულეთა ბრალდებები და მიეცეთ მათ უფლება საქართველოში სასჯელის მოსახდელად. მოვითხოვ შემოღებულ იქნას მოქალაქის სტატუსი. დაკანონდეს ქართული ენის აუცილებელი ცოდნა ჩვენი რესპუბლიკის ყველა არაქართველი მკვიდრისთვის.**

**მხარს დავუჭერ ყველა ფორმალურ თუ არაფორმალურ ორგანიზაციას, რომელთა ინტერესი და მიზნები მიმართული იქნება ადამიანთა კეთილდღეობისათვის, მათი პირობების გასაუმჯობესებლად.**

**ვიბრძოლებ, რომ ჩვენმა სტუდენტმა ახალგაზრდობამ გადაუდებელ პოლიტიკურ აქციებთან ერთად სათანადო ადგილი დაუთმონ პროფესიების დაუფლებას, — დამოუკიდებელმა საქართველომ არ უნდა განიცადოს მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი.**

**მოვითხოვ, პრივილეგია მიენიჭოს და ხელი შეეწყოს მრავალშვილიან მშობლებს, უუნარო, დამსახურებულ პენსიონერებსა და ომში დაღუპულთა ოჯახებს.**

**დაწყებული მაქვს საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებით, სამტრედიის რაიონში ეკლესიების აღდგენის ღონისძიებები.**



## ნუგზარ წერეთელი

ნუგზარ აკაკის ძე წერეთელი დაიბადა 1935 წელს ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა. 1952-1957 წლებში სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე. 1958 წლიდან 1962 წლამდე მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემაში. 1962-74 წლებში კომკავშირულ-პარტიულ სამუშაოზეა. იყო საქართველოს კომკავშირის კულტურულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე, საქართველოს კპ ცკ კულტურის განყოფილების ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის, შემდგომ მხატვრული ლიტერატურის სექტორის გამგე; ძირითად ყურადღებას უთმობდა ქართული მწერლობის საჭირბოროტო საკითხებს.

12 წლის მანძილზე იყო საქართველოს საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს უფროსი. ამ ახლადდაარსებული რესპუბლიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობისას მან დიდად შეუწყო ხელი ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების ფართო პოპულარიზაციას და საზღვარგარეთის ქვეყნებში დაბეჭდვას. ამჟამად საქართველოს რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარეა.

1970 წლიდან არის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, 400-ზე მეტი სტატიის, რადიო და ტელეგადაცემის ავტორი, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

1980 წლიდან არის მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, 20-ზე მეტი ორიგინალური და თარგმნილი წიგნის ავტორი. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, სლოვაკურ, პოლონურ ენებზე. ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობით მკვეთრად შეუწყო ხელი ქართული და სლოვაკური ლიტერატურული ურთიერთობების განმტკიცებას.

არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, 35 სამეცნიერო შრომისა და ორი მონოგრაფიის ავტორი.

ამჟამად არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის, მსოფლიო ლიტერატურის ალმანახ „საუნჯის" სარედაქციო კოლეგიის, ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პრეზიდიუმის, საქართველოს ბავშვთა ფონდის გამგეობის, მშვიდობის დაცვის კომიტეტის, საქართველოს იურისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი.

ჰყავს მეუღლე — აზა ანთელავა, ილია ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი პედაგოგი, შვილი გიორგი — ექიმი-ნევროპათოლოგი, ნინო — 161-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, შვილიშვილი — ნუგზარ წერეთელი.

### პროგრამა

**ჩემი კრედო, მიზანი და მოწოდება, სადაც არ უნდა ვმუშაობდე, იყო და არის სამშობლოსათვის სამსახური. 12 წლის მანძილზე ვხელმძღვანელობდი საქართველოს საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოს და ვცდილობდი უცხოეთის ქვეყნებში რაც შეიძლება ფართოდ გაგვეტანა ქართული მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების საუკეთესო ნიმუშები, რომ ჩვენი მამული საზღვარგარეთ კიდევ უფრო ცნობილი გამხდარიყო. ამ საქმეს კვლავაც გავაგრძელებ.**

**საქართველოს საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობისას, განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში, როცა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ახეთ სიმაღლეებს მიაღწია, ვეცდები ლექციების სფერო, თუ გამოცემები იყოს ეროვნული სულისკვეთებით, რომ შუქი მოჰფინოს აქტიურად მიმდინარე სასიცოცხლო პრობლემებს.**

**კარგად მაქვს შეგნებული, რომ დღეს უზენაესი საბჭოს დეპუტატობა მართლა უმძიმესი ტვირთია, წარსულს ჩაბარდა პრივილეგიებისა და ამბიციების დრო, მარტო ხელის აწევ-დაწევა აღარავის სჭირდება, ისიც მესმის, რომ დეპუტატობა დღეს მხოლოდ და მხოლოდ მამულის თავდადებული სამსახურისაკენ არის მიმართული.**

**ყოველთვის ვცდილობდი და ვეცდები, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობას გავუღვივო სამშობლოს სიყვარული, მოვუწოდო მამულის გულმოდგინე სამსახურისაკენ.**

**ჩემი ცხოვრების მიზნად ვისახავ შემოქმედებითა და პირადი საქმიანობით ხელი შევუწყო საქართველოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტისაკენ, აღმასვლას. მე ვერ წარმოვიდგენ ისეთ ქართველს, რომელსაც მთელი გულით, შეგნებით არ უხაროდეს ბედნიერი, დამოუკიდებელი სამშობლო. სხვაგვარი ფიქრიც კი მკრეხელობაა.**

# სიძულვილის სინდრომი

**მამუკა წიკლაური**

თითქოს მიწყნარდა საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის ვნებათაღელვანი.

ჩაცხრა ქართველი ახალგაზრდობის რისხვაც. უკიდურესად დაჭიმული ნერვები „საწყის მდგომარეობას“ უბრუნდებიან. ჩემი აზრით, სწორედ ამ „საწყისი მდგომარეობის“ გამოკვლევაა ახლა აუცილებელი. ის სისხლისღვრამდე მისული დაძაბულობა სწორედ „საწყისი მდგომარეობის“ შეუფასებლობამ, სათანადო პროგნოზირების უქონლობამ გამოიწვია.

პლაკატურმა „ინტერნაციონალურმა მეგობრობამ“ რაღაც უცნაური სახითი მიიღო საქართველოში. „ინტერნაციონალური მეგობრობა“ მხოლოდ ქართველებს დაევალათ...

— სამაგიეროდ?

— სამაგიეროდ, როგორც მერე გაირკვა, მხოლოდ შავი გული, მხოლოდ სიძულვილი, ტყვია და დანა გროვდებოდა თურმე... ყველა სიკეთე, რაც მოსულებმა მოიპოვეს, მათ იმპერიის მიერ ნაბოძებ საჩუქრად ჩათვალეს: — ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვართ, სადაც გვინდა იქ ვიცხოვრებთ და რაც გვსურს, იმას მოვითხოვთ. მოთხოვნით კი მაგრა მოითხოვეს — საქართველოს დაშლა და დანაწილება განიზრახეს. ისტორიის ერთი დღე, დროის ერთი მონაკვეთი მარადიულ კატეგორიად წარმოიდგინეს მათ.

...და ყველაზე უცნაური ისაა, რომ რაკი სინდისს გადაუვიდნენ, მათი ეს განზრახვა მთლად უპერსპექტივოც არ ჩანდა. მათ, უბრალოდ, მართლა წარმოუდგენელი, რაღაც ვერ წარმოიდგინეს. მათ ვერ წარმოიდგინეს, რომ ასეთი სწრაფი ტემპით წავიდოდა იმპერიის ნგრევა, რომ რუსი ხალხის საუკეთესო ნაწილი თვით მკვიდრი რუსული სახელმწიფოს გადარჩენისათვის გამოაცხადებდა განგაშს. თორემ რა — ცოტა ხანს კიდევ რომ გაგრძელებულიყო იმპერიული ამბიციები, თითქოს „ყველაფერი რიგზე იყო“ — მამობილი სიყვარულით მოიკითხავდა...

ახლა კი სხვაგვარად შებრუნდა მოვლენები და „საწყის მდგომარეობას“ ვუბრუნდებით.

ჩვენი „ეთნოკრიზისებიც“ თავისებურია. ეთნოკრიზისების ტალღამ გადაუარა მთელ საბჭოთა კავშირს და აბა, ერთი ნახეთ, სად უტევენ მოსულნი აბორიგენულ მოსახლეობას. არსად! ყველგან პირიქით ხდება. იმპერიის სხვადასხვა კუთხეში სწორედ მოსულებს — „მესხეთელ თურქებს“, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ებრაელებს დევნიან.

ჩვენ კი აქეთ გვიტევენ და რაღას არ მოგვაწერენ, რაღა სულმდაბლობაზე არ მიდიან... ამასაც ახსნა და განმარტება უნდა. ისტორია ბრუნავს და ჩვენმა მომავალმა ყველაფერი უნდა იცოდეს. შვილმა უნდა იცოდეს, სად შეცდა მამა.

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველომ, ქართველმა ხალხმა თითქმის ბედისწერად ქცეული მდგომარეობის შეცვლა გადაწყვიტა, მან ბედისწერას შეუბრუნა ხელი და დამოუკიდებლობის დროშა აღმართა.

ეს დროშა ფორმალურად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშაა, რესპუბლიკისა, რომელიც 1921 წლის 25 თებერვალს დაამხო შემოსეულმა მტერმა. ფორმით ასეა. შინაარსით კი ქართველი ერის უძველესი დროშაა. იგი ათასწლეულების მანძილზე ფრიალებდა საქართველოში. ეს დროშა საქართველოს მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრიობას განასახიერებს, ქართველთა თავისუფლებისმოყვარე სულს განასახიერებს, ამ დროშაში საქართველოს ყველა დროის ყველა ეროვნული დროშაა „ჩაწნული“.

ეს ის დროშაა, გორგასალმა რომ აღმართა დარიალში, გვირგვილის წვერზე და აგერ, სულ ბოლო დრომდე, საქართველოში რუსეთის შემოსვლამდე, ფრიალებდა იქ, როგორც სიმბოლო ქართული მიწის საზღვრების შეუვალობისა. ეს ის დროშაა, რომელზეც დავით აღმაშენებელი აფიცებდა თავის მეომრებს დიდგორის მთებში. ეს თამარის დროშაა — შვიადად რომ შლიდნენ ქართლელები, აჭარლები, მეგრელები, ოსები, მესხები, სვანები, ფშავ-ხევსურები, აფხაზები, გურულები, იმერლები, კახელები...

ეს დროშა ხამახი არაგველობა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეომრების დროშაა.

ძნელბედობის ჟამს ამ დროშას უდიდესი რისკის ფასად ინახავდნენ ქართული ოჯახები და აი, დადგა დრო, რისთვისაც ინახავდნენ — ახალმა დრომ, ახალმა თაობამ მზეზე გამოიტანა ეს დამალული დროშა, როგორც დაუყანგავი თავისუფლება.

ეს დროშა აფრიალდა ყველას სახელით, ვინც საქართველოს მოქალაქეა, ვინც ამ მიწაზე ცხოვრობს, ვისაც მოქალაქეობრივი მოვალეობა აკისრია, რომ საერთო დროშის ქვეშ იდგეს — უყვარდეს და დაიცვას ეს მიწა.

მოხდა საკვირველება — მოულოდნელი და წარმოუდგენელი: აფხაზეთში, საქართველოს ამ უძველეს და უწმინდეს მიწაზე, დაიწყო აფხაზთა საპროტესტო გამოსვლები. საპროტესტო აქციების ხელმძღვანელები საჩივარს საჩივარზე წერდნენ მოსკოვში: — არიქა, მოგვეშველეთ, საქართველო დამოუკიდებლობისათვის იბრძვის და ჩვენ არ გვინდა, მოვწყდეთ დედა მოსკოვის ძუძუსაო.“ საკვირველება იყო, მაგრამ ჯერ თურმე სადა ხარ! აქეთ ძველ საბარათიანოსა და საორბელიანოს მიწებზე ჩამოსახლებულმა აზერბაიჯანელებმა შეყარეს ლაშქარი — ავტონომია გვინდაო, დედაქალაქად რუსთავს ვაცხადებთო...

...და მაინც, მოხდა ყველაზე უფრო მოულოდნელი რამ — სამაჩაბლოში მცხოვრებმა ოსებმა აღმართეს ხელი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშაზე. დეპეშა დეპეშას მიაყოლეს აფხაზეთისკენ: ჩვენ თქვენთანა ვართო... იგულისხმებოდა — ქართველებს თქვენ, ჩვენ და თათრებმა ერთად უნდა წავუჭიროთ ყელში ხელიო. რაც მთავარია, რუსებიც ჩვენს მხარეზე არიან, ქართველების დროშა თვალში არ მოსდით და ახლა დადგა მათი მიწების დანაწილების დროო.

ძნელია!

ხალხური ლექსი მახსენდება: სალამოხანს გუდამაყრელის ოჯახს უცნობი სტუმრები მიადგნენ — დაგვიღამდა, გაგვათენებინეთო. თურმე ავი განზრახვა ედოთ გულში. შუაღამისას წამოცვივდნენ ლოგინებიდან და იშიშვლეს ხანჯლები, ჩაძინებული ოჯახის კაცები დახოცეს და სარჩო-საბადებელი გაიტაცეს. ხალხური მოლექსე შეძრწუნებული წამოიძახებს:

ვახშამნაჭამო სტუმარო,
როგორღა იქნევ ხმალსაო,
გამარჯვებული პირიმზე.
რატომ არ მოგტეხს მხარსაო.

ლექსის ავტორი, თავისი საგვარეულო სალოცავისკენ, პირიმზე ფუძის ანგელოზისკენ იყურება გაოცებული — მხარს რატომ არ მოამტვრევ ვერაგ სტუმარსაო!..

მართლა დაუოკებელი ბრაზი მოგივლის.

მართლაც რაღაც საშინელს გაიფიქრებ.

ეს ამბები ჩვენთვის მოულოდნელი იყო. გავბრიყვდით. ნამეტანი ღრმად დავიძინეთ და აჰა, იარაღითა და „დამოუკიდებლობის“ ლოზუნგებით წამოგვადგნენ თავს. მეორეს მხრივ, ვენდეთ და ეს ნდობა უნდობლობად შემოგვიბრუნდა უკან.

მაინც რა შეგვეშალა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით, რა უნდა მოგვემოქმედა, რომ ასეთი რამ არ მომხდარიყო? ძნელი სათქმელია.

— კიდევ უფრო მეტად უნდა მოვსიყვარულებოდით და მოვფერებოდით? მაგრამ სადაა სხვა საქართველო, სადაც უკეთესად ექცევიან მოსულს!..

— განუწყვეტლივ მათრახები უნდა გვერტყა საზეში და მონებად უნდა გვექცია? — რა თქმა უნდა — არა, ეს არც ჩვენს მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციას ეკადრება და არც ჩვენს მრავალსაუკუნოვან მოკავშირეს — ოს ხალხს.

ისიც ძნელი სათქმელია, როგორ უნდა მოვიქცეთ დღეს. ერთი რამ კი ცხადია, ღმერთის წინაშე უნდა ვიყოთ მართალი. სიმართლე უნდა უძღოდეს წინ მადლსაც და რისხვასაც. ჩვენ ამ სიმართლემ გაგვაძლებინა ისტორიის ჟამიანობებში და სამომავლოდაც იმ უძლეველ ძალას უნდა დავეყრდნოთ.

ისიც ცხადია, რომ ჩვენს ურთიერთობაში რაღაც ერთი ეტაპი დამთავრდა და დაიწყო მეორე.

ატმოსფერო უკიდურესად დაიმუხტა.

გახმაურდა კიდევ ერთი საშინელი ფაქტი. „ადამონ ნიხასელებმა“, თუ მათ სულიერ ავადმყოფებად არ ჩავთვლით, უკვე ქართველი ერის უკიდურეს მტრებად წარმოგვიდგინეს თავი — მათ გადაწყვეტილი ჰქონიათ, რაღაც პრემია მიეცათ გენერალ როდიონოვისათვის... ეს ცნობა გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გაკრთა 1989 წლის 16 დეკემბერს.

მე არა მჯერა ეს ფაქტი. ვიღაცამ მცდარი ინფორმაცია მისცა გაზეთის კორესპონდენტს... მაგრამ მე ხომ არც ის დეპეშა მჯეროდა! „ზნიფში“ გამოქვეყნებული წერილი ნაყალბევი მეგონა. არც აფხაზეთში და ქვემო ქართლში აფრიალებული ლოზუნგების მჯეროდა, ვიდრე ჩემი თვალით არ ვნახე ისინი.

თვით ოსები ირწმუნებიან, რომ ქართველთაგან პატივისცემის მეტი არაფერი გვახსოვსო. ამას ჩვენი მოძულეების უკიდურესი ფრთა „ადამონ ნიხასიც“ კი აღიარებს. ვერ ასახელებენ ერთ მაგალითსაც კი, რომ დღევანდელ ქართველს რაიმეთი შეეზღუდა ოსი იმ მიზეზით, რომ ის ოსია. თორემ ცხოვრება ცხოვრებაა — კონფლიქტები მამა-შვილსა და ღვიძლ ძმებს შორისაც ხდება.

მაშ, საიდან ეს გამძვინვარებული განწყობილება? მაშ, საიდან ჩვენი სიძულვილისკენ /თვალის დაბნელება და ტვინის დაბნელება?

სად იზრდება სიძულვილის საშიანი ბალახი, რა ნიადაგიდან იწოვენ შხამს ამ ბალახის ფესვები?

აი, აქ კი ღრმად უნდა დავფიქრდეთ.

მე ჩემს აზრს ვიტყვი.

იქნებ ეს სიძულვილი და ეს მოღალატური სურვილი სხვის მიწაზე მცხოვრების გაუცნობიერებელი ფსიქოლოგიაა? მეგობრობა — მეგობრობად, პატივისცემა — პატივისცემად, მაგრამ აქ, როგორც ჩანს, რაღაც ქვეცნობიერი გრძნობები გადადიან შეტევაზე — მოსულს არ უნდა, რომ „მოსულის“ ეტიკეტი ეკრას. ეს მთაბარი, ეს წყალ-ჭალა, ეს მინდორველი, ეს ქვეყანა მისი სამშობლოა — აქ აიდგა ფეხი, აქ აიდგა ენა, აქაურობას შეეზარდა და შეენივთა. სხვა სამშობლო, ქვეყანა, სადაც იშვა, მას არა აქვს... მაგრამ არსებობს მეორე რეალობაც, რომელიც მკაცრად და უშეღავათოდ იჭრება მის გრძნობებში — ეს ოსეთი არაა, ეს ქართველების უძველესი მიწა-წყალია, ისტორიული ქართლია. ბედის უკუღმართობამ შეათხელა ეს მხარე, მაგრამ აბორიგენული მოსახლეობა მაინც ბლომად დარჩა. სამაჩაბლოს მრავალტანჯულ მიწაზე კვლავ ბოლავენ ქართული სოფლების ბუხრები... კვლავ მტკიცედ უპყრია ფარი და მახვილი ისტორიულ ქართლს.

აი, ეს რეალობა, ამაზე ფიქრი არ შეიძლება არ წამლავდეს და, როგორც გამოჩნდა, წამლავს კიდეც მოსულის ფიქრს. მოსული შინაგანად უპირისპირდება აბორიგენს, ამ მიწის პატრონს და ეს დაპირისპირება სიძულვილად ამოხეთქავს იქ, სადაც არავინ ელის.

ამიტომ ახლა ტყუილად ვიჩივით მხრებს გაკვირვებულნი — რით დავიმსახურეთ ეს სიძულვილიო, საიდან ეს ცხოველური დაუნდობლობაო...

ალბათ, დაახლოებით ასეთივე განწყობილება გახლავს ოსეთში, ე. წ. ჩრდილოეთ ოსეთში, მცხოვრები ქართველების სულსაც. ოსეთშიც, განსაკუთრებით კი მის დედაქალაქ ძაუგში, საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს — რაჭველები, მოხევეები, მთიულები, გუდამაყრელები... მათაც უყვართ ის მიწა, რომელზეც დაიბადნენ და გაიზარდნენ. ისინი ქართველები არიან და სწორედ ქართველს უთქვამს: — ჩიტი, სადაც დაიბადება, იმის ბაღდადი იქ არისო... ოსეთია მათი ბაღდადიც, მაგრამ არსებობს რეალობა, რომელიც უხეშად იჭრება ნაზ გრძნობებში — ეს მიწა სხვისია, აბორიგენები აქ სხვები არიან და გაუცნობიერებელი სიძულვილი ჩნდება ოსებისადმი.

აქ ოსს სძულს ქართველი, იქ კი, ქართველს სძულს ოსი.

ეგ როგორ, უსათუოდ იკითხავთ, მაშ, სულ ტყუილად ჩაიარეს ამ ორი მეზობელი ხალხის ძმობის, მოკავშირეობის, ერთმანეთის გაფრთხილების საუკუნეებმა? მაშინ საერთოდ არ არსებულან მეგობარი ერები, ერთმანეთს სულიერად შეთვისებული ხალხები!..

აი, სწორედ აქაა ჩაწოლილი ჩვენი გამთიშავი ქედი. ჩვენი წინაპრების მეგობრობა კეთილ მეზობლობაზე და ვაჟკაცურ მოკავშირეობაზე იყო აგებული. თავთავის მიწაზე ცხოვრობდა ორი მაღალი ზნეობის მეზობელი და ერთად, ერთმანეთის თვალმოუცილებლად მიჰკვალავდნენ დროს. ეს ნაკვალევი შემდგომ ისტორიად იქცა და ჩვენ, მათ შვილებს, გვეამაყება უკან მიხედვა. სიძულვილი კი მაშინ დაიწყო, როცა ერთმანეთის მიწაზე დავსახლდით. სხვა ბედუკუღმართობებს შორის ესეც ბედის უკუღმართობა იყო.

დაირღვა რაღაც დიდი კანონზომიერება და ამას საშინელი ამბები მოჰყვა. სამაჩაბლოში ჩასახლებულ ოსებს დღესაც მწარედ ახსენდებათ ვალიკო ჯუღელის ცხენის ფეხის ხმა. არც ოსეთში მცხოვრებ ქართველსა აქვს დაჩლუნგებული მეხსიერება. ამასაც ახსოვს, როგორ შეცვივდნენ ოსურ მიწაზე გაშენებულ სოფელ ალაგირში შეიარაღებული ოსები 1918 წელს, წყალკურთხევა დღეს და სისხლის გუბეები დააყენეს. ვინც მათ ტყვიას გადაურჩა, საქართველოსკენ შემოადგა დათოვლილ მთებს და ზვავების ანაწერა გახდა.

ისტორია ბრუნავს. გუშინ-გუშინწინ ბეწვზე დაეკიდა სამაჩაბლოში მცხოვრები ოსების ბედი. უფრო დინჯმა ძალამ, ქართველი ინტელიგენციის პრინციპულმა გამოსვლებმა როგორღაც შეაკავა ქართველი ახალგაზრდების მრისხანების ტალღა. (მეორეს მხრივ, ოსები ისევ ოსებმა გადაარჩინეს. ოსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები არ დანებდნენ პანიკას. ერთხმად გამოვიდნენ რესპუბლიკის პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში... მოაწყვეს მიტინგები და ყრილობები, სადაც ერთსულოვნად დაგმეს ის ტენდენციები, რომლებსაც ასე საზიფათო მიმართულება ჰქონდათ. გამზავებელთა შორის რატომღაც ვერ ვიხილეთ რამდენიმე ცნობილი მოღვაწე. რა იყო სიჩუმის მიზეზი? სეირს უყურებდნენ? თუ იმ მომენტს ელოდნენ — როდის დაესხოდნენ მიცვალებულებს ყორნები, როდის აივსებოდა ჰაერი დაჭრილთა კვნესით?

არადა, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ყველა ჩემსავით დინჯად როდი იკვლევდა მოსულის, სხვის მიწაზე მცხოვრების ფსიქოლოგიას. იყო სულ სხვაგვარი განწყობილების ხალხიც. მათ ქართული მოდგმისადმი სიძულვილი დაინახეს ჩვენს მიწაზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა თვალებში და სიძულვილს სიძულვილით დაუპირისპირეს. საზიფათო განზრახვით წამოიმართნენ.

დიახ, ისტორია ბრუნავს და ხვალის მოვლენებს ძნელად ვინმე განსაზღვრავს.

ამას წინათ მოვისმინე სატელევიზიო გადაცემა, სადაც „ადამონ ნიხასის“ წარმომადგენლები გამოვიდნენ. ერთი ჭაბუკი აქეთ გვდებდა ბრალს — აბა, ერთი ჩვენს ადგილზე თქვენი თავი წარმოიდგინეთ და ვნახავ, როგორ მოიქცევითო. აბა, ერთი ვინმემ სამხრეთ ოსეთის ნაცვლად სულ „სამაჩაბლო“, „სამაჩაბლო“ იძახოსო.

მე პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს და მოდი, წარმოვიდგენ თავს იმ „ადამონნიხასელის“ ადგილზე, რომელსაც სწყინს რომ პატრონი თავის მიწას საკუთარი ტოპონიმებით მოიხსენიებს, რომელსაც სწყინს, რომ ხდება პოლიტიკოს-ავანტიურისტთა მიერ გუშინ მოგონილი ტოპონიმის იგნორირება, იმ ქართველი ავანტიურისტებისა, რომლებიც „ადამონნიხასელებისა“ არ იყოს, ქართველების სიძულვილით დაავადდნენ. დამიჯერეთ, მართლა ძნელია იმ ჭაბუკის ადგილას ყოფნა, მართლა ძნელია განუწყვეტელი ავადმყოფობა, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს — ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს იმ მიწაზე, საიდანაც მისი წინაპრები აქ გადმოსახლდნენ, იქ ელის მას ნამდვილი ბედნიერება, იქ ელის მას ქართველთა სიძულვილისგან განთავისუფლება. იქაა ოსეთი, რომელსაც თავისი სამხრეთი აქვს და თავისი — ჩრდილოეთი, თავისი — აღმოსავლეთი და თავისი დასავლეთი. იქიდან სხვაგვარად ჩანს საქართველო და ქართველი ერი — მისი ერის ისტორიული მეზობელი და ისტორიული მოკავშირე, მისი უღალატო ძმა.

ასევე უნდა მოიქცეს ოსეთის მიწაზე დღეს მცხოვრები თერთმეტი ათასი ქართველიც. თუ, რა თქმა უნდა, ქართველობა უნდა — თუ საკუთარი ენის, საკუთარი გენის, საკუთარი ფსიქოლოგიის გადარჩენა უნდა...

დიახ, დიახ, ტყუილად ვიჩეჩავთ მხრებს გაკვირვებისგან ოსებიც და ქართველებიც — რა მოხდა, რამ აგვრია ასე საშინლადაო. „ადამონ ნიხასი“, როგორც ჩანს, ზუსტად გამოხატავს „მოსულის“ ფსიქოლოგიასა და განწყობილებას. „ადამონნიხასელ“ ახალგაზრდებს, გარკვეული აზრით, კეთილშობილური და პატრიოტული გრძნობა ამოძრავებთ. მათ სიზმრებში ძველი ალანები დააფრენენ ცხენებს ევროპის ტრამალებში, მათ სიზმრებში საშველად ხელს იწვდის დაკნინებული და გამანქურთების ზღვარზე მიმდგარი სამშობლო — ოსეთი.

უნდა გავუგოთ ეს განწყობილება. ჩვენ ძველი მეზობლები და მოკავშირეები ვართ, ერთი დროშის ქვეშ გვიბრძოლია, მხრებზე ერთად გვაწევს მამა-პაპათა ანდერძი. მოდი, ყური დავუგდოთ, „ადამონინიხასელები“ ეყრდნობიან საბჭოურ ფორმულას — მიწის საკუთრება არ არსებობს, მიწა იმისია, ვინც ამ მიწაზე ცხოვრობს დღეს. ჩვენ გვინდა ამ მიწიანად შევუერთდეთ ოსეთს (ე. წ. ჩრდილოეთ ოსეთს). ამას მოდევს კიდევ უფრო ბალღური მსჯელობა და „შორსგანჭვრეტილი“ ეშმაკობა: შემდგომ კი, გვინდა, ეს გაერთიანებული ოსეთი — ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოს შემადგენლობაში შევიდესო.

იმპერიული თვალსაზრისი ურიგო არ არის, არა?! ეს „ადამონნიხასელები“, ჩვენ რომ ჩვენი სიძულვილით დაავადებული ხალხი გვეგონა, პირიქით, არ აღმოჩნდა?! ეს მამაცი და ჭკვიანი ბიჭები არც ჩვენ გვკითხავენ რა გვინდა და რა არ გვინდა, არც იქაურ ოსებს ჰკითხავენ, არც რუსეთის ფედერაციის მთავრობას და უზარმაზარი ტერიტორიითა და 615 ათასი მოსახლით გაზრდიან საყვარელ საქართველოს. ვერაფერს იტყვი, უზადო ოსტატობით გვატყუებენ...

ოჰო, სამაჩაბლოში მართლაც საშინელ მოვლენებს უნდა ველოდეთ, თუ ამ ბიჭების ჭკუა-გონებაში არ დაეჭვდნენ მათი მიმდევარნი, თუ მაქსიმალური სიფრთხილე არ გამოვიჩინეთ. სიძულვილს მართლაც დარეტიანებამდე მიჰყავს ადამიანი, და, აი, ერთხანს ვის ხელში ჩავარდა სკოლის მერხებიდან წამოშლილი ბავშვების ბედი.

მინდა, არ გამიწყდეს სერიოზული საუბრის ძაფი. — მიწა იმისაა, ვინც ზედ ცხოვრობსო — თვალისდაუხამხამებლად რომ გვმოძღვრავენ

ვითომ მართლა ეგრეა?

ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე დღეს დაახლოებით 97 ათასი კაცი ცხოვრობს. აქედან დაახლოებით 66% ოსია, 28%— ქართველი, დანარჩენი — სხვები.

აი, ეს მიწა, უძველესი ქართული კუთხე სამაჩაბლო, სწორედ იმ 28% ქართველისა და საქართველოსია. ნეტავ, როდის მისცემენ „პატრიოტები“ ამ 28% აბორიგენს ოცდაოთხსაათიან ვადას — დასცალონ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია?! აი, თუ ეს „აქცია“ გაუვიდათ, მიწა მაშინ მართლა მათი იქნება.

ჩვენი წინაპრები ამბობდნენ — ის ცხენია კარგი, რომელიც არ ჩამოგაგდებსო. ცუდი ზნე მარტო იდეებს კი არა, ცხენებსაც სჭირთ — ზოგიერთმა დალალატებით ჩამოგდება იცის.

ასეთ ღალატიან ცხენზე სხედან ოსი და აფხაზი „პატრიოტები“ და უფსკრულის ნაპირზე მიაჭენებენ. როგორც ზევითაც ვთქვი, მიზანი კეთილშობილურია — მათ აწუხებთ თავისი ხალხების დღევანდელი ბედი. მათ უნდათ რაღაც მოიმოქმედონ, მაგრამ გზას ვერ მიაგნეს. პირიქით, დედამიწის ზურგზე მათთვის ერთადერთ გულშემატკივარ ხალხს — ქართველ ხალხს „გამოუცხადეს ომი“.

დღეს საქართველოში მცხოვრებ ოსებს და ოსეთში (ე. წ. „ჩრდილოეთ ოსეთში“) მცხოვრებ ქართველებს ორი გზა აქვთ. ეს ალტერნატივა მათ წინაშე ისტორიულმა სიტუაციამ დააყენა და დღესვე უნდა გადაწყვიტონ. ხვალ შეიძლება ძალიან, ძალიან გვიან იყოს.

ალტერნატივა ასეთია:

საქართველოში მცხოვრები ოსები ან თავის დედა სამშობლოში, ოსეთში უნდა გადასახლდნენ და თავის მიწაზე იბრძოლონ ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი ოსეთის ასაშენებლად, ან აქ უნდა დარჩნენ და შეურიგდნენ იმ აზრს, რომ ეს რაღაც „სამხრეთ ოსეთი“ ილუზიაა, რომ ამ მიწაზე მცხოვრებმა ერთიანი საქართველოს ჭირითა და ლხინით უნდა იცხოვროს, მამულიშვილურად სწიოს საერთო ჭაპანი.

ოსეთში მცხოვრები ქართველები ან საქართველოში უნდა გადმოსახლდნენ და ჩაებან იმ დიდ და უკომპრომისო ბრძოლაში, რომელსაც ქართველი ხალხი იწყებს დღეს ან ოსებად უნდა მოიქცნენ, გულიდან ამოიგდონ საქართველოზე ფიქრი და თავისი წვლილი შეიტანონ თავისი ნამდვილი სამშობლოს, ოსეთის აღორძინებაში. აქ, ალბათ, უფრო ზუსტი იქნებოდა, რომ მეთქვა — „რუსებად მოიქცნენ“-მეთქი, რადგან, სამწუხაროდ, იმპერიის სივერაგეს, „ინტერნაციონალიზმად“ მონათლულ გარუსების პოლიტიკას ვერ გაუძლო ოსმა ხალხმა და გარუსების უფსკრულში გადაეშვა. ჩვენ გვევალებოდა მათი მიხმარება. გასაჭირში უნდა მივშველებოდით ძველ მეზობელს და მოკავშირეს, მაგრამ ჩვენ თავი გაგვიხდა მისაშველებელი, იმპერიის ზვავი ჩვენს ხეობაშიც ავისმომასწავებლად ქშინავდა.

საკითხი ასე დგას: ან ასე, ან ისე... თორემ მოვლენებზე, რომლებმაც შეიძლება, ხვალ ან ზეგ იგრიალონ, ვერავინ ველარ აგებს პასუხს.

მე ქართველი ვარ. დღეს მე ვარ და, განგების ნებით, მე მაბარია სამშობლო. ჩემი სიცოცხლის ერთადერთი აზრი ესაა. ასე ფიქრობენ ჩემი შვილებიც. აი, ამიტომ მე და ჩემი შვილები მშვიდად ვერ დავიძინებთ, ვიდრე იბრაგიმოვები და ალიევები, ჩოჩიევები და გაზაევები, ოზგანები და გოგუები კბილებს გვიკრაჭუნებენ და ბოროტ მზერას აპარებენ ჩვენსკენ.

ისეთ საქართველოს ღმერთმა ნუ მომასწროს, „მოსულს“ აკადროს: — გეყოფა აქ ყოფნა, ახლა შენს სახლს მიაკითხეო... მაგრამ ათასწლეულებმა ბევრი რამ გვასწავლეს... აი, მაგალითად, ის, რომ ფხიზლად უნდა ვიყოთ — სახლში შემოსული სტუმარი — შენ რომ ღმერთისგან გამოგზავნილად ჩათვალე („სტუმარი ღვთისაა“), არ გათავხედდეს, [illegible] რაღაც მონაკვეთმა არ გააბ[illegible]ოს და სახიკვდილოდ არ გამოგიმეტოს.

იმდენი მტერი და დაუპატიჟებელი სტუმარი ვის აუჩნავს და გაწუდევნია, რამდენიც ამ ლამაზი, ამ დაწყევლილი ქართული მიწის პატრონს... მაგრამ, აბა, თუ ვინმე დაასახელებს ერთ მაგალითს მაინც, რომ ქართველმა უხმლოდ კარს მომდგარი ადამიანი არ მიიღო, პური არ გაუყო და ღვინო არ დაალევინა.

ვერა, ვერავინ ვერ იტყვის!

არც ოსებისთვის როდისმე გვიჩვენებია ის გზა, რა გზითაც ჩვენთან მოვიდნენ. და თუ აი, ახლა, უკან წასასვლელი გზა გავახსენე, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მეტად და მეტად უკადრისი რამ იკადრეს... მათ სულში სხვის მიწაზე მცხოვრების ბოროტმა ფსიქოლოგიამ იფეთქა, ისინი ამ მიწის პატრონის სიძულვილით დაავადდნენ... თორემ ვინ რას უშლიდა — გვევლო საერთო დღესასწაულებზე, ულალატოდ გვეტარებინა ამ მიწის შვილთა სახელი, ერთად გვებრძოლა ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ.

ჩვენ დღეს გვიჭირს, მაგრამ ისე მაინც არ გვიჭირს, როგორც ოზგან-გოგუებმა, იბრაგიმოვ-ალიევებმა, ჩოჩიევ-გაზაევებმა წარმოიდგინეს... როცა ერი ერთად წამოდგება ფეხზე და ერთი მიმართულებით გაიხედავს, ის ერთი გაჭირვებული ერი არაა. გაჭირვებული ისაა, ვისაც მტერი და მოყვარე ერევა ერთმანეთში...

ჩვენ ჭერჭერობით მტერს და მოყვარეს ვარჩევთ. მოვლენები ისე მიდის, რომ იმპერიას დიდი დღე აღარ უწერია. ამ მოვლენების შესაბამისი იქნება ხვალინდელი დღეც. ოსებმა, ჩემის აზრით, ქართველ ებრაელებს უნდა მიბაძონ.

იმათ უნდა მიბაძონ და, უპირველეს ყოვლისა, თავისი საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნის ვაჟკაცურ წყურვილში, თავისი ისტორიული ფუძის დაბრუნებისათვის დაუოკებელ ლტოლვაში. ოცდაშვიდი საუკუნე იცხოვრეს ებრაელებმა ამ რწმენით. საუკუნე საუკუნეს მისდევდა, თაობა თაობას, მაგრამ ისინი დროს არ ნებდებოდნენ. მშობელი მიწის დაბრუნების იდეა მთვარესავით იდგა შუა ცაზე — არც ამოდიოდა და არც ჩადიოდა, იდგა. მთელ მსოფლიოში გაფანტა ბედმა ისინი, დაფანტულები იყვნენ, მაგრამ მაინც ერთად იყვნენ — მათ დაკარგული სამშობლო აერთიანებდა. წამებაში, სისხლში, ცრემლში იწრთობოდა მათი რწმენა, რწმენა სამშობლოს დაბრუნებისა. იმ რწმენამ ხმლისა და ფარის მაგივრობა გასწია და გაამარჯვებინა. ებრაელთა მაგალითი მსოფლიო მნიშვნელობის მაგალითია. ეს გზა გმირი ერის მიერ გავლილი გზაა, გზა სამშობლოსკენ მიდიოდა. სწამდათ: სამშობლოს წართმევა არ შეიძლება, თუ შენი ნებით არ დათმე ის!

ოსებსაც ის გზა ეძახის — უნდა დაბრუნდნენ იქ, საიდანაც ბედისწერამ გამოლევნა, სადაც იმ ძველი ალანების ხმა ჩაიკარგა, სადაც მათი ვაჟკაცური მხარ-მკლავი ჩადნა. იქ უნდა დაბრუნდნენ და იქ უნდა ასწიონ თავისი დროშები.

ის გზა ეძახის ჩემს თანამემამულეებს — ოსეთში, რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში მცხოვრებ ქართველებს: დაბრუნდით უკან!.. ადამიანი მხოლოდ მშობლიურ მიწაზე ავლენს ადამიანურ სასწაულს — სიყვარულს. სიყვარულის ხე მხოლოდ მშობლიურ მიწაზე ხარობს!

ცოდვაა „გადასხვაეროვნებული“ ადამიანი.

შარშან რუსეთში, ვოლგისპირეთის ერთ სოფელში გავიცანი გარუსებული ქართველი — „კოსტია ივანიჩი“. გვარი ქართული ჰქონდა, მაგრამ რაღაც უცნაური და საცოდავი „ჰიბრიდი“ იყო. ჯერ ქართულმა „პატრიოტულმა სიამაყემ“ იფეთქა კოსტია ივანიჩში... მერე შეთვრა და, ჩემთვის ყოვლად მოულოდნელად, ქართველების გინება დაიწყო — მე რომ საქართველოში მეცხოვრა, მოვკვდებოდიო — არც ვაჭრუკანობა შემიძლია და არც მაქინაციები, ახტაფიევი არა ტყუისო.

ჩამოვარდნილ წეროს ჰგავდა ეს ჩემი „რუს-გრუზინი“, დაყრუვდა და დაბრმავდა წერო—ის აღარ ესმის, რაც ცაში ესმოდა, იმას ველარ ხედავს, რასაც ციდან ხედავდა. მისთვის რაღაც მთავარი დამთავრდა. წეროების გუნდი ჰორიზონტთან ჩაეფარა.

ზოგჯერ მგონია, რომ ქართველს ყველაზე ძალიან ქართველობადაკარგული ქართველი აკრთობს — მას ბუნების ანომალია ზარავს — ნუთუ ეს შესაძლებელია?! ამიტომ ჩვენ არც „გაქართველებული“ სხვა ეროვნების ადამიანი გვაწერია გულის ფიცარზე. ღმერთმა ყველა ერი თავისი სისხლით, თავისი გულისცემით, თავისი ენით გააჩინა. კაცი წინ არ უნდა აღუდგეს ღმერთის ნებას. ენასთან ერთად იკარგება ყველაფერი, რასაც ჯიში და რასაც მოდგმა ჰქვია, რითაც ლამაზია ეს ჩვენი პლანეტა... ამიტომ ტყუილად ფიქრობენ ოსები ან სხვები, რომ ჩვენ მათი „გარუსება“ არ მოგვდის თვალში, თორემ „გაქართველება“ გაგვეხარდებოდა.

უბრალოდ, საქართველოში მცხოვრებმა არაქართველებმა ძალიან უკუღმართად გაიგეს ქართული ენის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვის მოთხოვნა, თორემ რა არის საკვირველი და აღმაშფოთებელი იმაში, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ქართულია, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ენას უნდა ფლობდნენ რესპუბლიკის მცხოვრებნი?

კრემლში გაგზავნილ საჩივრებში ოსები და სხვებიც ქართული ენის, როგორც რესპუბლიკის საერთო ენის აღიარების წინააღმდეგნი არიან. ისინი თვლიან, რომ ამ ფუნქციას თავისუფლად ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს „ერთაშორისი ენა“, რუსული. ასე რომ, ისინი ქართული ენის შესწავლას ზედმეტ ტვირთად, უაზრო საქმედ თვლიან. მათ ეს ენა არ ჭირდებათ.

არ ჭირდებათ! და ეს ის მომენტია, როცა ოსები და სხვებიც, გარკვეული აზრით, მართლები არიან. მათ მართლა არ ჭირდებათ ქართული ენა.

ჩვენ „ნამუსზე“ გვინდა შევაგდოთ ისინი და პრესაში, ტელევიზიაში, სხვადასხვა თავყრილობებზე ერთხმად ვუკიჟინებთ: — აი, თქვე უნამუსოებო, მიგიღეთ, სამოსახლო მოგიზომეთ, გულის სითბო გაგრძნობინეთ, გვერდით ამოგიყენეთ და თქვენ კი ჩვენი ენის შესწავლა არ ინდომეთ და არ იკადრეთო...

ვფიქრობ, ასეთი „მოტივებით“ საუბარი უნაყოფო საუბარია. ჩვენი საუკუნე უფრო მკაცრი ლოგიკით განაგებს ცხოვრებას.

ამ რამდენიმე წლის წინათ კახეთში და სხვაგანაც მასობრივად დაიწყეს ვაზის ამოთხრა და მის ნაცვლად საზამთროს თესვა. ეს მოვლენა ძალიან მოულოდნელი და ერთხანს გაუგებარი იყო. ჩვენს პრესას გადაუარა „პუბლიცისტური შეგონების“ ნიაღვარმა: აი, თქვე უნამუსოებო, თქვე ქრისტეს ფეხის მკვნეტავნო, თქვე წინაპართა ანდერძის გამტეხნო, საზამთროს როგორ ამჯობინებთ ვაზს?! ტყუილადაა ჩვენი ტაძრების ჩუქურთმებში ჩაწნული ვაზი, როგორც ქართველთა უკვდავების სიმბოლო?! რაც შაჰ-აბასმა ვერ გააკეთა... და ა. შ.

აქ ერთი „საიდუმლო“ იყო. ეს საიდუმლო განსაზღვრავდა გუშინდელი მევენახისა და დღევანდელი „მესაზამთროვის“ ლოგიკას— საზამთროს მეტი შემოსავალი მოაქვს, ვიდრე ვენახს.

მოდი და შენ დაუდექი ამ ლოგიკას „პატრიოტული კეტებით“.

დაახლოებით ასეა ენის საქმეც. საქართველოში მცხოვრებთ არც საკუთარი ენა ჭირდებათ (ცხადია, რუსების გარდა) და არც ქართული. არც ქუჩაში, არც ოჯახში, არც კინოთეატრში, არც ტრანსპორტში, არც მაღაზიაში, არც სადგურში, არც აეროპორტში... მათ ქართული ენა არ ჭირდებათ. პრესა?—აგერ, ბატონო, რუსული პრესის მეტი რა არის. რადიო და ტელევიზია? — გადაატრიალე სახელური და ჩართე რომელი ტალღაც შენ გნებავს... ქუჩაში რომელ ქართველს ან არაქართველს გააჩერებ, რომ რუსულად არ ჩაგიჭიკჭიკოს, რაც გაინტერესებს...

ფილმები რუსულ ენაზე მიდის, თეატრი გინდა და რუსულ თეატრში მიბრძანდი, სკოლა? — სკოლა ხომ არის და არის... სხვა რაღა დარჩა, რატომ უნდა ისწავლოს ქართული ენა საქართველოში მცხოვრებმა მოსულმა?..

უნდა გამოვტყდეთ, რომ ქართული ენის აუცილებლობის, საჭიროების ელემენტი აქვს დაკარგული თვით საქართველოში. მოსულთ არც ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ბერძნული ჭირდებათ და არც ქართული.

ახლა წარმოვიდგინოთ საფრანგეთში, 1921 წელს ჩასული ქართველობა. — შეეძლოთ მათ ფრანგული ენის გარეშე გაეტანათ თავი? — არ შეეძლოთ. იმიტომ, რომ საფრანგეთი ნამდვილი სახელმწიფოა და ფრანგული ენა ნამდვილი სახელმწიფო ენა, რასაც ვერც დღევანდელ საქართველოზე ვიტყვით და ვერც ქართულ ენაზე.

რუსული ენა, თითქოს ძალდაუტანებლად, მაგრამ მეთოდური თანმიმდევრობით, საოცრად ზუსტ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, უკვე იქცა ერთადერთ საჭირო და აუცილებელ ენად მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

სხვა ენები? — გამოიყენე, ბატონო, განავითარე, დაიცავი... ვინ გიშლის? რაც მეტი ენა იცი, მით უკეთესი არ არის? რას გიშლით რუსული, საბჭოთა კავშირის ენებსშორისი ენა?

ახლახან პრესაში გამოქვეყნდა ერთი საინტერესო გამოკითხვა-დაკვირვების შედეგი, რომელიც თბილისის ოქტომბრის რაიონის სკოლებში ჩაატარეს სპეციალისტებმა.

რაიონის 15 საშუალო სკოლიდან 6 რუსული და 1 ქართულ-რუსული სკოლაა. რუსულ სკოლებში 26 ეროვნების მოსწავლეს შორის რუსი ეროვნებისაა მხოლოდ 19 პროცენტი. ასე რომ, რუსულ სკოლებში მოსწავლეთა ოთხი მეხუთედი არარუსი ბავშვებია.

დაკვირვების ავტორებმა დაადგინეს ისიც, რომ რაიონის 7 საშუალო სკოლაში 717 რუსი ბავშვი სწავლობს. ეს რაოდენობა დაახლოებით ერთი საშუალო სკოლის კონტიგენტია. სპეციალისტები ბუნებრივ კითხვას სვამენ — მაშინ ვისთვის ფუნქციონირებს დანარჩენი 6 რუსული საშუალო სკოლა?

ამ რუსულ სკოლებში დაახლოებით იმდენივე ქართველი ბავშვი სწავლობს, რამდენიც რუსია. დანარჩენი სხვებია. რუსულ სკოლებში სწავლობს რაიონში მცხოვრები სომეხი ბავშვების 88%, იეზიდების 80%, აზერბაიჯანელების 98%, ქურთები 99%, ებრაელების 85%, ოსების 48%, ასირიელთა 93% და ა. შ.

აი, ასეთი მდგომარეობაა და აქედან ბევრი სავალალო დასკვნის გამოტანა შეიძლება.

მთავარი გარედან მოსული ჭირია, მაგრამ ისეთიც ბევრი გვიჭირს, რასაც სხვას ვერ დავაბრალებთ, რაც ჩვენი ზედოვლათობისა, შიშის, ლაჩრობის, ყურთბალიშზე წოლის ბრალია.

მიდი ახლა შენ და „ნამუსში“ ჩააგდე სომეხი, თათარი, ოსი — რად მიგყავს შვილები გარუსების მთავარ ინსტიტუტში — რუსულ სკოლაშიო... აბა ნახეთ, რამდენი გზააბნეული ქართველი მშობლის რამდენი გზააბნეული შვილი ზის მათ გვერდით...

თუმცა... „გზააბნეული“ უძახე შენ. აბა, ერთი ჩახედე გულში — რას ფიქრობენ ეგენი; ქართული ენა, როგორც აუცილებელი ენა, როგორც საჭირო ენა აღარ ფუნქციონირებს საქართველოში. ხვალინდელი დღე რუსული ენისაა. აი, ეს პროგნოზი წარმართავს ამ ქართველის საქციელს და პირველი სექტემბრის დილას ახალი ჩანთით, სიხარულითა და რაღაც სასწაულის მოლოდინით სავსე გოგონა თუ ბიჭუნა სხვის სკოლაში მიჰყავს, სამუდამოდ უკეტავს გზას, რომელიც შოთა რუსთაველისკენ, ილია ჭავჭავაძისკენ, ვაჟა-ფშაველასკენ, ბაგრატია ტაძრისკენ, „შენ ხარ ვენახისკენ“ მიდის, გზას, რომელიც სამშობლოს გულისკენ მიდის.

ბუნება მოითხოვს, რომ დიდმაც და პატარამაც თავის მიწაზე იცხოვროს, თავისი სალოცავები ილოცოს, თავის ენაზე ილაპარაკოს. ბუნებრიობის დარღვევა ყოველთვის ცუდი შედეგებით მთავრდება. დღეს ჩვენს თვალწინ მსოფლიოს უკანასკნელი იმპერია ილეწება. ის უცოდველი ადამიანების სისხლმა და ცრემლმა მოწამლა, მას არსებობის ჟავლი გაუვიდა. მის წინ ბუნებამ აღმართა ზღვარი, რომლის იქით წასვლა აღარ შეიძლება.

დღევანდელ რეალობას საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებანიც უფრო ღრმად უნდა დაუფიქრდნენ და უფრო რეალურად გააცნობიერონ თავისი მდგომარეობა. დიახ, ჩემის აზრით, უფრო ღრმად დაფიქრებაა საჭირო და არა ყოვლად უპერსპექტივო, ზედაპირული მისთქებ-მოსთქებანი, რომელიც მათ უბედურების მეტს არაფერს მოუტანს და არც ქართველი ხალხისთვის ჩაივლის უმტკივნეულოდ... თორემ რა გამოდის? აგერ, ერთი გარუსებულ-გააფხაზებული ქართველი, ვიღაც ვ. წვინარია დიდი ამბით წერს: „საქართველოში გაშლილი ეროვნული მოძრაობა იქითკენაა მიმართული, რომ საქართველო გამოვიდეს სსრკ შემადგენლობიდან. ჩვენ, აფხაზები, კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ამისი და სანამ ერთი აფხაზიც კი ცოცხალი იქნება, მანამ ჩვენ საბჭოთა კავშირის ფარგლებში დარჩენისათვის ვიბრძოლებთ“. ხედავთ? ჩვენ, აფხაზებიო.. მთელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სახელით ლაპარაკობს ბატონი ვ. წვინარია, მაგრამ რაღაც არ გამიგია, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეფერენდუმი... ჩატარდა, და აქ მცხოვრებმა ქართველებმა, სომხებმა, რუსებმა, აფხაზებმა... ერთხმად იგრიალეს და დედა-რუსეთს მიაშურესო... დავუშვათ და ვ. წვინარიას მიერ გამოთქმული აზრი მართლაც უკლებლივ ყველა „ცოცხალი აფხაზის“ აზრია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამ აზრს, როცა საქმე საქართველოს ისტორიულ კუთხეში მცხოვრებ მთელ მოსახლეობას ეხება?..

ვ. წვინარიას სამაჩაბლოს ოსებს შორისაც ჰყავს თანამოაზრენი, მაგრამ მსგავსი რომანტიკული შეძახილები ძნელად თუ ჩაითვლება პოლიტიკად, რაც მეტად და მეტად გულდასაწყვეტია. იმის იმედი კი აუცილებლად უნდა ვიქონიოთ, რომ ოსეთშიც და აფხაზეთშიც მალე შეწყდება ეს ფსევდოპატრიოტული „ამოფრქვევა“, გამოჩნდებიან კაცები, რომლებიც გვერდზე გადასწევენ ასეთი რადიკალური გამოთქმების ავტორებს და ჭეშმარიტ ხელმძღვანელებად მოევლინებიან მშობელ ხალხს.

ჯერ კი „ამოფრქვევა“ გრძელდება — მოითხოვენ მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსს, მოითხოვენ „დიდი ოსეთის“ შექმნას, მოითხოვენ აზერბაიჯანულ ავტონომიას დედაქალაქ რუსთავით, მოითხოვენ თურქულ ავტონომიას მესხეთში... არენაზე, ეტყობა, მალე გამოჩნდება ქისტების ავტონომია, საგარეჯოს რაიონში მცხოვრები აზერბაიჯანელების ავტონომია, ბერძნების ავტონომია და ა. შ. უსასრულოდ... მაგრამ რა დროს ხუმრობაა. ყველას გასაგებად უნდა ვუთხრათ: ქარს ნუ თესავთ, ძმებო! ნიადაგიდან, სადაც ეგ თესლი ეცემა, უკვე ავისმომასწავებელი მცენარე ამოდის!

ერთი წუთით მომავალსაც გავხედოთ და სხვებიც გავახედოთ. — ვთქვათ, ღმერთმა გვისმინა და ჩვენი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა — შევქმენით დამოუკიდებელი სახელმწიფო. საზრუნავი ყველა სახელმწიფოს აქვს და ჩვენც არ აგვცდება ათასი საზრუნავი... ომების ბოროტებაზე, ომების საშინელებაზე ომების გაჩენის დღიდანვე ლაპარაკობენ, მაგრამ ომები მაინც არ ისპობა... წარმოიდგინეთ, რომ საქართველოს თავს დაესხა სხვა სახელმწიფო და დაიწყო ომი. რას იზამენ მაშინ საქართველოში მცხოვრები ოსები, თათარ-თურქები ან სხვები?..

ვთქვათ პირდაპირ: იფეთქებს სიძულვილის სინდრომი და გვიღალატებენ.

ისტორია მართლა სულ ტრიალებს, სულ მეორდება... მეორდება დიდსულოვნება, მეორდება უკეთური ვნებანიც.

აი, ერთი ადგილი ალექსანდრე ყაზბეგიდან:

„თემის თავებიდან ყველაზე უფროსი წამოდგა, გავიდა შუა ადგილას, დაიჩოქა და წარმოთქვა:

— ხალხნო და ჯამაათნო!.. სმენა იყოს და გაგონება... აი, თქვენს წინა სდგას ორი ოსი.. ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ესენი ჩვენს თემობაში მოვიდნენ, შეგვაბრალეს თავი და შეგვატყუებინეს, რომ თავიანთ ხალხში აღარ ეცხოვრებათ, რადგან კაცი შემოჰკლომიათ და სდევნიდნენ... ჰაი, ჰაი, რომ ნებისნებად კაცის სიკვდილი არ ვარგა. ცოდოც არის, მაგრამ როცა კაცს გაუჭირდების, არსმც თუ ცხოსა, თავსაც კი მოიკლავს ხოლმე... კაცის შემოკდომა უბედურებაა და უბედურები ითხოვდნენ ხევისგან ლუკმა პურსა და თავშესაფარსა... ხევი ჩვეული არაა სტუმარს დაემალოს, მთხოვარაი არ განიკითხოს; ხევმა მისცა მათ ბინა, აუშენა სახლი, დაუთმო სახნავები, ხევმა იძმო და მოსვენებული ცხოვრება მისცა... ამათ რითიღა გადაუხადეს მადლობა?.. ჩვენს მტერს უჩვენეს მოსასვლელი ბილიკები, ჩვენს ჯარს მოულოდნელად თავს წამოაყენეს და ვინც ამათ ლუკმა მიაწოდა, საკიდელი ჩამოაკიდებინა, ისინი ღალატით გააწყვეტინეს“...

მცირე სიჩუმის შემდეგ, გოჩამ აილო თავი და წარმოთქვა:

„ორნივ ჩაქვავდეს!“

„ხევისბერი გოჩას“ ეს ნაწყვეტი ლიხნის შეთქმულებამ, „ადამონისახელთა“ „სოლიდარობის“ წერილმა, მოსკოვში გაგზავნილმა დასმენებმა და საჩივრებმა, ქართველი და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხების დღევანდელ და მომავალ ურთიერთობებზე ფიქრმა გამახსენა.

ამით ვამთავრებ. ეს წერილი რაიმე დასკვნებისთვის და მტკიცებებისთვის არ დამიწერია. მე მხოლოდ ჩემი ტკივილი ვთქვი.

# ღია წერილი საქართველოს პროკურორს ვ. ა. რაზმაძეს

როცა 1990 წლის 28 თებერვალს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" თქვენი მორიგი ინტერვიუ წავიკითხეთ, დავრწმუნდით, რომ თავზედური სიცრუისა და ფალსიფიკაციის დიდებული უნარი გაქვთ, თუ მანამდე ეჭვი გვეპარებოდა მრავალი გაფუცუღლისა და მოშიშვილის მიერ თქვენთვის გამოცხადებული ბრალების სიფუძვლიანობაში (ისინი უნდობლობას უცხადებდნენ აფხაზეთში 1989 წლის ივლისში მომხდარი ამბების გამოძიების ხელმძღვანელობას), უკანასკნელი ინტერვიუ წარმოგვიდგა, როგორც ერთაშორის ურთიერთობის ნიადაგზე სამართალდარღვევების სამართლებრივი შეფასებისას თქვენი არაობიექტურობისა და ტენდენციურობის ნათელი დასტური; როგორც დასტური იმისა, რომ კანონს განიხილავთ თქვენი ერის საამებლად.

15 ივლისს, სოხუმში, ორი მოძმე ხალხის შეტაკების ფაქტიურ გარემოებათა ასეთი აშკარად გამოკვეთილი დამახინჯების შემდეგ, ჩვენ თქვენი სახით ვხედავთ არა პროკურორს — კანონის დამცველს, რომელიც მოწოდებულია სამართლიანობისთვის საბრძოლველად, არამედ ნამდვილ არაფორმალს, რომელიც არალეგალურად იჩემებს ქართული ფენომენის ერის ლიდერობას და უკიდურესად აგრესიულ, ანტიაფხაზურ პოლიტიკას ეწევა.

იმის ნაცვლად, რომ ეძიოთ გზები აფხაზი და ქართველი ხალხების დარღვეული ძმური ურთიერთობის აღსადგენად, თქვენს ინტერვიუში თავხედურად, დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ აფხაზების მხრიდან ივლისის ამბებს ორგანიზებული, წინასწარ დაგეგმილი ხასიათი ჰქონდა. ასეთი ცრუ განცხადება ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ მხოლოდ ისე, როგორც აშკარა მოწოდება ქართველი ერისადმი, მოაწყონ მორიგი სისხლისღვრა უძველეს აფხაზურ მიწაზე.

თქვენი ინტერვიუ საფუძველს გვაძლევს მივაკუთვნოთ ერთაშორის შუღლის აქტიურ გამღვივებელთა რიცხვს, რომელიც, საკუთარ თავს ვერ ამჩნევს და სხვა, ვითომ გამღვივებლებს ეძებს.

გთხოვთ განგვიმარტოთ—თქვენთან, საქართველოში, სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლი მხოლოდ ეროვნების მიხედვით მოქმედებს? თუ ასე არ არის, მაშინ აგვიხსენით, რატომ არ მიეცით სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერა ვარძიაშვილი, რომელიც 1989 წლის 25 ოქტომბერს „აიდგილარაში" აფხაზებს ემუქრებოდა და წერდა: „...ბერიამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა... ახლა ცოცხალი რომ იყოს, ერთი დღე-ღამე ეყოფოდა ჩვენი მიწის აფხაზებისაგან გასაწმენდად..." თუ მისი მისამართი არ იცით, ჩვენ გიკარნახებთ: 380002, თბილისი—2, კამოს ქ. № 2, ბინა 11.

სრულიად უსაფუძვლოა თქვენი დასკვნა იმის შესახებ, რომ აფხაზებმა დასვეს საკითხი ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოდან გამოყოფის შესახებ და რაცა მიზანს ვერ მიაღწიეს, ძალადობას მიმართეს.

როცა ყველა ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში გაიშალა ბრძოლა კონსტიტუციური უფლებების გასაფართოებლად, აფხაზ ხალხს იმედი ჩაესახა, რომ ახალი დემოკრატიული მოძრაობა ძალლონეს არ დაიშურებდა ყველა ხალხის ჭეშმარიტი თანასწორობის მისაღწევად, ამ ხალხის რიცხობრივი რაოდენობისა და მათთვის მინიჭებული კონსტიტუციური უფლებების მიუხედავად. აფხაზეთის მშრომელებმა მიიღეს ცნობილი ლიხნის მიმართვა, რომელშიც დასმულია არა ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის საკითხი, არამედ აფხაზეთისთვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უკანონოდ წართმეული სტატუსის დაბრუნების საკითხი.

მაგრამ თქვენი სახით საქართველოს პროკურატურის ხელმძღვანელობამ მიღებული პოლიტიკური აქტი არასწორად შეაფასა.

სხვათაშორის, გაცნობებთ, რომ არც ერთ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც გაეგზავნა აფხაზური მიმართვა, და არც ჟურნალ „იზვესტია ცკ კპსს" (10-1989) ახე არ შეუფასებია ეს წერილი.

შემდეგ თქვენი მოადგილე დ. ჩიტლოვი თავის ინტერვიუში (ჟურნალი „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტ" № 7, 1989) 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, თბილისში დატრიალებულ ტრაგიკულ ამბებს უკავშირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლის საკითხის აღძვრას. აპრილის ტრაგედიის დასაწყისი თქვენ და ჩიტლოვმა თვით ქალაქ თბილისში უნდა ეძიოთ და არა სოფელ ლიხნში. სწორედ 1988 წლის ნოემბერში, მრავალრიცხოვან არასანქციონირებულ მიტინგებზე, დემონსტრაციებსა და გაფიცვებზე გაისმა აშკარად თქვენი მოწონებული მოთხოვნები, რომლებიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება — საქართველოს გამოსვლა საბჭოთა კავშირიდან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმება.

თავის მხრივ, აფხაზმა ხალხმა ეს აქცია მიიღო, როგორც მისი ეროვნულ სუვერენიტეტზე თავდასხმა და იძულებული გახდა მიელო ხსენებული მიმართვა ერთადერთი მიზნით — დარჩენილიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სსრკ-დან საქართველოს შესაძლებელი გასვლის შემთხვევაში.

ასე რომ, 1988 წლის მიტინგებისა და დემონსტრაციების მონაწილეები ვერაფრით ვერ იწინასწარმეტყველებდნენ ლიხნის 1989 წლის მარტის მიმართვას და ამ ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენებს შორის, როგორც არ უნდა მოინდომოთ, მიზეზობრივ კავშირს ვერ დაამყარებთ.

თქვენთვის ცნობილია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა დაძაბულობამ აფხაზეთში, რომელსაც ქართველი ექსტრემისტები ყოველდღიურად ამწვავებდნენ, თავის აპოგეას იმ წუთიდან მიაღწია, როცა ქართული ნაციონალიზმის ექსტრემისტულმა ძალებმა დაძაბულობის ეპიცენტრი თბილისიდან სოხუმში გადაიტანეს. ვითარება უკიდურესად გამწვავდა იმ დღიდან, როცა გამოიცა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არაკანონიერი განკარგულება — გახსნილიყო სოხუმში თსუ ფილიალი, რომელიც 15 ივლისს ძმათა სისხლისმღვრელი შეტაკების უშუალო მიზეზად იქცა.

თუკი სსრკ გენერალურმა პროკურორმა მიიჩნია, რომ ეს განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-12 მუხლსა და საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით (2 სექტემბერი, 1982, № 816), დამტკიცებული დებულების მე-5, მე-10 პუნქტების მოთხოვნებს, თუ მან საქართველოს მინისტრთა საბჭოს წინაშე დასვა საკითხი, აღმოფხვრილიყო სოხუმში თსუ ფილიალის შექმნის დადგენილი წესის დარღვევა, საკითხავია, თქვენ, ამასთან დაკავშირებით, ინტერვიუში შეგნებულად არიდებთ თავს პირდაპირ პასუხს კითხვაზე — რა არის 15 ივლისს სოხუმში შეტაკების უშუალო მიზეზი?

ყველა აფხაზს, ვინც მხარს არ უჭერს ქართველი არაფორმალების ანტისაბჭოთა პოლიტიკას და მათ გამოხტომებს ებრძვის, თქვენ ექსტრემისტისა და ნაციონალისტის იარლიყს აკერებთ.

ჩვენსა და თქვენს შეხედულებებსა და მოქმედებაში დღეს ნამდვილად არსებითი განსხვავებაა და იძულებული ვართ, ეს საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანოთ.

თქვენთან (არაფორმალებს ვგულისხმობ) ნამდვილი ნაციონალიზმია, ჩვენთან — ინტერნაციონალიზმი;

თქვენ ერთაშორის დაძაბული ურთიერთობის გამწვავების მომხრენი ხართ, ჩვენ — ამ დაძაბულობის შენელების მომხრენი;

თქვენ სამფეროვანი მენშევიკური დროშა გაქვთ, ჩვენ — ერთფეროვანი წითელი საბჭოთა დროშა.

თქვენთან გაუთავებელი არასანქცირებული მიტინგები და დემონსტრაციებია, ჩვენთან — სანქცირებული.

თქვენთან მრავალპარტიულობაა, ჩვენთან — ერთპარტიულობა; პარტიას ლენინურს ვუწოდებთ.

თქვენთან ამბობენ: „არ გვინდა სკკპ", ჩვენთან — „გაუმარჯოს სკკპ".

თქვენთან ... მარტაილეთებს წვავენ, ჩვენ კი მათ გულთან ახლოს, სითუთად ვინახავთ.

თქვენ ეროვნული არმიის მომხრენი ხართ, ჩვენ კი — ინტერნაციონალურისა;

თქვენ ერთიანი დამოუკიდებელი საქართველოს მომხრენი ხართ, ჩვენ — ერთიანი საბჭოთა ოჯახის მომხრენი.

თქვენ ლენინის ენას ეწინააღმდეგებით, ჩვენ მას ვემხრობით.

თქვენ ერთი სახელმწიფო ენა გაქვთ, ჩვენ — სამი.

თქვენთან ვანდალურად იქცევიან, შეურაცხყოფენ ლენინის, კიროვის, ორჯონიკიძის ძეგლებს, ჩვენ კი მათ წმინდად ვიცავთ და ყუმბარების ნაცვლად ყვავილებს ვაწყობთ.

თქვენთან — „რუსო ოკუპანტებო, გაეთრიეთ საქართველოდან", ჩვენთან კი — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება".

თქვენთან — „საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის", ჩვენთან — „აფხაზეთი ყველასათვის" (კეთილმოსურნეთათვის).

თქვენ კოსტავას და გამსახურდიას იდეებს ემხრობით, ჩვენ კი — ლენინის იდეას.

თქვენს დამნაშავეებს თავისუფლად მიუწვდებათ ხელი ტელევიზიასა თუ პრესაზე, ჩვენსას — საგამოძიებო იზოლატორში ათავსებენ.

ასეთი შედარებების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება. თქვენ რომ ოდნავ უფრო სამართლიანი პროკურორი ყოფილიყავით, ყველაფერს ამას თვალს მიადევნებდით და შესაბამის ზომებს მიიღებდით.

ახლა ჯანსაღად მოაზროვნე ხალხმა განსაჯოს, ვინ არის ჩვენს შორის ექსტრემისტი.

**სსრკ გენერალური პროკურორი, ამხ. ა. ი. სუხარევო.**

დაგვიცავით პროკურორ რაზმაძის საშინელი თავდასხმისაგან. ის ქართული შოვინიზმის შხამითაა მოწამლული და 37 წლის მეთოდით ეწევა რეპრესიის პოლიტიკას, გარდა ამისა, წმენდს რესპუბლიკის პროკურატურას სხვა ტომის ხალხისგან — აფხაზებისგან.

**აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას" გუდაუთის განყოფილების გამგეობა.**

„ბზიფი", № 27, 1990 წლის 3 მარტი.

**რედაქციისაგან:**

ვფიქრობთ, საგანგებო დაკვირვება არ ჰირდება იმის აღიარებას, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოში, ამიერკავკასიაში და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში, პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა; ყოველ შემთხვევაში, აშკარაა კონსტრუქციული აზროვნებისაკენ სწრაფვა, გარკვეული ძალა შეიძინა საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა და, რაც მთავარია, შედარებით ჩაცხრა ეროვნებათშორისი კონფლიქტები, გამოიკვეთა ზოგიერთ მოპირისპირე მხარეთა საერთო სურვილიც — ყოველგვარი კონფლიქტი თუ პრობლემა გადაიჭრას მხოლოდ სიტყვის, მოლაპარაკების გზით.

დღევანდელ ამ სიტუაციას ბარომეტრივით ასახავს პრესა — მძაფრი ვნებათაღელვანი, ეროვნულ გრძნობებზე რომ ალიძვროდა, ჩაცხრა. ემოცია თანდათან გულდამჯდარმა განსჯამ შეცვალა.

ამიტომაც მეტად უხერხულ ანაქრონიზმად მოჩანს გაზეთ „ბზიფის" ეს პუბლიკაცია.

ყველას გვაქვს უფლება, პრესაში გამოთქმულ კონკრეტულ აზრს არ დავეთანხმოთ, უკუვაგდოთ და იქვე ჩვენი თვალსაზრისიც წარმოვადგინოთ, მაგრამ თუკი კონტრარგუმენტების ნაცვლად იმას ჩამოვწერთ, რაც გულს გაუხარდება, ეს დემაგოგიად ან სულაც ინფანტილიზმად ჩაგვეთვლება.

მრისხანება, ცოფის ყრა და გულბრაზიანი განკითხვა ჭეშმარიტების დადგენის საშუალებად არ გამოდგება. თუმცა, როგორც ჩანს, წერილის ავტორებს ჭეშმარიტება იმდენად არ აინტერესებთ, რამდენადაც პროკურორ ვახტანგ რაზმაძისა და, საერთოდ, ქართული ეროვნული მოძრაობის დაურიდებელი ლანძღვით გულის მოოხება.

ამ წერილს კომენტარი არ ჰირდება, ყველაფერი ხელისგულზეა, მაგრამ ერთ მომენტს შევნიშნავთ. წერილის ავტორები, „აიდგილარას" წევრები ამაყობენ იმით, რომ მათსა და ქართველ არაფორმალებს შორის არსებითი შეუთანხმებლობაა. ეს კი მართლაც სამწუხარო ფაქტია, მით უმეტეს, ბოლო ხანებში დიალოგის დაწყების ნიშნები ჩნდება. სამწუხაროა, კიდევ უფრო იმიტომაც, რომ მათი სიამაყე შიშველ, არცთუ სერიოზულ დეკლამაციაზეა დამყარებული. ზოგს თუ ასე არ ჰგონია, გავა დრო და მიხვდება, რომ ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის, სამფეროვანი დროშისა და წითელი დროშის, არასანქცირებული და სანქცირებული მიტინგების, მრავალპარტიულობისა და ერთპარტიულობის, სკკპ-ს მხილებისა და სკკპ-ს გალმერთების, უარყოფილი და გულში შენახული პარტბილეთებისა და ა. შ. დილემაზე თამაში შედეგს არ მოიტანს.

ძველ მოტივზე მღერის „აიდგილარას" გუდაუთის განყოფილების გამგეობა. რა დიდი სიბრძნე და პოლიტიკური ალღო ჰირდება იმის მიხვედრას, რომ ბოლშევიკური ეიფორიის ხანა წარსულს ჩაბარდა, ერთპარტიულობის ჯავშანი ჟანგმა შეჭამა (ცოტაც რომ მოეცადათ, სსრკ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე ყრილობა მაინც აუხელდათ თვალს).

მკითხველს ნუ ეგონება, რომ წერილის ავტორები შემთხვევით მიმართავენ ამხანაგ ა. სუხარევს. სწორედ მისი მეცადინეობით ჩაიფარცხა 1989 წლის 1 აპრილის ცნობილი ინციდენტის, აგრეთვე, შლარბასა და გურჯუას საქმეები და, უეჭველია, მათ კვლავაც მისი „თბილი გულის" იმედი აქვთ.

და ბოლოს, ის არაფორმალები, „აიდგილარა" ექსტრემისტებს რომ უწოდებს, დღეს საფუძველს უყრიან სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხთა შერიგების საქმეს, საერთოდ, ამიერკავკასიაში სიმშვიდის დაცვას, და მეტად სამწუხარო იქნება, თუკი მათი ეს კეთილშობილური წამოწყება სათანადოდ არ დააფიქრებს აფხაზეთის სახალხო ფორუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი ზვიად გამსახურდიას

ჩვენს მხარეში, ე. წ. სამხრეთ ოსეთი რომ ეწოდება, ქართველობა ძალზე დიდ დისკრიმინაციას განიცდის. დავიწყოთ ცხინვალის რაიონიდან. დიდი ლიახვის ხეობაში სოფელი თამარაშენი ერთ-ერთი უძველესია. მისი აღორძინება თამარ მეფეს უკავშირდება. საუკუნეების განმავლობაში ამ სოფელში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ თავადი მაჩაბლები, რომლებიც მთელ დიდი ლიახვის ხეობას ფლობდნენ ყელის ტბამდე და ნარამდე. მათ ბევრი რამ შესძინეს სამშობლოს. ააგეს ციხე-დარბაზები და ეკლესია-მონასტრები, დღესაც რომ გვაოცებენ თავისი გრანდიოზულობით. ესენია აბონწმინდას მეშვიდე საუკუნის ბაზილიკა, ამავე საუკუნის სოფელ აჩაბეთის „სასახლე და ციხე მეფეთა", მეცხრე საუკუნის სოფელ ხეითის საბაწმინდის ტაძარი, მეცამეტე საუკუნის თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი და სხვა მრავალი. არცერთ ამ ძეგლს პატრონი არა ჰყავს, ისინი გაძარცვული და განადგურებულია. ძეგლთა დაცვის საოლქო ორგანიზაცია, რომლის უფროსს, 90 წელს გადაცილებულ ხეიბარ პეტრე ფუხაევს, არც კი აინტერესებს ჩვენი ძეგლების ბედი. ის წლების განმავლობაში ბიულეტენზეა და ხან სახლში, ხან კი საავადმყოფოში წევს, რის გამოც არ შეუძლია ძეგლების ბედზე იზრუნოს. არც პარტიის ცხინვალის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ფელიქს ჯიოევი დაგიდევდათ ამ ძეგლების ბედს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ძეგლები უკვე ინგრევა, ის ძვირფასი ასომთავრული წარწერები ძირსაა ჩამოყრილი და საცოდავად გამოიყურება. რაკი რაიკომი ვახსენეთ, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ჯიოევმა ისეთი კადრები (ოსები) დააწინაურა, რომლებმაც მთლიანად მოსპეს რაიონის ეკონომიკა და გარყვნეს ყოველივე. ავიღოთ, მაგალითად, გრომის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი ოთარ დუდაევი, რომელიც შემთხვევით მოხვდა ამ თანამდებობაზე და ისე გაანადგურა იქაურობა, რომ ხალხი გარბოდა მკვიდრი ადგილებიდან და სხვაგან სახლდებოდა. სოფელ ვილოდის ქართული მოსახლეობა რამდენიმე კომლის გარდა მთლიანად გორის რაიონში ჩასახლდა. ანდა სოფელ ქემერტის ყოფილი თავმჯდომარე ჟორა კასრაძე გავიხსენოთ, რომელსაც მხოლოდ სამი კლასის განათლება აქვს და ხელმძღვანელი კი ოცდაათ წელზე მეტი იყო. ფელიქს ჯიოევმა სამი მეურნეობა „შეაჭამა" ვინმე ალან აბაევს, რომელიც მეოთხე მეურნეობიდან თავისი სურვილით წამოვიდა. ჯიოევის „რეკომენდაციით" ხელმძღვანელ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ ოსები, და ეს იყო მხოლოდ ერთადერთი კრიტერიუმი. რაიკომსა და რაიაღმასკომში თითქმის ვერ ნახავთ ადგილობრივ ქართველს, ქართული სოფლებიდან არავინაა დაწინაურებული. ცხინვალის რაიონის ძველ ქართულ სოფლებში თამარაშენში, გუჯაბაურში, ქსუისში, არცევში და სხვაგან ჯიოევის დასტურით ჩასახლდა ასობით ოსური ოჯახი, მაშინ, როდესაც ქართველებს არავითარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ ეძლეოდათ.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. სოფელ ქემერტში მთიდან ჩამოსახლდა ვინმე ალბოროვი, რომელმაც ძალადობითა და ადგილობრივ ხელისუფალთა წაყრუებით ერთ ჰექტარზე მეტი მამული დაიკავა. მისი „ტრადიციები" გააგრძელა მისმა შვილმა ნოდარ ალბოროვმა, რომელიც ცხინვალში ცხოვრობს და სოფელში ძალადობით ააშენა სახლი და ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთიც დაიკავა. ყოველივე ამაში კი მათი დამხმარეები არიან რაიკომი და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ფილიევი. ასეთი მაგალითი უამრავია.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ ცხინვალში დაარსდეს ალმანახი ქართულ ენაზე. ცხინვალის ქართულ დასს მიენიჭოს მისი დამაარსებლის ზაალ მაჩაბლის სახელი. ე. წ. სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჯგუფებში შეტანილ იქნას სამეცნიერო თემები, რომლებშიც აისახება აქაურ ქართველთა ეთნოგრაფიის, ისტორიის, ენის, სიძველეების საკითხები. ამ მიზნით ყველა განყოფილებას უნდა დაემატოს სათანადო საშტატო ერთეულები.

უნდა აღდგეს ქსნის ხეობაში ლარგვისის წმინდა თევდორეს ეკლესია და გალავანი, ყანჩაეთის კაბენი, ჟამურის ალავერდის ციხე, ხოფის მონასტერი, ლეხაურას ხეობაში — კაბერი, მეჯუდას ხეობაში ვილდას ღვთისმშობელი, გვერდისძირზე მეექვსე საუკუნის ჭარების ეკლესია, უნდა შემოიღობოს იკორთა. პატარა ლიახვის ხეობაში უნდა აღდგეს ბელოთის ციხე-დარბაზი და შიგ მოეწყოს მუზეუმი, მუზეუმი უნდა გაიხსნას ფრონეს ხეობის თიღვის ტაძრის ეზოში. ძეგლებს უნდა გაუკეთდეს სათანადო დაფები.

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის, ოსური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე რუსლან ჯატიევი, იური გაგლოითი და სხვები კითხულობენ ე. წ. „ოსეთის ისტორიას" და სტუდენტებს მოძღვრავენ, თითქოს ოსები აქ, დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან სახლობენ და ეს მიწა მათი ისტორიული საკუთრებაა. მოვითხოვთ შეწყდეს ასეთი „ლექციების" წაკითხვა.

ცხინვალის რუსულ საშუალო სკოლებში, სადაც ქართულს ოსები „ასწავლიან", უნდა ასწავლონ მხოლოდ ქართველმა პედაგოგებმა, ამასთანავე, ყველა რუსულ სკოლაში უნდა გაიხსნას ქართული ჯგუფები.

მკაცრად უნდა დაისაჯონ გორის რაიაღმასკომის ხელმძღვანელები, რომლებმაც სოფლებში მეღვრეკისსა და ტირძნისში მამულები ჩაუგდეს ხელში საოლქო მილიციის თანამშრომლებს, ჰამლეტ ბითაროვსა და თემო გასიევს. ასეთი მაგალითიც ძალზე ბევრია, და სასოფლო საბჭოები მათ ჩაწერაზე უარს არ ეუბნებიან.

ცხინვალისა და ახლომახლო სოფლების ქართული საშუალო სკოლები მწვავედ განიცდიან სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის უქონლობას. ქართულ სკოლათა რაოდენობა ქალაქში არ იზრდება. ცხინვალის აღმოსავლეთით ორი კილომეტრის მანძილზე სოფელი მამისაანთ უბანია. კასრაანთ უბნის ჩათვლით აქ, ასი კომლი ქართული ოჯახი ცხოვრობს და ნუთუ არ შეიძლება დაწყებითი სკოლის გახსნა? ან იქნებ სოფელ გუჯაბაურში გაიხსნას სკოლა, რომელიც იქაურებს ასე ენატრებათ. ცხინვალი გაიზარდა და მასივებში რუსული სკოლებიც გაიხსნა. მეხუთე სკოლაში აუცილებლად უნდა გაიხსნას ქართული ჯგუფი, რაკი ეს სკოლა ვახსენეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ იქ ქართული ენის კაბინეტი ყოფილ საპირფარეშოშია მოთავსებული.

ჩვენი მხარის მიდამოები მოფენილია ისტორიული ძეგლებით და ისინი სხვადასხვა ეპოქებს განეკუთვნებიან. ათეული წლები გადის და რესტავრაციაზე არავინ ზრუნავს. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს ვთხოვთ რესტავრაციის რიგში დააყენონ თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, აჩაბეთის ციხე, სოფელ ქემერტის წმინდა გიორგის ეკლესია და საბრძოლო კოშკი, ზნაურის რაიონის სოფელ ოფორას ცხრაკარა და გომარეთის ეკლესია, სადაც გვირგვინოსანი ქალის პორტრეტი ახლაც კარგად იკითხება და არ არის გამორიცხული, რომ ის თამარ მეფისაა, უკეთეს შემთხვევაში, მას აუცილებლად დაცვა და შესწავლა სჭირდება. ჩვენს მხარეში დაანგრიეს ბევრი ისტორიული ძეგლი და ჩუქურთმიანი ქვებისაგან გომურები ააგეს, ასე მოხდა ცხინვალის რაიონის სოფელ ხოდში, ზნაურის რაიონის სოფელ წიფლითში, ხოლო მეშვიდე საუკუნის ბორცვის წმინდა გიორგის ძვირფასი დეკორიანი ქვები ცხინვალის ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლებში ჩაიკარგა. ეს პროცესი ახლაც გრძელდება, მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ, ფრონეს ხეობაში, სოფელ წორბისთან, მინდვრის სამუშაოების შესრულების დროს ტრაქტორის გუთანმა ამოაგდო ვეება ქვები, რომლებიც დიდი ოსტატობითაა დამუშავებული და ასომთავრული წარწერების შესრულება განცვიფრებას იწვევს. წარწერები წაიკითხა პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ და ისინი ახლახან გამოცემულ წიგნში „ფრონეების" ხეობების ტოპონიმია" შეიტანა პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა. აღნიშნული წარწერიანი ქვები კარგა ხანს ეწყო სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვესტიბიულში. მერე ეზოში გაიტანეს და ახლა ნაგავსა და სამშენებლო მასალების ნარჩენების გროვაში ყრია. თუ დროზე არ მივუშველით, შეიძლება ისინი სამუდამოდ დაიკარგოს. წინადადებას ვაყენებთ ცხინვალში ან ხეობის რომელიმე სოფელში შეიქმნას ქართული ისტორიული ძეგლების ამსახველი ნიმუშების მუზეუმი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ვთხოვთ დაგვეხმაროს ჩვენებური დიდი სწავლულის, აკადემიკოს ქრისტეფორე არუშიძის სახლ-მუზეუმის გახსნაში. არუშიძეთა ძველებური დიდ დარბაზიანი სახლი დგას ცხინვალში და მზრუნველ პატრონს ელის.

პრობლემა ბევრია, მხოლოდ მათ უმნიშვნელო ნაწილზე გავამახვილეთ თქვენი ყურადღება. ჩვენ მათ განვიხილავთ საზოგადოების სხდომებზე და ყველას თანადგომითა და დახმარებით განვახორციელებთ.

მაჩაბელთა გვარმა ბევრი სახელოვანი მოღვაწე მისცა სამშობლოს, რომლებმაც თავიანთი სახელები ჩაწერეს მატიანეში, დიდი ლიახვის ხეობაში მათ მიერ აგებული ბევრი ისტორიული ძეგლია, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს. მათ სახელთანაა დაკავშირებული მეცხრე საუკუნის ხეითის საბაწმინდის ტაძარი, მეცამეტე საუკუნის დიდებული ანსამბლი „თირის მონასტერი", მეშვიდე საუკუნის აჩაბეთის „სასახლე და ციხე", რომელთაც ვახუშტი ბაგრატიონი „მეფეთას" უწოდებს და სხვა. ამ ეკლესია-მონასტრებში და სხვაგან განისვენებენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილე პოეტი სვიმონ მაჩაბელი, მისი ძმა პოეტი დავით მაჩაბელი, ცხინვალის ქართული თეატრის დამაარსებელი ზაალ მაჩაბელი და სხვები. შექსპირის უბადლო ტრაგედიების მთარგმნელის ვანო მაჩაბლის სახლი ჯერ კიდევ შემონახულია სოფელ თამარაშენში. ათზე მეტი წლის წინათ ის გადაეცა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიას და ამ ხნის განმავლობაში სახლი რამდენჯერმე გადაკეთდა და მემორიალობაც დაირღვა. მთავარი ის არის, რომ ვანო მაჩაბლის მუზეუმი ვერ გაიხსნა და ყოველივე ამის გამო შეშფოთებული ჩვენი საზოგადოებრიობა, თამარაშენელები ჩივიან ზემდგომ ორგანოებში, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე რამდენჯერმე დაიბეჭდა მამხილებელი კორესპონდენციები, მაგრამ მშენებლები და ყველა, ვისაც მუზეუმის ბედი აბარია, არხეინად გრძნობენ თავს. მაჩაბელთა მემორიალური ნივთები გაფანტულია და არც მათ შეგროვებაზე ზრუნავს ვინმე. კოლეგიამ თავი ვერ გაართვა ამ საშვილიშვილო საქმეს, ამიტომ მუზეუმი პირდაპირ მწერალთა კავშირს უნდა გადაეცეს.

**ნიკოლოზ ოთინაშვილი**

ცხინვალი, სოფელი ქემერტი.

# ალსარ ქომათს

როგორც მახსოვს, მე და შენ პირველად 1972 წელს შევხვდით ერთმანეთს იალტის მწერალთა შემოქმედებით სახლში.

იმ ხანებში ჟურნალმა „დრუჟბა ნაროდოვმა" გამოაქვეყნა შენი მოზრდილი მოთხრობა. მთხოვე, მოთხრობა წამეკითხა და, თუ მომეწონებოდა, ქართულად მეთარგმნა. მოთხრობა წავიკითხე, მაგრამ თარგმნა არ მიფიქრია, რადგან სუსტ, უინტერესო ნაწარმოებად მივიჩნიე. მე მგონი, ჩემი აზრი მაშინვე გითხარი.

შენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამას ჩვენს შემდგომ ურთიერთობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია იყავი ღიმილიანი, პურმარილიანი ყმაწვილი და ჩვენს შორის გულღია დამოკიდებულება დამყარდა.

ამ ხუთიოდე წლის წინათ მწერალთა ბიჭვინთის შემოქმედებით სახლში რომ ჩამობრძანდი, დამირეკე. შენი ხმის გაგონება, ცხადია, მესიამოვნა და მაშინვე მოგაკითხე. შევხვდით ერთმანეთს, ძმურად გადავეხვიეთ, პურიც გავტეხეთ, ვისაუბრეთ მთისა და ბარისა. ერთი სიტყვით, იმ რამდენიმე დღეში ჩვენს მეგობრობას კიდევ ერთი აგური შევმატეთ. შემდეგ მეც ვაპირებდი ორჯონიკიძეში ჩამოსვლას. ვფიქრობდი, ალსარს დეპეშას გავუგზავნი და გამეგზავრები-მეთქი, მაგრამ სწორედ იმ დღეებში აფხაზმა ექსტრემისტებმა ქართველთა სისხლი დაღვარეს და ყველაფერი აირდაირია. მერე, მოგეხსენება, ამას შიდა ქართლის ამბებიც მოჰყვა.

წარმოიდგინე ჩემი გულუბრყვილობა — მეგონა, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც სამაჩაბლოში მოხდა, პირველ ყოვლისა, შენ აიმაღლებდი ხმას, შენ და ნაფი ჯუსოითი.

შენ — იმიტომ, რომ არაერთხელ დაგვილევია ქართველთა და ოსთა მეგობრობის სადღეგრძელო, და მჯეროდა, ამ მეგობრობის სადარაჯოზე პირველი დადგებოდი.

ნაფი კი იმიტომ, რომ მას, ათიოდე წელია ვიცნობ, გონიერ კაცად, ქართველებისა და ოსების კეთილმეზობლური ურთიერთობის ქომაგად მიმაჩნდა, ამასთან. ქართველთა მეგობრული გულისხმიერება, კეთილგანწყობა მას არასდროს მოკლებია. ამ რამდენიმე წლის წინათ შინ მეწვივნენ ნაფი ჯუსოითი და ტაჯიკი მწერალი, ჟურნალ „პამირის" რედაქტორი მახუდ მულოჯანოვი. მახუდი გაოცებული იყო, ისე ხმაშეწყობით ვმღეროდით მე და ნაფი ქართულ-ოსურ სიმღერებს. რა გიკვირს, ქართველებსა და ოსებს საუკუნეების განმავლობაში ერთად გვიცხოვრია, ჭირიცა და ლხინიც გაუყოფელი გვაქვსო, უთხრა ნაფიმ.

ერთ დღეს უცნობმა მანდილოსანმა დამირეკა და ქართულად მითხრა — მე ჯუსოითის მეუღლე ვარ, ნაფი გაგრის საავადმყოფოში წევს და გთხოვათ, მინახულოსო. მაშინვე საავადმყოფოში გავჩნდი... რამდენიმე დღე არ მოვშორებივარ ავადმყოფს. მერე ცხინვალიდან ნაფიმ ბარათი გამომიგზავნა, დიდ მადლობას მიხდიდა. ძმობას მეფიცებოდა.

ნათქვამია, ძმაო ძმითაო, ჰოდა. შარშან, ივლისში აფხაზმა ექსტრემისტებმა უდანაშაულოდ ქართველთა სისხლი რომ დაღვარეს, გულწრფელად მჯეროდა, ნაფის ჩემი ოჯახის ბედი შეაწუხებდა და წერილით მაინც შემეხმიანებოდა. მე ძმობა ასეთი მჯერა და ვიცი — სომხეთში ის საშინელი მიწისძვრა რომ მოხდა, გულმა არ მომითმინა და მესამე დღესვე ჩავედი ლენინაკანში, რათა გამეგო, რა ბედი ეწია ჩემი სომეხი ძმების ოჯახებს. მე და ჩემმა მეგობარმა რობერტ სიგუამ უსახლკაროდ დარჩენილი სომეხი მეგობრის მეუღლე და ქალიშვილი თან წამოვიყვანეთ და ექვსი თვის განმავლობაში სითბო და ყურადღება არ მოგვიკლია.

ჩერნობილის ავარიის ამბავი გაიგე თუ არა, იმავე დღეს დავურეკე კიევში ჩემს მეგობარ უკრაინელ მწერლებს — თქვენთვის ჩემი სახლის კარი ღიაა და მზადა ვარ ლუკმაც გავიყოთ-მეთქი. ერთმა მეგობარმა ოთხი სული გამომიგზავნა და, ღმერთია მოწმე, მე იმათთვის ყურადღება არ მომიკლია.

ამას თავმოსაწონებლად როდი ვამბობ, ეს ყველა ჩვენგანის ადამიანური ვალია.

და დიახაც, მოველოდი შენგან და ნაფისაგან ამ ადამიანური ვალის მოხდას.

სინამდვილეში რა მოხდა? — ნაფიმ სსრკ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე ისეთი დემაგოგიური განცხადება გააკეთა, რომ იმის ადგილას ნამუსიანი ადამიანი თვალს ველარ გაუსწორებდა ქართველ კაცს.

ხოლო შენ კი, აი, რა შინაარსის დეპეშა გამოგიგზავნია: თუ სამხრეთ ოსეთში ქართველ ექსტრემისტებს ოსთა ხოცვა-ჟლეტას არ მოაშლევინებთ, იმ 12 ათას ქართველს, ორჯონიკიძეში რომ ცხოვრობს, ცოცხალს ველარ იხილავთო.

აფერუმ შენს ვაჟკაცობას, ალსარ! შე კაი კაცო, ამას არ სჯობდა, გადმოსულიყავი სამხრეთ ოსეთში, შენი თვალით გენახა, რაც ხდებოდა და დასკვნები მერე გაგეკეთებინა?

ნუთუ ინტელიგენტმა, ჰუმანისტმა შეიძლება მსგავსი მკრეხელური აზრი გამოთქვას?!

რა ვქნათ ალსარ, უგუნურ ჩოჩიევის მიერ დანთებულ ცეცხლს ნავთი დავასხათ თუ იმ ხანძრის ჩაქრობა შევეცადოთ, ასე ულმობლად რომ ანადგურებს საუკუნეობით ნაგებ-ნალოლიავებ მეგობრობასა და ნათესაობას?

უგუნურობას ხეირი არავისთვის დაუყრია, ეს ალბათ, თქვენც მოგეხსენებათ, მეგობრობას კი გაფრთხილება უნდა, და სწორედ ამას უნდა უქადაგებდეთ უგუნური ჩოჩიევის ფეხის ხმას აყოლილ თქვენს თანამემამულეებს.

**ნოდარ ხუნდაძე**

## დავით მჭედლური

### მოკლული დრო

გარდასული დრო მოგონებათა შავი ხვრელია.
შემკრთალა გონი,
აზრი ყინვის ხმაურს გამოსცემს,
მეხსიერებაში თითქოს
ქვეწარმავლებმა გამოიზამთრეს.

ამაოა ქვეყნის ფუსფუსი,
პოლიტიკოსთა თაღლითობა,
პოეტის იმპოტენტური ვნებები
და მოლაყბეთა შეხლა-შემოხლა.

ქვეყანა კვლავაც გარდასულის
მავნე და ხრწნადი მიკრობებით ავადმყოფია.
განა ხმაშეწყობილნი არ ვმღეროდით,
როცა ჩვენი პაპები სიკვდილის გზას გაუყენეს?
განა მთელი სიცოცხლე ტრანსპარანტების
ყვავილნარში არ გავატარეთ?
ვთქვით კი ვინმემ:
— გვატყუებენ!
— გვატყუებენ!
— გვატყუებენ!

როცა დილიდან საღამომდე
დოგმატიზმის ქვებს გვაყლაპებდნენ,
ვინმემ მაინც ამოვიხავლეთ:
— მწარეა, მწარე!
როცა ჩექმიანი კაცები
მოძღვრის სამოსით იმოსებოდნენ,
მაშინ მაინც რად არ ვიყვირეთ:
— ავაზაკები!
— ავაზაკები!
— ავაზაკები!

როცა ღამე იდგა დიდი და უსაშველო,
თვალი ვინმეს ფხიზლად გვეჭირა?
როცა თაღლითთა ხელები
ტრიბუნებზე დაფარფატებდენ,
შენც ხომ მაშინ დარბაზში იჯექ
და მშვენიერ „აქტივისტკასთან"
ჩუმ მუსაიფში დროსა ჰკლავდი.

ახლა ის მოკლული დრო
ჩვენმა შვილებმა უნდა ათრიონ,
მას ჩვენი შთამომავლობა
ვერასდროს წარსულს ვერ მიაბარებს,
იგი მათ სულში, მათ ზნეობაში,
მათ ცხოვრებაში უნდა გაიხრწნას.

მოკლული დროის ტრაგიკული ხმა
საუკუნეებს აწრიალებს
და მომავალი დროის მკვიდრნი
თითს გაიშვერენ ჩვენი წაშლილი
საფლავებისკენ:
— საკვირველია, ამ ადგილებში
ბალახი მაინც კიდევ ამოდის!

ჩვენ ვართ დროის მკვლელთა
ულმობელი თაობა,
ამაოდ ვფხიზლობთ და გალიიდან
თავდახსნილი მხეცის სიფხიზლით
ვაყურადებთ ყოველგვარ ხმაურს,
ჩვენ მხარეს არის
ილუზიები,
ილუზიები,
ილუზიები...
დროის მხარეზე სხვა არაფერი —
უსასრულობის და ულმობელი სამსჯავროს
გარდა!

### ხვალისათვის

ცოტა სიმშვიდე, ცოტა მოთმენა,
გაძლება ხორცში ჩამჯდარი ხუნდის,
ცოტაც და ყვავილს ამოჰყრის მიწა,
სად ქვეწარმავლის სავსავებს კუდი.

ცოტა დანდობა, ცოტა იმედი —
სწორად გაივლის კირჩხიბი მრუდი.
ცოტაც და... მოვა თეთრი მხედარი,
იცოცხლე — ზეცას ვახალოთ ქუდი!

### მოჯადოებული წრე

ბელადი მოკვდა, დაემხო ძეგლი,
კვარცხლბეკი ახალ ღვთაებას უცდის,
ჯალათის პორტრეტს აფურთხებს ურცხვად
ბრბო, მის წინაშე მხოხავი მუცლით.

ბელადი — ბელადს, ტირანი ტირანს
ცვლის და ბორკილის გაისმის ჩხერა,
ფიქრები: ვაი, მამულო, ჩემო...
ღრიალი: დიდება, დიდება,
ბელადს!

### მთელი ზამთარი

მთელი ზამთარი... მთელი ზამთარი...
გამყინვარების საშინელ ზამთარს
თოვლქვეშ მეძინა, როცა ხეობას
მთების მძვინვარე გრიგალი ხრავდა.

აიმღვრა მიწა, აიპრა თოვლი,
და ხვლიკისფერად გარბიან წყლები,
გამოიღვიძა ისევ სამყარომ
და მეც თოვლივით მზის გულზე ვლღვები.

### დილის ნამი

შენი ნატვრით სნეული ვარ
მოფრქვეულო ველზე ნამო,
ველარ გნახე, ვერ ვიყვირე:
— დიადი ხარ, შესდექ, წამო!
არცვინ მონის ჯაჭვი ამხსნა,
არც ხაროდან მიხმო: ამო!
არც უფალი ბჭობად დაჯდა:
— რა უნდა ქნას ამ მონამო?!
უქმად დავრჩი სამშობლოში
ნამო, ნამო, ნამო, ნა...

### მზერა მომავალს დაეძებს

მზერა მომავალს დაეძებს,
გული ფრთხება და ურჩობს,
ვაჰ თუ, დაბრუნდეს „ბელადი",
ვაჰ თუ, კვლავ დაგამუნჯონ.

ვაჰ თუ, ამაოდ გვგონია —
ვდგავართ სინათლის ზღვართან,
ვაჰ თუ, კვლავ ყულფი გამოსკვნას
დიდმოხელეთა კასტამ.



ყველა ჩვენგანში ვაი თუ
ისევ მონა ზის მუნჯი,
არც ყულფის მზერა აშინებს,
არც საჯალათო კუნძი.

— ჯვარს აცვი! — ისევ იყვირებს
და ტაშსაც დასცხებს ურცხვად,
თუ ბნელის ძალებს უძლები
ვამპირი გამოუძღვა,

თუ დიქტატორის აჩრდილმა
გულზე დაგვადგა ჩექმა...
— ჯალათის თანამზრახველო
მონავ, განვედი ჩვენგან!
მონავ, განვედი ჩვენგან!!
მონავ, განვედი ჩემგან!!!

### ფიქრობს...

ფიქრობს პოეტი — რისთვის
ვცხოვრობ, ვჭირდები მე ვის?
ჟამი დამდგარა მკაცრი
ადამიანთა ნგრევის.

სული შეირყვნა ამდენ
დროის ტალახში თრევით,
ჟამი ბატონობს მკაცრი
ადამიანთა ნგრევის.

და ნანგრევიდან ზოგჯერ
ეძებს იმედის მთვარეს
ოცნება, როგორც ხვლიკი
ფრთხილად გამოდის გარეთ.

მაგრამ სად არის მთვარე,
ანდა სჭირდება ის ვის?
ისევ ყვირილი სულის,
ისევ ნგრევის ხმა ისმის.

ფიქრობს პოეტი — გამჩენს
რისი მაქნისი ვყევარ?
რისთვის მომასწრო ამდენ
სულთა უწყალო ნგრევას.

დროის უმკაცრეს სახეს,
რწმენის უწყალო თრევას,
ვით ალმადგინოს ისევ
ხვალის უცნობმა დღემან.

ან ვინ მელოდა ქვეყნად,
ანდა ვჭირდები მე ვის?
ჟამი დამდგარა მკაცრი
ნგრევის...
ნგრევის და
ნგრევის...

●

თამაზ ბაძაღუას ხსოვნას

აღარც დუმილი გაფანტეს წლებმა,
აღარც სამარემ შეიკრა პირი,
— არ იხმაუროთ! — ვაფრთხილებ შვილებს,
— არ იხმაურო! — მაფრთხილებს შვილი.

და სიფრთხილეში, კარგა ხანია,
უკვე დამჩემდა ცხოვრება ფრთხილი,
— ვაჰ თუ, მეზობელს სიმშვიდეს ვურღვევ,
ვაჰ თუ, მეგობარს დავუფრთხო ძილი.

შენი სახლია ცივი აკლდამა
და როცა ფრთხილად ვჩერდები კართან,
დაუნდობელი მსუსხავს დუმილი, —
სხვა არაფერი, დუმილის გარდა.

ღრმა ძილით სძინავს ბინის სამყაროს,
შენთვის საყვარელ წიგნებს და ხატებს,
შენს კალამს ადგილს არავინ უცვლის,
დევს ისე, როგორც წასვლის წინ დადე.

სამეზობლოში წალვრიან ჰიქას
და მერე დიდხანს მიფრთხება ძილი,
— არ იხმაუროთ! — ვაფრთხილებ შვილებს,
— არ იხმაურო! — მაფრთხილებს შვილი.

●

სამშობლო მოჰგავს მღელვარე ზღვას,
ტალღები რისხვით აწყდება ნაპირს,
გაუმჭვირვალი ღრიალებს სიღრმე
და ზედაპირზე ამოდის ქაფი.

— როდემდის გასტანს განგაშის ჟამი,
ანუ საითკენ ვიბრუნოთ პირი?
— შეწყდება ღელვა, დაწმდება ქაფი
და ტალღებიდან გამოვა გმირი!

●

უცებ წამოდგა საქართველო
და იგრგვინა: თავისუფლება!
მისმა ხმამ უმალ წამოჰყარა
ჩვენი მტრები
ოთხივე მხრიდან.

### ურჩხულის აგონია

იხარებდეთ,
იხარებდეთ,
ურჩხული კვდება!
საკუთარი ცოდვის ჭაობში,
საკუთარ ღვარძლსა და სიმყრალეში
მწოლიარე თრთის მისი ტანი.

მაგრამ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა,
აგონია არ დასრულებულა,
მისი ყოველი გაბრძოლება
კვლავ სისხლის დაუოკებელი წყურვილია,
მისი კიდურების ყოველი შერხევა
ახალი მსხვერპლის შთანთქმის ვნებაა!

მისი კვდომაც ისეთივე საშიშია,
როგორც სიცოცხლე,
მისი თავიდანაც შეიძლება ამოძვრნენ
პატარ-პატარა ურჩხულები,
შხამიანი, მყრალი მატლები,
ფხიზლად,
ფხიზლად, ამირანის ძენო!

... იხარებდეთ,
იხარებდეთ,
თურმე, ბედნიერ ვარსკვლავზე
ვართ დაბადებული —
ჩვენ ვესწრებით პრეისტორიული
გომბეშოს სიკვდილს!

პოეზია

## ჯანსუღ ჩარკვიანი

# ქრისტინა

„ვაი თქვენ, თვალთმაქცნო, რომ გარედან ასუფთავებთ სასმისსა და ჯამს, ხოლო შიგნით სავსეა მტაცებლობით და თავშეუკავებლობით".

(მათე)

იქნებ, სულაც ცხრა მთას იქიდან?

კაცმა არ იცის, საიდან ჩამოვიდა, ცოდვა, საწყალი, გლახაკი. სწორედ ასეთებზე ამბობენ, ავლანი მოვიდაო. ღმერთმა იცის, ვინაა, იქნებ, სულაც ტაძარსა და სამსხვერპლოს შუა მდგარა, იქნებ, უფლის სახელით მომავალი კურთხეულია. იქნებ, ამ საწყალმა უნდა გვაუწყოს წუთისოფლის აღსასრულის ნიშანი? ხოლო ვინც ბოლომდის მოითმენს, გადარჩებაო, ნათქვამია.

ნიკასთან ცხოვრობს სახლში, თავისი კუთხე აქვს, ტრომპიკული წყლული სჭირს და წელიწადში ოთხი თვე მაინც საავადმყოფოში წევს. თუ კარგადაა და ჯანზეა, ტელევიზორთან ზის და დედიშენის შვილი ხარ, აქეთ გადმორთავ... ჭამს და სვამს, თაფლი უყვარს და გადამდნარი ღორის ქონი... კიდევ რა გითხრათ? ხო, გაუხდელს სძინავს, ძველი სახლი და ძველებური დუმელი თუ ახსენდება და პირჩამხობილს სძინავს, გაუხდელს.

გვიან წვება და გვიან დგება, ადგომისას თვალებს მუჭებით ამოიჭიჭყნის, ამ დროს, ლოყები ვარდისფრად ულვივის, საფუარი რომ ცომში შეგიზელია, სწორედ ისე.

ორ თითს ონკანთან დაისველებს, თვალებში ამოისვამს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქრისტინა მზადაა იცხოვროს დღის სინათლეზე და არა მხოლოდ დღის სინათლეზე, დიახ, კიდევ შეუძლია სიცოცხლე, კიდევ, ერთი ხუთი საათი მაინც, სანამ ტელევიზორი არ ჩაქრება. ტელევიზორის შემდეგ კი, დამძიმებული თვალებით მივა თავის საწოლთან და ისევ ტანთგაუხდელი, პირჩამხობით ჩაესვენება.

ქვიშაზე აშენებული სახლები ესიზმრება, ამ სახლებს ადიდებული მდინარეები ანგრევენ და ქრისტინას გაღვიძებისას ყურებში სახლთა ნგრევისა და დაცემის ხმები ესმის.

თვითონ, რომ ჰკითხო, ახლადამოფოფქილ ყვავილსა ჰგავდა ახალგაზრდობაში. მე რომ წარბებს ამოვიქნიდი და ოდეკალონს მოვისხურებდი, ტუჩებს შევილებავდი და გულამოღებულ კაბას ჩავიცმევდი, ნიავის ამოლაღანებას ვგავდი. ბიჭები მომდევდნენ, გარანდული ფიცრებივით ზურგები ჰქონდათ, კეპზე გვირილებს გაირჭობდნენ, კბილებში ფხიან ბალახს და როგორც შობის ხეს, აქეთ-იქედან ისე მივლიდნენო.

იყო ცეკვა და გრიალი, აქეთ ქარაფშუტა გოგოების კივილი, იქეთ კიდე ჯანმრთელი და არჯალი ბიჭების ზმუილი... შუაღამემდე ცას ვარსკვლავებივით აჩნდა ჩვენი კისკისი. შუაღამე რომ გადავიდოდა, სიმღერითა და ცეკვით კვლავ შინისაკენ ვბრუნდებოდით.

ეჰ, სახლს რომ მივუახლოვდებოდი, გუნება შემეცვლებოდა, ვიცოდი, რაც მელოდა... ლოთი მამაჩემი სისხლიან თვალებს შემომანათებდა, ანთებულ თვალებს, მაგრამ მაინც მოხარშული თევზის ფერს...

ძუკნაო, ერთს შემყვირებდა და მხარზე მაჯის სიმსხო მუხის ხელჯოხს დამცემდა. მე ჩავიკეცებოდი, უმალ ჩავიკეცებოდი. ლოთი მამაჩემი, ახლა, როგორც ურჩხული, თავს ისე დამადგებოდა და კეფაში დამიწყებდა ცემას. კეფაში რომ ჩამცხებდა, ცხვირიდან სისხლი წამსკდებოდა თქრიალით, სისხლის დანახვისას რაღაცნაირად ჩაწყნარდებოდა ხოლმე მამაჩემი, ჩაწყნარდებოდა და ცემით გულმოჯერებული და გულმოყირჭებული, შემოდან ერთს კიდევ დამძახებდა — „ძუკნაო". ჩამქრალ მამაჩემს დედა უცებ ქოხიდან გამოსძახებდა, ჩვეულებრივად, ხმისაუწევლად გამოსძახებდა — კარგი, გეყოფა, მოკვდებაო. ეს იყო და ეს დედაჩემის გამოსარჩლება. მე ვეგდე ძირს სისხლში ამოთხვრილი, სისხლში და ტალახში ერთად ამოგანგლული, არეულ-დარეული.

ეგერ, როდის, დედაჩემი გამოვიდოდა ქოხიდან, ერთ ვედრო წყალს გამოიტანდა და თავზე დამათქიშინებდა. მე ოდნავ აზრზე მოვიდოდი, მერე ნელ-ნელა, ძლივს-ძლივობით ავიკრეფდი ნაწამებ და ნაგვემ სხეულს, და შინ შევლასლასდებოდი.

მეორე დღეს, რაღა თქმა უნდა, აღარ მივდიოდი გოგო-ბიჭებში, აღარც გზისაკენ ვიხედებოდი, მაგრამ მიზეზის პოვნას რა უნდოდა? საღამოს ისევ შინნაბადი არყით გაპობილი მთვრალი მოვიდოდა ლოთი მამაჩემი...

აქ რას აგდიხარო, რატომ შენს ტოლებში არა ხარო, იქნებ, გათხოვებაც არ გინდაო, იქნებ, შინაბერობას აპირებ, შე ძუკნა, შენაო და ისეთს გამილაწუნებდა, რომ სულ ჩინჩხლებს მაყრეინებდა თვალებიდან. არადა იმ დალოცვილმა ისეთი თავგანწირული ცემა იცოდა, რომ ახლაც მომენატრება ხოლმე, პირდაპირ სუნი მცემს მისი მუშტის ლაწანისა, რაღაცნაირი წამლის სუნი ასდიოდა მის შემოკრულს, სუნი კი არა, რაღაც იოდის გემოსავით დაჰკრავდა, რა აფთიაქში შევსულვარ და რა იმას ვუცემივარ. ბოლოსდაბოლოს მომწონდა, როცა სისხლში და ტალახში აზელილი მიწაზე ვეგდე.

ერთი ამხანაგი მყავდა, ანნა. იმას მამამისი არა სცემდა, არც არასოდეს არ გაულახა. ის გოგო მერე ქვეყნის სათრევი გახდა, კახპა და თახსირი, ბოლოს გალოთდა.

ლოთი მამაჩემი რომ აუმუვლდებოდა, ძაღლი წკმუტუნს იწყებდა, ხეზე ფოთლები აღარ ირხეოდნენ, ტანაყრილი ბალახი მიწას გაერთხმებოდა ხოლმე, „მგელიო", იტყოდა დედაჩემი და გაიკმინდებოდა...

ისე, ლამაზი კაცი იყო მამაჩემი. ჯანმრთელი, აყოჩებული, მოღერილი. თავმოძულებული ცემა იცოდა, ერთი თხლაშანით დააგდებდა ხოლმე მიწაზე დედაჩემს. ბოლოს, ჩვენ რომ წამოვიზარდეთ, შეეშვა. არა, კი არ შეეშვა, ძალიან რომ გალოთდა და გათახსირდა, ვეღარ ერეოდა... დედაჩემიც მაგარი ქალი იყო, ბახმახი ხელება იცოდა. ბუზღუნით გამოენთებოდა და რაც ხელში მოხვდებოდა, იმას ჩაუშვებდა ხოლმე თავში; მერე ხიფათში შეაფურთხებდა, ლოთი მამაჩემი თვალებს დახუჭავდა და სწორედ მაშინ მოხვდებოდა ხოლმე დედაჩემის მუშტი იმ მილულულ თვალებში...

ასე იყო თუ ისე, მამაჩემი დედაჩემის ცემას შეეშვა და ჩემზე გადმოვიდა. მე სუსტი ვიყავი, მთვრალზეც მერეოდა და ფხიზელზეც, თუმცა ფხიზელი არასოდეს მინახია ლოთი მამაჩემი. ერთხელ ყოფილა ფხიზელი და მაშინაც თავლაში თავის რძალს დატაკებია, რძალსაც ხმა არ ამოუღია და თივაზე უსიამოვნებიათ. დედაჩემი შესწრებია ამ საზიზღარ ამბავს, ფიწალი აუღია და რძალს კლავდა თურმე. რძალი კიდე ხარივით ღონიერი ყოფილა, დედაჩემს ბრდღვნია, ძირს დაუგდია და თან ჩაუყვირნია: შე ძუკნა შენა, ბულულებში რომ შენს დას უშვებოდა, მააშინ რატომ ხმას არ იღებდიო? თუ და იყო და იმიტომ, ახლა გაგუდლისდი? გართმევ თუ რა? ვის რაში სჭირდება შენი აყლაყუდა და წვერებგაბურძგნული ქმარი? შენი წარსული არ მომაყოლო აქო... ის დღე იყო და რძლები ერთმანეთს სულს უბერავდნენ, მამაჩემის ჯინაზე ერთმანეთი შეიყვარეს.

თვრამეტი წლისა გამათხოვეს. მთვარესავით ვიყავი, თხელი პირის კანი მქონდა, გავარვარებულ ღუმელს ვგავდი... ვისაც ცოლად მივყვებოდი ის კი არ მიყვარდა, სახლიდან რომ მივდიოდი ის მიხაროდა.

მომრთეს, გამომაწყვეს და მიმგვარეს, ვისაც მიმგვარეს გეზელქორს ჰგავდა, ყვითელი ფერის თვალები ჰქონდა, გაჯიჯგნილი ქოჩორი — შუბლს უფარავდა, სახეზე ჭორფლი ღორის ქირის წამალივით ეყარა. ნიორში არეული არყის სუნი ასდიოდა, ამ სუნმა ლოთი მამაჩემი გამახსენა და ტანში გამცრა, მსხვილად რომ დაგიფქვია, სწორედ ისე გამცრა.

მოვიდა ხალხი, მამამთილმა გოდრით ნეხვი და ნაცარი მოიტანა. ეს ჩვენში ოჯახის სიმდიდრეს ნიშნავდა სიმბოლურად. ურქო ხარი მოიყვანეს — (რქებწამტვრეული) ოჯახის ლონეს ნიშნავსო. აღდგომის მეორე დღეს ნაკურთხი ხატი და შინგამომცხვარი მრგვალი პურიც მოაყოლეს, პურზე ორი პატარა სანთელი ენთო, თაფლის სანთელი.

ჯერ გარეთ დაგვლოცეს და მერე სუფრასთან მიგვიწვიეს, ქოხში გაწყობილ სუფრასთან. ეს ჩემი საქმრო, გეზელქორს რომ ჰგავდა, ყვითელი თვალები რომ ჰქონდა და გაჯიჯგნილი ქოჩორი, არაყს ულაპავდა ჭიქიანად. მეექვსე ჭიქაზე, მორიდებით, თვალით მივანიშნე და ვუთხარი: ნუღარ დალევ ჩემო ძვირფასო-მეთქი. ეს ვთქვი და რომ მომიბრუნდა, ისეთი მთხლიშა სახეში, რომ ეკლესიის ჭაღივით გავხდი, ყველა მხრიდან ვანათებდი. ეეჰ, გავიფიქრე — ჩემი საზველი საერთოდ არა ყოფილა-მეთქი და სუფრიდან ჩუმად გაპარვა დავაპირე...

იმან გამიშვა, ხმაც არ ამოუღია, მაგრამ აბა რა ვიცოდი, გულში რა ჰქონდა ჩადებული?

გავედი, წუთი და ისიც გარეთ გაჩნდა. მოდი აქო, დამიძახა. მივედი. ხელი ღონივრად მომკიდა, ძლიერად ჩამჭიდა ხელი, სანეხვეზე გამიყვანა და მითხრა: აბა, ეხლავე ჩაიხადეო, ეხლავე, შე ძუკნა, შენაო, ვეხვეწე, ვემუდარე, მაგრამ საქმეში ხარ? სანამ თავისი არ გაიტანა და სანამ არ ჩამხადა, მანამ არ მომეშვა... წამკუზა, იქვე, ჩემს ილბალზე ჭინჭილებიანი ბებერი ჰინჰარი მოთხარა და უკანალზე შემომკრა. მირტყა და მირტყა, მირტყა და მირტყა. ვერცა ვკიოდი, მრცხვენოდა, მე დედოფალი ვიყავი, ის კიდე ნეფე იყო... ასე დამსუსხა და დამასივა და მიბრძანა ისევ შინ შევსულიყავი. შესვლისას ატყდა კიჟინა: „გორკა", „გორკაო", დამწვდა ეს უნამუსო ტუჩებში და დამაკვდა, აღარ მომეშვა, ისე მაკოცა, ისე ტკბილად, რომ ჰინჰრის სუსხი დამავიწყდა.

ის ღამე ხომ არაფერი, მეორე დღესაც ისე გაილეშა, რომ მეორე ღამესაც არაფერი და მთელი ერთი თვე ველოდი მის აზრზე მოსვლას და გამოფხიზლებას. მთელი თვის მანძილზე ისე იყო სავსე ჭურჭელივით, რომ ჩხუბის თავიც არა ჰქონდა. სხეულზე ნივრისა და არყის სუნი ასდიოდა, ეგდო გაპობილ შეშასავით.

თვის ბოლოს ჰა და ჰა, გამოფხიზლდა. დილაადრიან თვალებმოჭუტულმა დამიძახა, მოდიო, მეც ავდექი და მივედი. დამიყვავა და მერე სანეხვესაკენ მიმითითა — წადი და ის დიდი ჰინჰარი მომითხარეო. მე უხმოდ გავეცალე და წავედი, გადავედი სანეხვეზე, თვალს რომ მოვეფარე, ღობეს გადავევლე... არც ჩემებთან შემივლია, არც კაპიკი არ მიჭყაოდა ჯიბეში, ეგრევე, რაც მეცვა, იმით გავფრინდი. ბევრი ვიარე, ძალიან ბევრი. სად არ ვირბინე, ვის აღარ ვეღრიჯე, ვის აღარ ვემათხოვრე, რა მარილი არ ვნაყე, ბოლოს, თქვენ მოგადექით.

მსმენოდა, მაგრამ, მართალი გითხრათ, არ მჯეროდა, რომ ასეთი ქვეყანა და ასეთი ხალხი არსებობდა ამ ბოროტ დუნიაზე. მადლობელი ვარ, ღმერთი გადაგიხდით, მე მორწმუნე ქალი ვარ, ბოროტება არასოდეს ჩამიდენია, არყის გემოც არ ვიცი და საერთოდ არაფრის გემო არ ვიცი...

დავბერდი ქალი და სიზმარი რაა, წესიერი სიზმარიც არ მინახავს. მარხვის წინა დღეს, უფრო სწორედ, მარხვის წინაღამეს სიზმარი ვნახე. ვითომ, დედაჩემი მოვიდა, წყალი მთხოვა და მერე ერთმანეთში დანაყილი ჰინჰარი და მარილი მომცა, თან მითხრა: მამაშენის ხომ არაფერი გაგიგიაო. მამაჩემის ამბავი ათი წლის შემდეგ ჩემმა დამ მომწერა, მაგრამ დედაჩემისთვის არ მითქვამს, ვიცოდი, სიზმარი რომ იყო და თქმას აზრი არ ჰქონდა.

დედაჩემის სიკვდილის მერე, მამაჩემს დეიდაჩემი შეურთავს ცოლად. ბარემ აგერა ხარ, ჩვენთან ხარ და სახლ-კარს რაღა სხვა დაეპატრონოსო. საწყალ დედაჩემს ადრეც ეჭვი ღრღნიდა, ამ საქმის ეჭვი ღრღნიდა და ვინ იცის, სიზმარშიც იმიტომ მკითხა, — მამაშენის ხომ არაფერი გაგიგიაო. კიდევ კარგი, რომ არ ვუთხარი, რაც არ უნდა იყოს, მაინც ეწყინებოდა. არა, ის კი იცოდა, რაღაც, რომ ჩუმჩუმალაობდნენ, მაგრამ ცოლად მოყვანა მაინც ეწყინებოდა.

საოცარია, ერთხელ მაინც როგორ არ დააინტერესებთ ოცი წლის მანძილზე ან დედას, ან მამას, ან დას, ან ძმას სადა ვარ, ვისთან ვარ, მკვდარი ვარ თუ ცოცხალი. ორჯერ მივწერე წერილი, არცერთხელ არ მიპასუხეს, მესამედ რომ მივწერე და ჩემი პალტო მოვითხოვე, მაშინ კი გამომიგზავნეს პატარა ბარათი. ჩემი და მწერდა: მამა ამ ათი წლის წინათ გარდაიცვალაო, დეიდამ ხატი გაჰყიდა, შენი წილი შვიდი თუმანი შენმა ძმამ წაიღო, პალტო ორჯერ მეცვა, მზე რომ მოხვედროდა, მხოლოდ მისთვისო. ჩვენ უკვე რაიონის ცენტრში ვცხოვრობთო, მე მასწავლებელი ვარ, შენი ძმა კონსტრუქტორიაო, ნახვის დრო რომ გვქონდეს, უთუოდ გნახავდითო. გაისად „მინვოდში" ვაპირებთ დასვენებას და შეიძლება მაშინ გინახულოთო, გკოცნით, გეხვევით შენი და ლენა. ეს იყო და ეს. ხოჰ ერთხელ დისშვილმა გამომიგზავნა წერილი, ზედ მისი პატარა თათი იყო მიხატული, მორჩა და გათავდა, არავის არ ვახსოვარ, არც მე მახსოვს ისინი.

თუ რამე მახსოვს და ძალიან შთამბეჭდავად, მამაჩემის ცემა მახსოვს. ჰო, რა ღონივრად მირტყამდა.

საოცარია. ტალახში აზელილი სისხლი მენატრება, გულწასული რომ ვეგდე სიკვდილისპირს მისული და დედაჩემი რომ ერთ ვედრო ცივ წყალს დამათქიშინებდა თავზე, ის მენატრება. ჩემი ხატი მენატრება, ის მენატრება, გეზელქორს რომ გავდა, ყვითელი თვალები რომ ჰქონდა და გაჯიჯგნილი ქოჩორი. ნიორში არეული არყის სუნი მენატრება, მაგრამ ახლაც გაოგნებული ვარ, ეს ჰინჰარი რაღა იყო? ნეტა იმასაც სახტიკად ვეცემე, მივესიკვდილებინე, მაგრამ ჰინჰრით არ დავესუსხე. ღმერთო, ჩემო, როდის იყო, რომ დედოფალს პირველ ღამეს ჰინჰრით სცემდნენ? მერე და ვინ, ნეფე? როგორ მიყვირა? ჩაიხადეო, ეხლავე ჩაიხადეო? ჩავიხადე მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ჰინჰრითა მცემდა? რა ვქნა, მაინც ჩემი ეზო მენატრება, ჩემი წყალი, ჩემი სიმღერა, ჩემი პური, ჩემი სანთელი, ჩემი მიწა მენატრება...

გაუხარელი ქრისტინა გარდაიცვალა. დალონდა ნიკას ოჯახი, ძალიან დალონდა.

ქალებმა სთქვეს: უბედურმა ქრისტინამ დაიბარა — ვერაზე რომ ეკლესიაა, იქ ამიგეთ წესიო, იმ ეკლესიის მრევლში ვერიეო..

მართლაც იქ აუგეს წესი უბედურ ქრისტინას, უგალობეს, გააპატიოსნეს და მუხათგვერდის ალმართს შეუყენეს. ნიკამ ქრისტინას ძმას და დას აცნობა — ქრისტინა გარდაიცვალაო. იქედან ორი დღის შემდეგ პასუხი მიიღო — „მონაწილე ვართ თქვენი მწუხარებისო". ქრისტინა დიდის ამბით დაკრძალეს.

სასაფლაოდან რომ დაბრუნდნენ, ქრისტინას წერილები ამოაქოთეს, ერთი წერილი იპოვეს დის მისამართით დაწერილი და გაუგზავნელი, ქრისტინა სწერდა: არ მოვდივარ, რატომ არ მოვდივარ?! იმიტომ, რომ აქ ძალიან კარგია. არა, ჩემო ლენა, აქაურობა კი არ მიყვარს, არც ამ ხალხზე ამომდის მზე და მთვარე, უბრალოდ, ადამიანურად მექცევიან, ხოლო ადამიანური მოქცევა მოგეხსენება, რას ნიშნავს ჩვენში.

ნიკამ სთქვა, ქრისტინა კეთილი ქალი იყოო, ქრისტინა რომ უმადური ქალი ყოფილიყო, ამ წერილს ხომ გაგზავნიდა დასთან? დიახ, აქედან დასკვნა: ქრისტინა კეთილი ქალი იყო...

საწყალო ქრისტინა, თქვენები ჩამოვიდნენ, შენი და და შენი დისშვილი. აეროპორტში დავხვდით, ჩვენს წინ რომ სასტუმროა, ის სასტუმრო ავულეთ. რა სათქმელია, მაგრამ ფულიც არ გადავახდევინეთ, ბილეთებიც ჩვენ მივართვით, მერე ბაზარში გავიარეთ, რაც შეეხება ყვავილებს...

მოვედით საფლავზე, რაც მართალია, მართალია, იქ კი იტირეს, იტირეს, სანთელიც დაგინთეს, იქვე მინდორში ვსთქვით შესანდობარი. უკან რომ მოვბრუნდით, შენი ოთახი ამოაქოთეს, სულ ამოაბრუნეს. არჩიეს და არჩიეს, ცუდი და კარგი, ძველი და ახალი, ნახმარი და უხმარი, გაძეძგეს რვა ჩემოდანი და გასწიეს აეროპორტისაკენ.

საწყალო ქრისტინა, დიდი მადლობები გვისადეს შენს გამო, დანატოვარის გამო, სულ გვკოცნეს და გვკოცნეს. შესაფუთავ დახლთან, როგორც გაირკვა, შენს დისშვილს ორმოცი კაპიკი გადააყოლებია. ამაზე კი მოხდა უსიამოვნება დედა-შვილს შორის, ამდენი ხარჯი გვაქვს და რას ჰქვია, ორმოცი კაპიკი გადააყოლეო. ხარჯში, ალბათ, იქიდან აღებულ ბილეთებს გულისხმობდნენ, თორემ აქედან ყველაფერი რიგზე ჰქონდათ... (ეჰ, როგორ დავწვრილმანდით, მაგრამ ხომ უნდა გითხრა, ყველაფერი ხომ უნდა გითხრა?!)

ჩასხდომა გამოცხადდა, გახარებულები წავიდნენ, ძალიან გახარებულები.

მე ერთ რამეზე მწყდება გული, უბედურო ქრისტინა, ყვავილები რომ არ გიყიდეს, იმაზე, სხვაზე არაფერზე... შენ კეთილი ქალი იყავ, ქრისტინა, შენ უთუოდ იყიდდი ყვავილებს...

„და შენი მამა, რომელიც ხედავს დაფარულში, მოგიზღავს შენ".

# ცოფის ბუდე

**როსტომ ჩხეიძე**

„ცოფიანი“ —

მიხეილ ჯავახიშვილის ეს ნოველა 1926 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე (№ 4-5) და მეტად აღარც დაბეჭდილა.

თვით ტომეულების ბოლო გამოცემის დროსაც კი — სადაც ერთიბეწო პროზაული ფრაგმენტებიცაა დაბეჭდილი — „ცოფიანი“ აღარ განმეორებულა.

განა რა ნოველა უნდა იყოს ისეთი, რომ არაფრისმთქმელი ფრაგმენტების გვერდითაც ვერ მიუჩინეს ადგილი?

ეს რიტორიკული შეკითხვაა, რომელიც პასუხს არ საჭიროებს და მაშინვე ის ფიქრი გაგვიელვებს, ეტყობა, ახალი სინამდვილის რომელიღაც მხარე ისე მწვავედ, ჭეშმარიტად ჯავახიშვილისეული სიღრმითაა მხილებული და განზოგადებული, რომ ხელისუფლებასა და ცენზურას მისი დასამარება ერჩიათ.

მაგრამ თანდათან რომ რაღაცები შეიცვალა?.. „ჯაყოს ხიზნები“ რომ „ჯაყოს ხიზნებია“, ის გამოქვეყნდა არაერთხელ, „კვაჭი კვაჭანტირაძეც“ ასევე, „დამპატიჟეც“... გამომზეურდა მწერლის სიცოცხლეში დაუბეჭდავი მოთხრობებიც. „ცოფიანი“ არა ჩანს.

მიხეილ ჯავახიშვილზე იწერება მონოგრაფიები, წერილები, ესეები...

„ცოფიანის“ ხსენებაც არ არის.

როგორც ეტყობა, ეს ვითარება რაღაც უფრო ნიშანდობლივი მიზეზის ბრალი უნდა ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, ზოგმა მიივიწყა, ზოგსაც გამორჩა... ისიც მიყუჩდა და მიიკარგა 20-იანი წლების პატარა ფორმატის ჟურნალში.

მაგრამ მიიკარგა ვითომ?

განა ასე იოლად დასავიწყებელი და დასაკარგი ნოველაა, რომ მის მხატვრულ ღირსებებს, პრობლემისა და თემის განსაკუთრებულ სიმწვავეს ადრე თუ გვიან მთელი სისავსით არ ეჩინა თავი?

„ცოფიანის“ სიუჟეტური ქარგა აგებულია მამის მიერ შვილის მოკვლის მოტივზე.

ამ ანტიბუნებრივი, პათოლოგიური მოვლენის მხატვრული გააზრების საუკეთესო ნიმუშები — პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“, ნიკოლოზ გოგოლის „ტარას ბულბა“, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ — აგრეთვე, აკაკი წერეთლის „გამზრდელი“, რაც, გარკვეული აზრით, ამავე პრობლემას უკავშირდება — საგანგებოდ აქვს შესწავლილი აკაკი ბაქრაძეს წერილში „არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა“.

ღრმა ანალიზი დაბეჯითებით ნათელყოფს, რომ: ჰაჯი-უსუბის ზნეობრივი პრინციპი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ხევისბერის, ტარას ბულბასა და მატეო ფალკონესი. და ეს იმიტომ, რომ, მათგან, განსხვავებით, „გამზრდელის“ პერსონაჟის ქმედებას სიყვარული წარმართავს და არა შეუბრალებლობა და დაუნდობლობა. იგი სხვას კი არა სთხოვს პასუხს დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ მის მიზეზებს საკუთარ თავში ეძიებს, სხვას კი არა, საკუთარ თავს მოჰკითხავს მკაცრად და თვითმკვლელობითაც ამიტომ ამთავრებს სიცოცხლეს. მან საკუთარი სიცოცხლით გამოისყიდა საფარ-ბეგის დანაშაული და ამით ცოდვილ გაზრდილს მართლაც პატიოსანი არსებობის უკვდავი გაკვეთილი მისცა.

ამ ფონზე ერთბაშად და მკაფიოდ ცნაურდება „ცოფიანის“ის თავისებურება, რომ ნოველის გმირი, ხირჩლა ჯიხალაური, თითქოს ერთგვარ შუალედურ ადგილს იკავებს, ერთი მხრივ, ჰაჯი-უსუბსა და, მეორე მხრივ, მატეო ფალკონეს, ტარას ბულბასა და ხევისბერ გოჩას შორის: იგი შვილსაც ჰკლავს და თავსაც იკლავს.

რამ შეიძლება გამოიწვია ნოველის ეს თავისებურება ანუ ხირჩლა ჯიხალაურის პიროვნული შეგნების ასეთი წინააღმდეგობრიობა: თუ მხოლოდ შვილს დასდო ბრალი უმძიმეს ცოდვასა და დანაშაულში, თვითონ რატომღა იკლავს თავს; და თუ თვითვე იტვირთა ცოდვის მთელი სიმძიმე, შვილი რატომღა გაიმეტა?..

თავისთავად გმირის პიროვნული ხასიათის ეს წინააღმდეგობრიობაც საგულისხმო იქნებოდა, ამასთან, რამდენადმე განსხვავებულად წარმოგვიდგებოდა თვით მოვლენის ფსიქოლოგიური თუ ზოგადფილოსოფიური ასპექტები, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილისათვის ეს სულაც არ იყო საკმარისი. ცნობილმა მწვავე მოტივმა მისი ყურადღება, როგორც ჩანს, უფრო იმიტომ მიიპყრო, რომ ამ მოტივის მოშველიებით ახალი სინამდვილის არსის გაშიშვლება მოხერხდებოდა, სააშკარაოზე გამოვიდოდა არსის შინაგანი შემზარაობა და, რაც მთავარია: ის უდიდესი ხიფათი, ახალი წყობილება რომ ემუქრებოდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ადამიანის სულიერი გადაგვარების კერძო მაგალითი ისეთ მხატვრულ განზოგადებას იძენს, რომ ჩვენს თვალწინ მკაფიოდ წარმოისახება ის გზა, რომლის აღსრულებასაც ერის უეჭველი დაცემა მოჰყვება.

რახან პერსონაჟის საქციელი ასერიგად უნდა განზოგადებულიყო, ბუნებრივია, გადაგვარების სურათი უკიდურესი ფორმით უნდა გამოხატულიყო და კიდეც გამოიხატა: ძაღლიკა ჯიხალაური თავის დას, ქმარას, შეაცდენს.

„ჯაყოს ხიზნებისაგან“ განსხვავებით, მწერალი აქ მოერიდა ეროტიული სცენების აღწერას. პირიქით: და-ძმის პათოლოგიური ურთიერთობა ისეთ ბურუსშია გახვეული, რომ მამასთან — ხირჩლა ჯიხალაურთან — ერთად მკითხველიც ძალაუნებურად აცნობიერებს მომხდარის მთელს გაუგონარ სიბილწეს, მაგრამ, იმავდროულად, არაფრით არ უნდა ირწმუნოს და თითქოს ხავსს ეჭიდება: ის, რომ ძაღლიკა და ქმარა „ზოგჯერ სადმე განაპირდებიან და ღუღუნებენ“, ის, რომ ხშირად ლეკვებივით ანცობენ და კატებივით ელამუნებიან ერთმანეთს, იქნებ გადამეტებული დაძმური ალერსი იყოს და მეტი არაფერი... მეტი არაფერი...

ხირჩლას მაშინაც კი უჭირს ბოლომდე დაჯერება, როცა ბნელ ოთახში კარს ძლივს შეაღებს და და-ძმის ბღლაძუნი და ჩურჩული მოესმის: მამა მოდის... გეყოფის, ძაღლიკავ, გეყოფის, — გააფრთხილებს ქმარა ძმას და გაუსხლტება.

ერთბაშად კი უჭირს დაჯერება, მაგრამ გულში მბორგავი ეჭვის შეკავებას ვეღარ ახერხებს და შვილთან თავიდან გარეგნულად მშვიდი საუბრისას ეჭვი ნელ-ნელა ამოჰყოფს თავს. ამ — ფსიქოლოგიურად უაღრესად დამუხტულ და დაჭიმულ — სცენას კვლავ ის ერთგვარი ბურუსი შემოვლებია გარშემო, რაც უთუოდ თავისებური მხატვრული ხერხია, იდუმალების განცდის აღმძვრელი: რათა ამ ფონზე, რაც შეიძლება, დამაჯერებლად გამოიკვეთოს გმირი (ხირჩლას) აზრისა და გრძნობათა ქვეცნობიერი ბრუნვა-ტრიალი.

ასე გადახლართვია ერთმანეთს მტანჯველი ეჭვი და მისი ჩახშობის, გულიდან ამოგდების სურვილი.

ქმარას გათხოვებას რომ გადაწყვეტს, როგორც ჩანს, ხირჩლას ამით სურს ერთხელ და სამუდამოდ დააღწიოს თავი ეჭვებს, მაგრამ, როცა ამ განზრახვას ძაღლიკას გაუზიარებს, მის სიტყვებში ის არაცნობიერი წადილიც გამოსჭვივის, რომ იქნებ ვაჟს ამ გზით მაინც წამოაცდენინოს რამე.

და მართლაც, მოულოდნელი არასასიამოვნო ამბის შეტყობა ისე თავზარდამცემად იმოქმედებს ძაღლიკაზე, რომ ჯერ გაუძალიანდება მამას, არაფრით არ უნდა დაანებოს ამ განზრახვის აღსრულება, მერე კი — მტკიცე გადაწყვეტილებას რომ შეეხლება — საბოლოოდ ჩამოიგლეჯს ნიღაბს და ისტერიული ყვირილი აღმოხდება: „ქმარას არავის მივცემ, არავის!.. ჩემია, ჩემი!“

ხირჩლა თითქოს ბურანში მოქმედებს: თვითონაც ვერ გაუგია, როგორ წაწვდება თოფს („...როდის ან რისთვის ჩამოიღო ხირჩლამ თოფი“...), და ამ უნებლიე, ბოლომდე არცთუ მკაფიოდ გაცნობიერებულ საქციელს კიდევ ერთი უნებლიე („იქნებ ისევ უნებურადო“, როგორც საგანგებოდ შენიშნავს მწერალი), აღქმა და საქციელი მოჰყვება — როცა უეცრად თავის თვალს, თოფის ტუჩსა და შვილის შუბლს ერთ ლარზე გააბამს.

ეს უკვე ძაღლიკას სიკვდილის მაუწყებელია.

ხოლო მანამდე, ვიდრე თვალი, ლულა და შუბლი ერთ ლარზე გაიბმოდეს, ხირჩლა პირჯვარს გადაიწერს.

პირჯვრის გადაწერაც — თუ სიტუაციის საერთო განწყობილებას გავითვალისწინებთ — ორმაგი, ერთმანეთის საპირისპირო შინაარსისაა: ერთი მხრივ, ხირჩლა თითქოს სატანისაგან იფარავს თავს, რათა ულმობელი განაჩენი არ აღასრულოს; მეორე მხრივ კი გულში იდუმალად მომწიფებული რწმენა განაჩენის გარდუვალობასა და, რაც მთავარია, სამართლიანობას, ღვთისაგან ნებადართულობას უკარნახებს.

ამიტომაც დგას შვილის წინაშე ერთდროულად სამართლიანი განჩინების აღმსრულებელიცა და მუდარადქცეულიც — იქნებ მაინც ის გაირკვეს, რომ ხირჩლას მხოლოდ მოეჩვენა, რაღაც ავმა ფიქრმა დაუნისლა გონება, როცა ძაღლიკაზე ასეთი რამ გაივლო გულში.

მაგრამ ძაღლიკას ადამიანობის ნიშანწყალი იმდენად აქვს დაკარგული, მღელვარებისაგან ისეა ჭკუაზე გადასული, რომ თოფის ლულასაც არაფრად აგდებს. შემართულ თოფს რომ არ შეეპუება, იმიტომ კი არა, თითქოს სინდისის ქენჯნის რაღაც ნატამალი, მონანიების გრძნობის სულ ერთი ბეწო ნამცეცი მაინც გაუჩნდება: მას მხოლოდ იმის გაცნობიერების უნარი აქვს, რომ საკუთრებას სტაცებენ, პათოლოგიური ბუნების გამოვლენის რეალურ საშუალებას ართმევენ.

და განაჩენი უცილობლად უნდა შესრულდეს.

თავის დროზე მერიმემ, გოგოლმა და ყაზბეგმა შვილის მოკვლის პასაჟი ყოველგვარი ფსიქოლოგიური ჩაღრმავებისა თუ დეტალიზების, ემპირიულად წარმოადგინეს: როგორც სასტიკი ულმობლობისა (მატეო ფალკონე, ტარას ბულბა) თუ უეცარი აფექტის (ხევისბერი გოჩა) ნაყოფი. ამ გარემოებას, რომ მათ არ გადმოუციათ მამების სულის მოძრაობა შვილების მკვლელობის დროს, აკაკი ბაქრაძე იმის ნიმუშად იმოწმებს, რომ არცერთი მათგანი არ შეეჭიდა შეუძლებელს, ანუ ურთულეს მხატვრულ ამოცანას.

მიხეილ ჯავახიშვილმა მაინც სცადა შეუძლებელთან შეჭიდება.

რადგანაც არსებობდა ამ მოტივის რამდენიმე შესანიშნავი ბელეტრისტული ხორცშესხმა (მით უფრო, რომ მისი მხატვრულ-იდეური გააზრებანი ჯერ კიდევ ბიბლიური და ანტიკური ხანიდან მოდიოდა: იგულისხმება ისაკისა და იფიგენიას განწირვა სასიკვდილოდ მამების, აბრაამისა და აგამემნონის მიერ) მიხეილ ჯავახიშვილის რანგის მწერალს უკვე შეეძლო გაბედულად გაერღვია მოტივის კულმინაციური მომენტის გარეგანი გარსი და გმირის სულის ხვეულებში შეღწევა ეცადა.

და ეს წარმატებული ცდა გახლავთ: რამდენადაც კი შესაძლებელია, ჩვენს თვალწინ ფსიქოლოგიურად და მხატვრულად დამაჯერებელი სურათი წარმოისახა.

თავისებურმა მხატვრულმა ხერხმა — თითქოს მოქმედება ნისლში გათამაშდაო — მარჯვედ ამეტყველა ადამიანის ტრაგიკული გულისძგერა. მაგრამ, აი, თოფი გავარდება თუ არა, „ნისლიც“ ერთბაშად იფანტება, შინაგანი გაურკვევლობა ჰქრება და ხირჩლა პირველ წუთებში არამარტო მკაფიოდ აცნობიერებს ჩადენილ საქციელს, არამედ სამართლიან აუცილებლობად მიიჩნევს. ასეც აუწყებს მეზობლებს: „გამიცოფდის და... მახვკალ!“

ამ სიტყვას, „გამიცოფდის“, არსებითი მნიშვნელობა აქვს: ხირჩლას გონება, ამ აუტანელ წუთებში, იმასაც მკაფიოდ აცნობიერებს, რომ ძაღლიკას გადაგვარება ერთი კერძო შემთხვევა არ არის. და ეს პათოლოგიური მოვლენა შეიცავს იმ უაღრესად სახიფათო ტენდენციას, რომ ცოფივით სხვებსაც შეიძლება გადაედოს, სხვანიც თანამოზიარეებად იქცნენ.

ნოველაში უაღრესად დაწურულად, მაგრამ ცხადად არის გამოკვეთილი ის ფესვები, რამაც ძაღლიკას ზნეობრივი გადაგვარება გამოიწვია.

ამას გრძნობს არამარტო მკითხველი, არამედ ხირჩლაც.

ნოველის დასაწყისშივე გმირი იმ მწარე ფიქრებშია დანთქმული, შვილის მანკიერი ბუნების საწყისს რომ ჩხრეკს და მიაგნებს.

და საგულისხმო ის გახლავთ, რომ ნოველის მხატვრული ტენდენცია სწორედ ამ საწყისის, ამ დაფარული ფესვების გაშიშვლებაა, აქედანვე გამოსჭვივის კონცეფციაც და მამის მიერ შვილის მოკვლის მოტივი — მიუხედავად იმისა, რომ ქარგა ამ მოტივზეა აგებული — ტენდენციას მხოლოდ თავისებურ სიმძაფრესა და სიმკვეთრეს ჰმატებს, თავისთავად მკაფიო კონცეფციას კი მეტ სიღრმესა და ტრაგიზმს ანიჭებს.

განა თვით ნოველის სათაურიც ამასვე არ გვაუწყებს? — სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რომ მერიმეს, გოგოლისა და ყაზბეგის მოთხრობათა სათაურად მამების სახელებია გატანილი: ეს მათი პიროვნული ხასიათების გასახსნელადაა გამოყენებული შვილის მოკვლის თემა (ასევეა აკაკის „გამზრდელიც“); ხოლო აქ რახან სათაურად „ცოფიანი“ დარქმევია, ეს თავისთავად მეტყველებს, რომ ხირჩლა ჯიხალაური კი არა დგას ნოველის შუაგულში, არამედ მისი ვაჟის უწმინდური სული.

მიხეილ ჯავახიშვილი არ კმარობს იმას, რომ ანტიგმირს ძაღლიკას არქმევს და ცოფიანად მოიხსენიებს — კიდევ არაერთ შესაფერის სახელს უძებნის, რათა მისი ხასიათის არცერთი თვისება, არცერთი ნიუანსი შეუმჩნეველი და გამოსააშკარავებელი არ დარჩეს. უწოდებს: მორიელს, ნელცოფას, ობობას, ლაზღანდარას, თავლორას, მოუხეშავს, ურჩს, კადნიერს, ულაგამოს (ეს მხატვრული ხერხი უთუოდ ბევრს მოაგონდება „ჯაყოს ხიზნებიდანაც“, სადაც ჯაყო და თეიმურაზ ხევისთავი მკაცრად და დაუნდობლად არიან მხილებულნი. ჯაყო: „ბანჯგვლიანი დათვი, ოყრაყი, ორანგუტანი, პირგაპარსული მაიმუნი“, თეიმურაზი: „წიგნის ჭია, წიგნის მატლი, ქაჩალი თაგვი, განათლებული ქათამი, ნაკაცარი“).

ასეთია ძაღლიკა მწერლის შეფასებით.

სწორედ ასეთი იხატება მამის ფიქრებში.

როდის გადაიქცა ძაღლიკა მორიელად, ნელცოფად, ობობად? — პასუხს ეძებს ხირჩლა და მკაფიო პასუხი და მწერლის გამოკვეთილი თვალსაზრისი ესაა: „ნელ-ნელა, თანდათან, შეუმჩნევლად. მერე სამხედრო ბეგარის მოსახდელად წავიდა და როცა დაბრუნდა, მამამ თავის სახლში შვილის მაგიერ ოცფეხიანი მორიელი აღმოაჩინა“.

ის, რომ უზნეობის ბაცილები ძაღლიკას სულის ღრმა კუნჭულებში თავიდანვე იქნებოდა ჩაბუდებული, ისედაც ცხადია, მაგრამ მწერალმა, გარკვეული მოსაზრებით მაინც აღნიშნა („ნელ-ნელ თანდათან, შეუმჩნევლადო“); ოღონდ მთავარი და უმთავრესი ის გახლავთ, რომ ძაღლიკას სრული გადაგვარება სამხედრო ბეგარამ გამოიწვია.

ამიტომაცაა, რომ რაც მანამდე არ ეტყობოდა, ახლა აშკარად შეეტყო და ხირჩლა უკვე ვეღარ სცნობს სამხედრო ბეგარიდან შინდაბრუნებულ შვილს: „ქალაქიდან ძაღლიკას მაგივრად თითქოს უცხო ვინმე მოვიდა...“

ეს სიუცხოვე, შინაგანი ფერისცვალება, პირველ ყოვლისა, გამოიხატა იმით, რომ ძაღლიკამ აბუჩად აიგდო ძველისძველი ადათები.

სამხედრო ბეგარამ ჩაჰკლა მის სულში ეროვნული გრძნობები, დაუკარგა ღვთის შიში და თაყვანისცემა და ხევსური ჭაბუკი იმპერიისა და ცრუწარმოდგენათა მონა-მორჩილ ხელქვეითად აქცია.

„ხევსურული ნირი აღარა აქვს ძაღლიკას, ნირი!“ — გმინავს მამა, რომელიც გუმანით სწვდება, რომ ერის არსებობის მკვიდრი საყრდენი, მისი გადარჩენის ერთადერთი გზა ტრადიციების მოფრთხილება და შენარჩუნებაა. ტრადიციების გადაშენებასთან — ანუ წარსულის ხსოვნის შეწყვეტასთან — ერთად ერში ჩაკვდება სასიცოცხლო ენერგია და ქვეყანა სხვის უქმ პერიფერიულ დანამატად გადაიქცევა.

ამიტომ ხირჩლასთვის წელიწადწუხრა თუ მგელთ-უქმი, სულთაკრეფა თუ კუდიანთ წუხრა დრომოჭმული და არაფრისმთქმელი წესების აღსრულება კი არ არის, არამედ ეროვნული სულიერი კულტურისა და თვითმყოფადობის გამომხატველი ნიშნებია.

აქაა ჩასახული შინაგანი შეურიგებელი კონფლიქტი შვილთან, ვინც „...უშნოდ იკრიჭებოდა, უკადრისს გაჰკიოდა, ხალხის წმინდანებს მასხრად იგდებდა“.

შინაგანი შეურიგებლობის გამო შეუძლებელია მოგვარდეს ეს კონფლიქტი მამა-შვილს შორის: ძაღლიკა ჩამოყალიბდა, როგორც დიქტატორული სამხედრო რეჟიმისა და ათეისტური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, რომელიც სამუდამოდ გამოეთხოვა ადამიანის სახეს.

თავის დროზე, იაკობინელთა დიქტატურის ხანაში, ხელისუფლებამ სწორედ ეროვნულ ტრადიციათა ხელყოფა და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ამოძირკვა სცადა, რადგან მათ იდეალს — ფრანგები გადაექციათ მსოფლიო მოქალაქეებად — ხელს, პირველ ყოვლისა, ეს უშლიდა: ეროვნულ თავისებურებათა არსებობა.

სიტუაცია ზუსტად განმეორდა ბოლშევიკური დიქტატურის ხანაშიც: მიხეილ ჯავახიშვილმა ღრმად განჭვრიტა ის ტოტალური საშიშროება, რაც 20-იან წლებში დაიწყო და მოუშორებლად გასდევს მთელს ჩვენს უახლეს ისტორიას.

და ამ ისტორიაში განსაკუთრებით მძიმე იყო სულ ბოლოდროინდელი, 70-იანი წლები, როცა ხელისუფლებამ ქართული ეროვნული ტრადიციები „მავნედ“ და „დრომოჭმულად“ შერაცხა და ძალ-ღონე არ დაუშურებია, რათა ეს აზრი ადამიანთა შეგნებაში ჩაენერგა. ყველას კარგად გვახსოვს ეს გააფთრებული შეტევა ჩვენს ეროვნულ თავისებურებათა მოსასპობად, შეტევა, რაც

ჩავსებით ბუნებრივად და ლოგიკურად დაგვირგვინდა იმით, რომ ქართულ ენას დაემუქრა უდიდესი საფრთხე.

ისტორიაში ასე გამოიხატა მცდელობა ერის სულიერი გათქელებისა და გადაგვარებისათვის.

ნოველაში ეს საშიშროება მხატვრულ სახეებშია გაშვეული და განზოგადებული: ამდენად, ქმარა, ეს უმწეო მსხვერპლი, უთუოდ სიმბოლური სახეა ტრადიციათა რღვევისაგან მოსალოდნელი ტრაგიკული შედეგისა.

მაგრამ მარტო ქმარაა მსხვერპლი?

განა თვითონ ძალლიკაც — გარკვეული აზრით — მსხვერპლი არაა? მწერალი ხომ თავისი ანტიგმირის საქციელს კერძო პათოლოგიურ ანომალიად კი არ აღიქვამს, არამედ მის პიროვნებას დიქტატორული სამხედრო რეჟიმისაგან დაღდასმულად წარმოგვიდგენს: ძალლიკას გაცოფების სათავეს აქ ხედავს.

ოღონდ თვითონაც მსხვერპლია თუ რა არის, ძალლიკას ცოცხლად დატოვება უკვე არაფრისდიდებით არ შეიძლება. და თუმცა მამა აფექტში მყოფი კლავს, მაგრამ ხირჩლას ისიც ხომ შეგნებული აქვს, რომ ცოფიანი უნდა მოკვდეს.

მწერალიც და მისი პერსონაჟიც მკაცრი სინამდვილის წინაშე დგანან, ისეთი მკაცრის, რომლისთვისაც აღარ კმარა რომანტიული შეხედულებანი: თუ პაპა-უხუცს შეიძლება ჰქონდეს იმის იმედი, რომ თვითმკვლელობით ცოდვილ გაზრდილს პატიოსანი არსებობის უკვდავ გაკვეთილს მისცემს, პირუთვნელი რეალიზმი, ახალ ვითარებაში ამ იმედს ვერაფრისდიდებით ვეღარ გაიზიარებს.

გარკვევით გავიმეორებ: ახალ ვითარებაში.

ძალლიკა არ არის და არც შეიძლება იყოს საფარ-ბეგის მსგავსი პიროვნება, ვისაც შესწევს მონანიების უნარი და ამიტომ უშვერს მოღერებულ დამბაჩას მორჩილებით გულ-მკერდს.

მაგრამ ზნეობრივი პრინციპი კი ყოველ დროსა და ვითარებაში უცვლელია.

ამის გამოა, რომ ხირჩლას სიცოცხლეც, არსებითად, შვილის მოკვლასთან ერთად მთავრდება.

იგი მატეო ფალკონესავით არ ებღაუჭება ფუჭ ოცნებას (მატეოს ხომ სურს დაიჯეროს, თითქოს სიძის, ტეოდორო ბიანკის საცხოვრებლად გადმოსვლას მის ოჯახში რაიმეს გამოსწორება შეეძლოს). მან შვილის მოკვლით ისევე მოიკვეთა მომავალი, როგორც მისმა ლიტერატურულმა წინამორბედებმა და მათსავით განწირულიც ამიტომაა.

როგორი ზნედაცემულიც არ უნდა იყოს ძალლიკა, იმ ხელებით, რომლითაც შვილს გული განუგმირა, ყოვლად წარმოუდგენელია ხირჩლამ რაიმეს გაკეთება შეძლოს.

აი, როგორი მწვავე პრობლემა დაბადა ახალმა სინამდვილემ: მიტევება უსარგებლო გამხდარა, მაგრამ დაუნდობლობასაც კვლავ არაფრის შეცვლა და შველა არ შეუძლია. ამ უფსკრულში გამოსავალი არსაიდან ჩანს, რადგანაც ტოტალიტარულ სამხედრო რეჟიმს საყოველთაო ნგრევა და დაღუპვა მოაქვს. ხოლო ამ ნგრევისა და დაღუპვის არიდება, თუ თავსმოხვეულ რეჟიმს არ დაუსხლტი, სხვა არანაირი გზით აღარ მოხერხდება.

ასე ცხადად და გულისშემძვრელად გამოიხატა ამ ნოველაში ავი ბედისწერის ყინიანი მისწრაფება და შემზარავი საშიშროება.

თითქოს მიიჩქმალა და მიიკარგა...

მიხეილ ჯავახიშვილის „ცოფიანი" ვითომ ასე იოლად დასაკარგი ნოველაა?.

# წამოწყება, რომელიც დაგვირგვინებას მოითხოვს

## აკაკი ვასაძე

ყველა ცრონიერ მამულიშვილს უთუოდ გაახარებდა 1990 წლის 7 მარტის გაზ. „ქართული ფილმის" ცნობა, რომ 8 მარტს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივითა და ძალისხმევით, კინოსტუდია „ქართული ფილმი"-ს შენობაში შედგა სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომლის მიზანიც ორ უმთავრეს მომენტს შეიცავდა: 1. სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულ ორგანიზაციებს შორის განხორციელდეს ისეთი შეთანხმება, რომელიც ახლანდელ ურთულეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში განმუხტავს საკუთრივ ყარაბაღის გამო ამტყდარ სისხლისმღვრელ კონფლიქტს; 2. შეიქმნას სამივე რესპუბლიკის ეროვნული მოძრაობების საკოორდინაციო საბჭო, რათა ჩვენმა ხალხებმა ურთიერთშეთანხმებით იღვაწონ ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ზემო აღნიშნული ორივე მომენტი, ცხადია, მთლიანდება კავკასიის ერებისა და ხალხების გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეაში, რომელიც გულისხმობს ბოლშევიზმით გამოწვეული, ხალხთა დამმონებელი ბორკილების მსხვრევას.

პუბლიკაციაში „...და ეს ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება" (იხ. გაზ. „ქართული ფილმი", 1990 წ., 7 მარტი, გვ. 1-2) გადმოცემულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-მდივნის ირინა სარიშვილის და, შემდეგ, ამ პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას პოლიტიკური თვალთახედვა გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე. მათი პოლიტიკური თვალთახედვა და სამომავლო სურვილები გონივრად განსჯილია და დამყარებულია ჰუმანიზმის პრინციპებზე.

ცხადია, რომ ყარაბაღში და ამიერკავკასიის სხვა რეგიონებშიც ეთნოკრიზისის გამწვავება „მესამე ძალის" მიერ არის ინსპირირებული. ცხადია, რომ ბოლშევიკური იმპერიის შენარჩუნებაზე გადაგებულ ძალებს აშინებს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მობილურად, მტკიცედ გაშლა-განვითარება; ამის საწინააღმდეგოდ ისინი მიმართავენ ეთნოკრიზისების გამწვავებას და, ამ გზით, ჩვენში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შეფერხებას. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ეთნოკრიზისების ინსპირირებისთვის საჭირო პირობები ოციანი წლების დასაწყისშივე შექმნეს ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით. სატანური თვალი შორეულ პერსპექტივაში ჭვრეტდა. მან იცოდა, რომ ძალადობით, ხელოვნურად შექმნილ იმპერიაში დამონებული ერები და ხალხები გამუდმებით შეეცდებოდნენ გათავისუფლებას — რომ, ადრე თუ გვიან, დადგებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამძვინვარების ხანა. და მან, როგორც სახას თვალში სოფლის მაოხრებელმა გზირმა, სამომავლოდაც დათესა ისეთი ბოროტება, რომელიც ბელადთა სიკვდილის შემდეგაც ამოქმედდებოდა სახალხო გამათავისუფლებელი მოძრაობის აღსაკვეთად. მხედველობაში მაქვს ბოლშევიზმის მიერ დაპყრობილ-დამონებულ ერთა მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის მოსაშლელად ჩატარებული ისეთი აქციები, როგორიცაა „მიწების გაჩუქრება", „სახელმწიფო ტერიტორიების გადანაცვლება", „მკვიდრი მოსახლეობის განსახლება", „ეროვნულ თვითშეგნებაში განმტკიცებული მოსახლეობის რეპრესირება", „რეპრესირებული და გადასახლებული მკვიდრი მოსახლეობის ნასახლარებზე უცხო ტომთა ხელოვნურად დამკვიდრება", „სხვადასხვა სახის ავტონომიების ხელოვნურად და უკანონოდ შექმნა".

ეს აქციები ისტორიულად ჩამოყალიბებული ერების დენაციონალიზაციის, დემორალიზაციის და, საერთოდ, მოშლის მიზნით ჩაატარეს ბოლშევიკებმა. ლენინის მესვეურობით ეს აქციები ოქტომბრის რევოლუციის დღიდან, სულ რაღაც ხუთ-ექვს წელიწადში განხორციელდა მთელი იმპერიის მასშტაბით. თუ რა უსასტიკესი ზომებით განახორციელეს ეს სატანური აქციები საკუთრივ საქართველოში, მე ეს არაერთხელ აღმინიშნავს ტრიბუნიდანაც და ბეჭდური სიტყვითაც. სიტყვამ მოიტანა და აქ მხოლოდ ამას დავძენ:

„მგზნებარე ლენინელად" სრულიად მართებულად მონათლულმა სტალინმა, ლენინის ურთგულესმა მოწაფემ და მისი საქმის მართლაც უებროდ გამგრძელებელმა, სწორედ ეს ლენინური მეთოდი გამოიყენა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობილი ქვეყნების დანაწილება-გადანაწილებისას, მათი სახელმწიფო საზღვრების მიწევ-მოწევით, დემოგრაფიული ცვლილების ხელოვნურად შეტანით, სხვისი მიწების, ზოგ შემთხვევაში, მითვისებით და, ზოგ შემთხვევაში, გასაჩუქრებით. დღეს კი ეს ქვეყნები თავისუფლდებიან საბჭოთა იმპერიის დიქტატისგან, მაგრამ, უახლოეს ხანში, აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლებული ქვეყნების სახელმწიფოებრივი თვითგანმტკიცებისა თუ თვითგამორკვევის პროცესს საშინელი ჯახიც შეიძლება მოჰყვეს; და ეს ჯახი ატყდება ლენინურ-სტალინური მეთოდებით განხორციელებული ტერიტორიულ-დემოგრაფიული სატანური აქციების შედეგად.

როდესაც სტალინის დროს წერდნენ და რეპროდუქტორებით აცხადებდნენ, ლენინი ცოცხალიაო, ჩვენ გულუბრყვილოდ გვეღიმებოდა. არ გვესმოდა, რომ ის მართლაც ცოცხალი იყო. დღეს აღარ წერენ და აღარ აცხადებენ, რომ ლენინი და სტალინი ცოცხლები არიან, რადგან გულუბრყვილოდ აღარ გვეღიმება ამაზე. ჩვენ დღესაც უცხადესად განვიცდით, რომ ისინი ჯერაც არ მომკვდარან — ისინი ჯერაც ცოცხლები არიან თავიანთი სამომავლო ნამოქმედარით, სოფლის მაოხრებელი გზირის უსაზარლესი სახით.

80-იანი წლებიდან საბჭოთა იმპერიის თითქმის ყველა ისტორიულად უფლებამოსილ რესპუბლიკაში აზვირთდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა; და, აი, ლენინურ-სტალინური deus ex machina-ს ეთნოკრიზისების აღმძვრელი „დამხმარე ძრავაც" ამუშავდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უკანასკნელი რეალური ბოროტი ძალა ლენინურ-სტალინური, საბჭოური იმპერიის სისტემის შესანარჩუნებელი ჯოჯოხეთური მანქანისა. სტალინის უშუალო მეურვეობისა და მართვის გარეშე ყველა სხვა ძრავა მოიშალა. ეს ერთი დარჩა, სამომავლოდ შექმნილი. „მესამე ძალის" მხრიდან მის ჩართვას დიდი თავის მტვრევაც არ სჭირდება. თითქმის თავისთავად ირთვება იგი. საკმარისია აღმოჩნდა რამდენიმე რეგიონში რამდენიმე აგენტის ამოქმედება და ეთნოკრიზისებიც გამძვინვარდა. ლენინ-სტალინის მიერ deus ex machina-ს ამ სამომავლო ძრავაში ჩადებული პროგრამის რეალიზაციას ხელს უწყობს, აგრეთვე, ათეული წლების მანძილზე მასებში უკიდურესად დამდაბლებული პოლიტიკური აზროვნების კულტურა და კორუფციით წარყვნილი საზოგადოებრივი ცნობიერების სიბეცე.

საკუთრივ საქართველოს რესპუბლიკაში, მიუხედავად მრავალი და ყოველმხრივი ცდისა, ეთნოკრიზისების სასურველი გზით წარმართვა და გამძვინვარება, „მესამე ძალამ" ვერ მოახერხა. ეთნოკრიზისების ჩახანელებლად მოიმართა მთელი ქართველი ხალხი, მთელი მოწინავე საზოგადოება, ყველა, ვისაც კი ხელეწიფებოდა ვითარებათა განმუხტვა.

ქართულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ შეძლო, რომ ჩვენს მიტინგებსა და მსვლელობებში მონაწილეობა მიეღოთ ქართულ მიწაზე მცხოვრებ, მართებულად მოაზროვნე სომხებსაც, აზერბაიჯანელებსაც, რუსებსაც, ქურთებსაც და თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც პატიოსნად ჭვრეტენ მომავალს — რომ ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მათთვისაც მხოლოდ სიკეთეს მოასწავებს. თავისი ისტორიული ცნობიერებით ქართველი ხალხი არავის არ მტრობს, ყველას ითვისებს საკუთარ მიწა-წყალზე, ოღონდ, მთავარია, ქართული მიწა-წყლის უკანონოდ, უპატიოსნოდ დაჩემება-მისაკუთრების ბნელი ვნებები არ გამოავლინოს ჩვენს მიერ შეთვისებულმა, დამოყვრებულ-დანათესავებულმა. მართალია, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა შეცდომებსაც და პროვოკატორთა მცდელობებსაც. მაგრამ საქართველოში მაინც ვერ მოხერხდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ სხვადასხვა ხალხის მხრიდან შუღლისა და მტრობის უკიდურესად გაღვივება.

ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის საქართველომ ყველაზე მტკივნეულად განიცადა ბოლშევიზმის დიქტატურისა და იმპერიალიზმის სიავე და, გამძაფრებული ეთნოკრიზისების ვითარებებში, როდესაც ქართველი ხალხი ავლენს ეგოდენ კაცთმოყვარეობას, თმენას და მიმტევებლობას, როდესაც ქართველი ხალხი მტკიცედ დგას თავისუფლების მოპოვების მშვიდობიან გზაზე, გასაკვირი არ არის, რომ მთლიანად ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ჰუმანისტური იდეალებით შეკავშირებულ, საბჭოური იმპერიალიზმისგან თავდასახსნელად ერთიანი სამოქმედო გეზის გამოსამუშავებელ პუნქტად თბილისი რომ იქცეს.

გასაკვირი არ არის, რომ სწორედ საქართველოში დაიბადა და მომწიფდა იდეა, თავისუფლებისთვის ბრძოლის პროცესში, ამიერკავკასიის საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა.

ეს იდეა ჯერ კიდევ გუშინ საოცნებო საგნად გვესახებოდა, — ისეთ სურვილად, რომლის განხორციელება შეუძლებელია. 1990 წლის იანვარში, მთავრობის სასახლის წინ გამართულ მიტინგზე გამოსვლისას, მე ისიც აღვნიშნე, რომ „მესამე ძალა" ყოველნაირად შეეცდება არ დაუშვას ბალტიისპირეთის ფენომენის განმეორება ამიერკავკასიაში — რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სწორედ „მესამე ძალის" მიერ არის გამწვავებული სისხლისმღვრელი შუღლა-შემოხლა; რომ ქართულმა ეროვნულმა ორგანიზაციებმა, „მესამე ძალის" საპირისპიროდ, ყველა ღონე უნდა ისმართონ ამიერკავკასიის [illegible] შეთანხმებულად, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებმა მხარდამხარ, თანხმობით უნდა იბრძოლონ თავისუფლებისთვის. რა ვიცოდი მაშინ, რომ ამ იდეის განხორციელება უკვე ჩაფიქრებული ჰქონდათ ჩვენი ეროვნული ორგანიზაციების მესვეურთ. და თუ ჯერ კიდევ გუშინ ამ იდეის განხორციელება შეუძლებელი ჩანდა, დღეს უკვე რეალურ მოთხოვნად იქცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოწინავე ეროვნული ორგანიზაციათა შეკავშირების სურვილი. დღეს უკვე დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის ეროვნულ ორგანიზაციათა საკოორდინირებელი საბჭოს შექმნის აუცილებლობა.

სავსებით სწორს ბრძანებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-მდივანი ირინა სარიშვილი, რომ ასეთი საკოორდინაციო საბჭოს შექმნა „ცენტრისთვის საგრძნობი დარტყმა იქნება". ამიერკავკასიის რესპუბლიკები, თუკი ერთად იქნებიან, მართლაც, დიდ ძალას წარმოადგენენ. მართალია, ყარაბაღს ვერც აზერბაიჯანი და ვერც სომხეთი ვერ დაივიწყებს, მაგრამ ეს საკითხი დამოუკიდებლობის მიღწევამდე მოიცდის. შემდეგ კი, ნებისმიერი ტერიტორიული პრეტენზია, რომელიც ექნება საქართველოს, სომხეთს თუ აზერბაიჯანს, გადაწყდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევით საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით".

ამიერკავკასიის ხალხებმა და ერებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ წარსულის შეცდომები — ის უგუნური დაპირისპირებები, რამაც 1918-1920 წლებში განგვაცალკევა და სათითაოდ ჩაგვაგდო მონობაში, იმ დროს, როდესაც შეიძლებოდა მტრისგან თავდახსნა, მტრის ჯარების უკუგდება.

ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში კავკასიის ხალხთა გაერთიანება — პოლიტიკურადაც და ზნეობრივადაც სრულიად მართებული წამოწყებაა. ასეთი გაერთიანება თავიდან აგვაცილებს ეთნოკრიზისებს და აღარ მისცემს საბაბს საბჭოეთის იმპერიალისტურ ძალებს, „სამხედრო პოლიგონად" აქციონ ჩვენი რესპუბლიკები. ეს ჩვენი, მოწინავე და გონივრად განსჯილი ქართული საზოგადოების, ჩვენი მოწინავე ეროვნული ორგანიზაციების სულისწრაფვაა. ამიერკავკასიის ყველა ხალხებმა უნდა შეისმინონ იგი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას თქმით, 1990 წლის 8 მარტის შეხვედრაზე, მოწონებულ იქნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული ორგანიზაციების შეთანხმება-შეკავშირების იდეა; მხოლოდ საჭიროა „კომუნიკეს ტექსტის დამუშავება-დახვეწა, უფრო ოპტიმალური და მისაღები რომ იყოს მხარეებისთვის". უკვე დაგეგმილა კიდეც შემდგომი შეხვედრა, რომელზეც შეიქმნება საკოორდინაციო საბჭო; და ამ საბჭოში ჩვენი ეროვნული მოძრაობის წარმმართველი ძალები გაერთიანდებიან.

ეს მართლაც დიდი საქმეა, დიდებული წამოწყებაა, რომელიც დაგვირგვინებას მოითხოვს.

იმედია, ასეთი წამოწყება სამივე რესპუბლიკის ხალხთა პოლიტიკური აზროვნების კულტურის ამაღლებას, საზოგადოებრივი ზნეობის განწმენდას და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მრწამსით განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

# ცეკავშირი — ერის სამსახურში

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე **რესან კონცელიძე**

— ბატონო რესან, იქნებ მოკლედ მოგვითხროთ მკითხველისათვის ცეკავშირის ისტორიაზე, მის როლსა და ადგილზე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

**— ფართო მკითხველ საზოგადოებას მინდა ვაუწყო, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ერთ-ერთი უძველესია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ცეკავშირი საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის წევრი იყო 1919 წლიდან, დამოუკიდებლად ახორციელებდა საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. მაგრამ, აი, დადგა 1921 წელი და ცეკავშირმაც, როგორც უკვე სსრ კავშირის ცენტროსოიუზის წევრმა, დატოვა (თუ დაატოვებინეს) საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსი, დაკარგა დამოუკიდებელი წევრობის სტატუსი.**

**დღეს, როცა მთელი ქართველი ხალხი, მთელი ჩვენი საზოგადოება ილვწის საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად, მომწიფდა საკითხი ცეკავშირისათვის ეკონომიკური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.**

**სწორედ ამ სულისკვეთებით გაიმართა ამ დღეებში ცეკავშირის საბჭოს მორიგი კრება, სადაც შეიქმნა და დამტკიცდა კომპეტენტურ სპეციალისტთა კომისია, რომელიც ყოველმხრივ შეისწავლის ყველა ნიუანსს, ზუსტად იხელმძღვანელებს არსებული წესდებით, შეიმუშავებს იურიდიულად სწორ და გამართლებულ ერთიან კონცეფციას საქართველოს დამოუკიდებელი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ. ამის შემდგომ დავაყენებთ საკითხს საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსში ცეკავშირის დამოუკიდებელი წევრობის აღდგენის შესახებ.**

**ამის წყალობით საშუალება მოგვეცემა შემოვიტანოთ ისეთი საქონელი, დანადგარ-მოწყობილობანი, ტექნიკა, რომელიც სჭირდება დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას, განვახორციელოთ ბარტერიული (გაცვლითი) ოპერაციები, შევქმნათ ერთობლივი საწარმოები ურთიერთსახარგებლო საფუძველზე. ახალი კონცეფციაპრინციპების საფუძველზე დავამყარებთ ურთიერთობას როგორც ცენტროსოიუზის გამგეობასთან, ისე მოკავშირე რესპუბლიკების სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემებთან.**

— დღეს მნიშვნელოვანი ძვრები ხდება ჩვენს ცხოვრებაში. შორს აღარ უნდა იყოს ის დრო, როცა საქართველო სრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწევს. სადაცაა ჩატარდება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები. თქვენი აზრით, როგორი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გაატაროს საქართველოს ახალმა პარლამენტმა?

**— სუვერენული, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო — დღეს ამ ფორმულას ემხრობა პრაქტიკულად მთელი ქართველი ხალხი, მრავალეროვან რესპუბლიკაში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობა, მიუხედავად სქესისა, ასაკისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა, განათლებისა. ამ ლოზუნგის პრაქტიკული ხორცშესხმა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების კონსოლიდაციის, ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის ძალისხმევის საფუძველზე, რა პოლარულ იდეურ პოზიციაზეც არ უნდა იდგნენ ისინი. მაგისტრალური მიმართულება გახლავთ პარლამენტარიზმი, ღირსეული უძველესი ეროვნული ტრადიციების გზა, სადაც ყველაზე სრულად შეიძლება ხალხური სიბრძნის, რჯულშემწყნარებლობის, ინტერნაციონალიზმის, (ამ სიტყვის ჭეშმარიტი, პირველქმნილი გაგებით) პრაქტიკული გამოყენება.**

**საქართველოს პოლიტიკური, ეროვნული, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შესაძლებელია მხოლოდ მისი სახალხო მეურნეობის, მთლიანად ეკონომიკის მკვეთრი თვისებრივი და რაოდენობრივი ნახტომის საფუძველზე.**

**რესპუბლიკის ახალმა პარლამენტმა მხოლოდ ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკაზე დამყარებულ სამართლებრივ საფუძველზე უნდა განახორციელოს ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობა, მისი ცალკეული სექტორების — აგრარული, საცხოვრისო, ვაჭრობის, მომსახურების სფეროს პრივატიზაცია,**

**თანამედროვე ეტაპზე გვმართებს გავატაროთ მეცნიერულად შემუშავებული სტრუქტურული პოლიტიკა და შრომის რესპუბლიკათშორის (საერთაშორისო) დანაწილებაში სავალდებულო მონაწილეობასთან ერთად შევიტანოთ ცვლილებები სახალხო მეურნეობის საბაზო დარგთა მუშაობის ხასიათსა და შინაარსში.**

**პარლამენტმა და მთავრობამ უნდა შეიმუშაოს, დაამტკიცოს და განახორციელოს მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ფასებით მრავალფეროვანი კვების პროდუქტებით რესპუბლიკის ბაზრის უხვად მომარაგების რეალური პროგრამა.**

**საჭიროა გამოვიყენოთ მიწათსარგებლობის პრინციპი კოლხეთის დაბლობში, თუ გავითვალისწინებთ ნიადაგისა და კლიმატური პირობების სტრუქტურის იდენტურ ანალოგიას და იტალიის რესპუბლიკის ემილია-რომანიას ოლქის მაგალითს. ოლქი, რომელსაც კოლხეთის ფართობის ტოლი ტერიტორია უჭირავს, აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომელიც რამდენჯერმე აღემატება მოცულობით კოლხეთში მოყვანილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.**

— რა სახსრებითა და საშუალებებით იქნება შესაძლებელი დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ბაზისის აგება?

**— თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს ასაშენებლად მარჯვედ უნდა გამოვიყენოთ მისი ბუნებრივი რესურსები, წიაღისეული სიმდიდრე — მადანი, მარმარილო და გრანიტი, მინერალური წყლები, იმის გათვალისწინებით, რომ ეს გახლავთ ეროვნული საუნჯე. მის მოპოვება-დამუშავებას, გონივრულად გამოყენებას უნდა მიეცეს ეროვნული ხასიათი, შემუშავდეს ფართო პროგრამა, რომლის განხორციელებითაც შეიძლება შეიქმნას მყარი სავალუტო ფონდი. ამ ფონდს მეურნეობრივი გამოყენების პირობებში დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, დაუშვებელია მისი ამწუთიერი მიზნების განხორციელებისათვის, მათ შორის, ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის შეძენისათვის გამოყენება. უწინარეს ყოვლისა, მიგვაჩნია, რომ უნდა შემოვიტანოთ თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონის შესატყვისი ტექნიკა, დანადგარები, ტექნოლოგიები, დავნერგოთ ისინი ჩვენს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში.**

**შეძენილი მოწინავე ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენებით შეიძლება გავზარდოთ ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლიანობა და წარმოება.**

**აქაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ კარჩაკეტილობა, ვისარგებლოთ ყველა შესაძლო დახმარებებით, მოვიწვიოთ მაღალკვალიფიციური ექსპერტები,**

— ცეკავშირის უპირველესი საზრუნავი, მაინც ალბათ, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მომსახურება, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა. იქნებ ამაზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა.

**— სამომხმარებლო კოოპერაცია იმთავითვე შეიქმნა სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, ჩარჩებისაგან და გადამყიდველებისაგან მათი ინტერესების დაცვის, დიდი ილიას სიტყვებით, რომ ვთქვათ, ხელმისაწვდომი ფასებით კარგი ხარისხის საქონლის მიწოდებისათვის.**

**დროთა განმავლობაში კოოპერაციის წინააღმდეგ თანდათანობით ამუშავდა უზარმაზარი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატი და, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში, გაასახელმწიფოებრივა იგი. უფრო მეტი, სამომხმარებლო კოოპერაცია სახელმწიფო ვაჭრობის დანამატი გახდა.**

**სოფლის მშრომელთა თანაშემწისა და მეგობრის როლის ნაცვლად სამომხმარებლო კოოპერაციას დაეკისრა არცთუ კეთილშობილური საქმე — მცირეოდენი, ხშირად მდარე ხარისხის სახელმწიფო რესურსების საკმაოდ არაკეთილსინდისიერი გამანაწილებლის ფუნქციები.**

**ის პირველი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა 1989 წელს სისტემის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის (ამ წლიდან დაწყებული სახელმწიფო რესურსებს ანაწილებს არა რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო, არამედ სახელმწიფო სავევმო კომიტეტი) საკმაოდ მოკრძალებულია.**

**გვმართებს მივაღწიოთ ქალაქსა და სოფელს შორის რესურსების განაწილებისას სოციალურ სამართლიანობას, შევქმნათ და ავამოქმედოთ ისეთი ეკონომიკური მექანიზმი, ისე მოვაწყოთ მოსახლეობის მიერ წარმოებული სოფლის მეურნეობის დამზადების შემხვედრი ვაჭრობა, რომ არ დაიკარგოს ისედაც მწვავე დეფიციტად ქცეული საცხოვრისო შესაძლებლობები. უნდა ვიბრძოლოთ დამზადების ორგანიზაციაში, შესასყიდი ფასების, საერთოდ ფასწარმოქმნის საკითხებში ყოველგვარი შეზღუდვების წინააღმდეგ.**

**უნდა დამკვიდრდეს დეფიციტური საქონლის განაწილების, გაყიდვის საჯაროობა. სოფელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა საქმით განახორციელოს თავისი კონსტიტუციური უფლება. სოფელს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქცია გაცვალოს სოფლისათვისვე საჭირო საქონელზე, ნივთებზე და სხვა მასალებზე, აწარმოოს უცხოეთის ქვეყნებთან გაცვლითი ოპერაციები.**

**აუტანელია სოფლის გზების მდგომარეობა. მაგისტრალური გზების მსგავსად უნდა შეიქმნას ეროვნული პროგრამა ამ მიმართულებით.**

**ცეკავშირი ვალშია ქალაქის მოსახლეობის წინაშეც. იგი კარგად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, როგორც შუამავლისა ქალაქსა და სოფელს შორისა, იქნება ეს საკოლმეურნეო ბაზრების საქმიანობა, თუ კომერციული საცხოვრისო მაღაზიების ქსელის ჩამოყალიბება და განვითარება.**

**ცარიელი, უშინაარსო, კანონის ძალას მოკლებული ლოზუნგი „მიწა — გლეხობას!“ რეალობად უნდა იქცეს. მართალია, ამ დღეებში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კანონი მიწის საკითხების შესახებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ უნდა შეიმუშაოს და მიიღოს თავისი კანონი ამ საკითხზე.**

— რა ღონისძიებებს ისახავს ცეკავშირი მწვავე დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად?

**ეს პრობლემა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის პირობებში უფრო მწვავდება, მეტწილად იმის გამო, რომ ერის სამსახურში არ არის ჩაყენებული ისეთი მძლავრი ბერკეტი, როგორიც არის ქართული სოფლის შესაძლებლობა. მოუთმენელია დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ საქართველოში, ქართულ მიწაწყალზე ქართული ოჯახი შეზღუდულია ბიუროკრატიული კანონმდებლობით, რომელიც ფაქტობრივად კრძალავს ოჯახის გაყოფას, რარიგ მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს იგი, უზღუდავს ცხოვრებისეულ არეალს, შემოსავლის წყაროს და საბოლოო ანგარიშით აკნინებს ეროვნულ დოვლათს.**

**მთიანი აჭარის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მცირემიწიანობაა და ნუთუ აუცილებელი იყო ადამიანების მსხვერპლი, რომ ბოლოს და ბოლოს გადაგვეწყვიტა აჭარის მთიანეთის მკვიდრთა განსახლების პრობლემა?**

**მაშინ, როდესაც არაქართველ მოსახლეობას გულუხვად „დაურიგდა“ ასობით და ასიათასობით ჰექტარი მიწა, და ამაში ბევრი ვაი-ქართველის ხელიც ურევია, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში ათეული წლების განმავლობაში ელავებიან ადგილობრივ მოსახლეობას, თითქოსდა საზოგადოებრივი მიწები მიეტაცოთ.**

**საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა სამართლიანობის აღდგენისათვის, ისეთი აგრარული პოლიტიკის გატარებისათვის, რომელიც არამარტო ხელს შეუწყობს ქართველ კაცს, არამედ ახალ ოჯახებს კომფორტულ პირობებსაც შეუქმნის მიწათსარგებლობის საკითხებში.**

— საქველმოქმედო საქმიანობამ ბოლო ხანს განსაკუთრებული მასშტაბები მიიღო. მის გარეშე დღეს წარმოუდგენელიც კია მრავალი ეროვნული პრობლემის მოგვარება. რა წვლილი შეაქვს ცეკავშირს ამ მამულიშვილურ საქმიანობაში?

**— დაარსებიდანვე საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია დიდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. მისი თანადგომითა და ფინანსური მხარდაჭერით აშენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შეიქმნა პირველი ქართული კინოხელოვნების ნიმუშები, მისი წყალობით დაიბეჭდა და გავრცელდა ხალხში ბევრი ქართველი კლასიკოსის ნაწარმოები, სიცოცხლე დაუბრუნდა მრავალ მუზეუმსა და კულტურის ძეგლს.**

**ამ ტრადიციებს იგი კვლავაც გააგრძელებს. ჩვენ მიზნად ვისახავთ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, აღჭურვას სათანადო იარაღ-მოწყობილობით, ინვენტარით. მეტი ყურადღება დაეთმობა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და დასვენების კერების მოვლა-პატრონობას. გაფართოვდება ჩვენი ეროვნული კულტურის ძეგლთა მოვლის არეალი. მაქსიმალური ყურადღება დაეთმობა ობოლი და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვების, ინვალიდთა და ხანდაზმული ადამიანებისათვის ზრუნვას, გარკვეული თანხა გადაირიცხება მერაბ კოსტავას ფონდში.**

**ცეკავშირი მონაწილეობს საბავშვო ქალაქ „მზიურის“ მშენებლობაში.**

**მთელ ქართველ ხალხთან ერთად ცეკავშირის 70-ათასიანმა კოლექტივმა გაითავისა სტიქიით დაზარალებული აჭარის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის გასაჭირი. სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ გადაწყვიტა გაიღოს 8 მილიონი მანეთი და თავისი ძალებით ააშენოს საცხოვრებელი სახლები ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ აზმანაში აჭარელთა ჩასასახლებლად. უფრო მეტი, ჩვენ ვიკისრეთ საერთოდ ეს სოფელი გავაშენოთ კომპლექსურად, მოვაწყოთ აქ საფერმერო, გლეხური მეურნეობა.**

**ჩამოსახლებულთათვის ვაშენებთ ბაგა-ბაღს, სკოლას, კულტურის კერას, ყოველდღიური მოხმარების საქონლის მაღაზიას, პურის საცხობს, საქვაბეს. დაწყებულია კანალიზაციის, სარწყავი სისტემის, სასპორტო მოედნის, გზების მშენებლობა.**

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ ეკოლოგიაზე. ბოლო წლებში საქართველოს მთიანეთში მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა ყამრავი პრობლემის წინაშე დაგვაყენა. რა ღონისძიებებია გასატარებელი საქართველოში ეკოლოგიური თვალსაზრისით?

**— დღეს და ხვალ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ უპირველეს სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღება.**

**საქართველოში ერთობ მწვავედ დგას ეკოლოგიური პრობლემა. ამის საგანგაშო ზარი იყო აჭარასა და სვანეთში მომხდარი სტიქიური უბედურებანი. დასაბუთებული გვაქვს ღონისძიებანი რესპუბლიკის ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებისათვის, სხნის ერთადერთ გზად მიგვაჩნია ბუნებისადმი მზრუნველი და ჰუმანური მიდგომა, უდიდესი სიფრთხილე გვმართებს ბუნების პროცესებში ჩარევისას.**

**ამ ასპექტით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი ელექტროენერგეტიკული მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული პოლიტიკის გატარებას.**

**გვმართებს გადავხედოთ გეზს, რომლის მიხედვითაც ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო დიდი ჰესების მშენებლობაზე საქართველოში.**

**საჭიროა აღვადგინოთ და მთელი ძალით ავამოქმედოთ ტრადიციული მცირე სიმძლავრის ელექტროჰესები, რადგან ამ გზით მიღებული ენერგია იაფიც არის და ეკოლოგიურადაც მისაღები.**

**მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის ენერგეტიკული განვითარების პროგრამაში გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს ეგრეთ წოდებული განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებასაც (მხედველობაში მაქვს მზის და გეოთერმული ენერგია და მისი სადგურების მშენებლობის პრაქტიკის დამკვიდრება ჩვენს რესპუბლიკაში).**

**ამ გზაზე ჩვენ გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯიც გადავდგით. ისრაელის ფირმა „კოტექთან“ მოლაპარაკების თანახმად შემოვიტანთ მიკროენერგო სადგურებს, რომელთაგან სამს სოფელ აზმანაში დაყენებას ვაპირებთ, რაც მთლიანად უზრუნველყოფს ამ სოფლის ენერგიით მომარაგებას.**

**ეკოლოგიურად და ეკონომიკურად ერთ-ერთ ოპტიმალურ სახეობად მიგვაჩნია ქარის ენერგია. ეს პრაქტიკულად ყველაზე იაფი სახეობაა ენერგიისა. მეცნიერულად კარგად, მყარად შემუშავებული მეთოდებისა და სერხების საშუალებით ქარის ენერგიის გარდაქმნა შეიძლება მექანიკურ, თბო ან ელექტროენერგიად. თანაც ამ სახეობის ენერგიის გამოყენება პრაქტიკულად ყველგან შეიძლება. ყველაზე პერსპექტიულია ქარისმიერი ენერგეტიკული დანადგარების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. ამის საგულისხმო გამოცდილება აქვს ჩვენს მოსაზღვრე ქვეყნებში, რომლებთანაც (კერძოდ, თურქეთთან) მიმდინარეობს მოლაპარაკება ასეთი დანადგარების საქართველოში შემოტანის თაობაზე...**

**მიგვაჩნია, რომ საკითხისადმი ასეთი გლობალური მიდგომით ხელი შეეწყობა რესპუბლიკის ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას.**

— რა აზრისა ბართ ამჟამად მიმდინარე საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებზე?

**ეს სახალხო არჩევნები არ არის, რადგან მასში არ მონაწილეობს ბევრი პარტია, ორგანიზაცია თუ გაერთიანება. ბევრმა ეროვნულმა ორგანიზაციამ, რომელთაც ხალხის ნდობაც და მხარდაჭერაც აქვს, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. საუბარია არა იმაზე, რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილება, არამედ ფაქტზე, რომ ახალ პარლამენტში ყველაზე ჯანსაღი, ძლიერი ეროვნული მოძრაობის ნაწილი წარმოდგენილი არ იქნება.**

**დასახელებულ კანდიდატთა სიას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საარჩევნო კამპანია ბევრისათვის თვითგამოჩენის ასპარეზად იქცა, იმისდა მიუხედავად გააჩნია თუ არა მას პოლიტიკური მუშაობისადმი მიდრეკილება, უნარი, ალარაფერს ვლაპარაკობ ზნეობრივ კატეგორიებზე.**

**ჩემი აზრით, პარლამენტის ახალმა შემადგენლობამ რაც შეიძლება სწრაფად და საფუძვლიანად უნდა მოამზადოს კანონპროექტები, რომლებიც ერისა და სახელმწიფოს ნამდვილ სუვერენიტეტს მოემსახურება, შეიტანს სათანადო ცვლილებებს არსებულ კონსტიტუციაში, რათა მომზადდეს საფუძველი იმისათვის, რომ საქართველოში ჩატარდეს ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტისა, ყველა პარტიის მონაწილეობით. საქართველოს ხვალინდელი დღე შესაძლოა ნათელი იყოს მხოლოდ ასეთი გზით.**

# ისტორიული სინამდვილე მხოლოდ ჭეშმარიტ ფაქტებს შეიძლება ეყრდნობოდეს

## ლევან ალექსიძე

ბოლო წლების ჟურნალ-გაზეთებში დაისტამბა პუბლიკაციები, რომლებიც ჯერ კიდევ 1946-1949 წლებში პ. რატიანის მიერ მოძიებულ დოკუმენტებს განიხილავდნენ. ეს დოკუმენტები ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ეტაპთან, სახელდობრ, 1905-1906 წლებში საქართველოში ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის ცდასთან არის დაკავშირებული.

პოლემიკა გაჩაღდა ი. ჭავჭავაძის ფონდში დაცული რუსულად შედგენილი ხუთი დოკუმენტის ირგვლივ — „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა" (33 მუხლიანი კალიგრაფიული ხელით დაწერილი ტექსტი), პროგრამის შემოკლებული და გადამუშავებული ვარიანტი (15 მუხლიანი მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი), 14 პუნქტიანი ხელნაწერი ტექსტი, პარტიის დაარსების შესახებ დეკლარაციის პროექტის ხელნაწერი და მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტები, რომლებიც ილიას ხელს მიეკუთვნება. მოგვიანებით ამას დაემატა ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის ტექსტი, რომელიც „ცნობის ფურცელში" დაიბეჭდა 1905 წლის 18-19 იანვარს და რომლის ავტორობასაც ზოგიერთი ილიას მიაწერს.

ვ. აბაშმაძის პუბლიკაციებს, რომლებიც 1985-1986 წწ. დაისტამბა „ცისკარსა" (1985, № 12, გვ. 136-141) და „დროშაში" (1986, № 11, გვ. 12), მოჰყვა გ. მამულიას ნაშრომების სერია („მაცნე", ისტ. სერია, 1987, № 3, გვ. 40-60; „განთიადი", 1987, № 6, გვ. 161-187; „ლიტერატურნაია გრუზია", 1987, № 10, გვ. 55-87). შ. ბადრიძის („კომუნისტი", 8 I. 88) კრიტიკულ წერილს გ. მამულიამ თავისი პოზიციის დაცვით უპასუხა („კომუნისტი", 7. IV-88). პოლემიკის მსვლელობამ მაიძულა ჩავრეულიყავი მასში, რადგანაც ხელთ მქონდა ახალი მასალები, რომლებიც საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტის საშუალებას გვაძლევდა („კომუნისტი", 16. VII. 88). ამას მოჰყვა ჯერ გ. შარაძის („კომუნისტი", 31. VII. 88), ხოლო შემდგომ თვით გ. მამულიას („ლიტერატურული საქართველო" 27. I. 89) წერილები.

ამ პოლემიკის შედეგად ბევრი ძალზე საინტერესო ფაქტობრივი და კონცეფტუალური მასალა გახდა ცნობილი, რამაც უდავოდ ხელი უნდა შეუწყოს ი. ჭავჭავაძის ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის ამომწურავად შესწავლის საქმეს.

ამავე დროს, პოლემიკამ ცხადყო, რომ ი. ჭავჭავაძის სახელთან დაკავშირებული დოკუმენტების ირგვლივ ისევ და ისევ არასწორი კონცეფციები ყალიბდება, ხშირად არასწორად არის წარმოდგენილი მოკამათეთა პოზიცია, რაც აბნევს მკითხველს, აბუნდოვნებს აბსოლუტურად ნათელ მოვლენას.

ყველაფერმა ამან მაიძულა კიდევ ერთხელ გამომეთქვა ჩემი მოსაზრება განსახილველი პრობლემის შესახებ.

დავიწყებ თავიდან, იმ პუბლიკაციით, რომელმაც დასაბამი მისცა დღევანდელ პოლემიკას.

1985 წელს „ცისკარში" (12, გვ. 134-141) დაისტამბა პ. რატიანის მიერ მოძიებული, მანქანაზე დაბეჭდილი „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" 15 პუნქტიანი პროგრამისა და ახალი პარტიის დაარსების შესახებ დეკლარაციის პროექტების სრული ტექსტების ქართული თარგმანი. „გამოკვლევა", რომელიც ავტორმა, ვ. აბაშმაძემ დაურთო თარგმანს, გვაუწყებდა, რომ დოკუმენტები „დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში და მეცნიერულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ სრულად შეუსწავლელი და გამოუყენებელია" (გვ. 136).

**ასეთმა განცხადებამ თავიდანვე საქმეში ჩახედული მკითხველის გაოცება გამოიწვია — რატომ დამალა ვ. აბაშმაძემ, რომ სწორედ აღნიშნული ორი დოკუმენტი, სხვა დოკუმენტებთან ერთად, ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ მოიძია და თითქმის სრულად გამოაქვეყნა და გააანალიზა პ. რატიანმა?!**

მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი იყო ის, რომ ამ პუბლიკაციაში ვ. აბაშმაძემ თავი აარიდა პასუხის გაცემას ძირითად საკითხზე — რატომ უკავშირებს ილია „თავის პროგრამას" კადეტების პროგრამის ძირითად დებულებებს და აღიარებს თავისი პარტიის კავშირს რუსეთის კადეტების პარტიასთან? ამაზე ხომ დეკლარაციაში ილიას ხელით გაკეთებული ცვლილებები მეტყველებდნენ!

მოგვიანებით, 1986 წლის 14 აპრილს, თბილისის უნივერსიტეტში ჩატარებულ ერთ-ერთ სხდომაზე, ვ. აბაშმაძემ „ნათელი მოჰფინა" პუბლიკაციით გამოწვეულ კითხვებს. ამავე მიზანს ემსახურებოდა „დროშაში" გამოქვეყნებული კიდევ ერთი პუბლიკაცია („დროშა", 1986, № 11, გვ. 12).

ვ. აბაშმაძე ჯერ ამტკიცებდა, რომ პ. რატიანის მიერ მოძიებული და მის მიერ ქართულად თარგმნილი და დასტამბული პროგრამის პროექტის ტექსტი „დაწერილია ილიას ხელით"; პ. რატიანი, თურმე, ცდება, როდესაც ამბობს, რომ პროგრამის ხელნაწერი ტექსტი სხვის ხელს ეკუთვნისო; ასევე ცდება პ. რატიანი, როდესაც ამტკიცებს, რომ კადეტებისა და ილიას პროგრამებს შორის პრინციპული მსგავსება არისო. მაგრამ დისკუსიის შემდეგ ვ. აბაშმაძე იძულებული გახდა ეღიარებინა კადეტებისა და ილიას პროგრამებს შორის არსებული კავშირი.

„...1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, — წერს ავტორი, — მან (ილიამ — ლ. ა.) გადაწყვიტა... პარტიის შექმნა. ამ პარტიას, როგორც მისი პროგრამიდან ჩანს, თავიდანვე, ეწოდებოდა „ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", მაგრამ მოგვიანებით, როცა რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის 1906 წლის იანვრის II ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში გარკვევით აღინიშნა (?) რუსეთში მცხოვრები ცალკეული ხალხების კულტურული თვითგამოყოფისა და ადგილობრივი ავტონომიის უფლებების თაობაზე ილიამ პარტიის სახელწოდება „ეროვნულ-დემოკრატიული" თავისი ხელით ჩაასწორა „კონსტიტუციურ-დემოკრატიული"... ამ პერიოდში (კადეტების — ლ. ა.) პარტია დიდი გავლენით სარგებლობდა... ამიტომ შეიძლებოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ასეთი გავლენიანი პარტია მოკავშირე გამხდარიყო... ილიას მიერ დაწერილი „ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული (კონსტიტუციურ-დემოკრატიული) პარტიის პროგრამა"... ერთად-ერთი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ სოციალურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-პოლიტიკურ გარდაქმნებზე, რასაც ილია ითვალისწინებდა 1905-1906 წლებში" („დროშა", 1986, № 11, გვ. 12).

ამ დებულებაში რამდენიმე პრინციპული შეცდომაა:

1. ავტორმა უნდა იცოდეს, რომ 24-ე მუხლი გაჩნდა კადეტების პროგრამაში ამ პარტიის პირველივე ყრილობაზე, ე. ი. 1905 წლის 12-18 ოქტომბერს.

2. პროგრესისტთა პროგრამის ხელნაწერი და მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტები სტრუქტურულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გაუგებარია რომელ ტექსტზე ლაპარაკობს ვ. აბაშმაძე! მის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი („ცისკარი", 1985, № 12) მანქანაზე დაბეჭდილი ვარიანტის თარგმანია! რა შუაშია აქ „ილიას ხელით დაწერილი პროგრამა"?

3. რას ეყრდნობა ვ. აბაშმაძე, როდესაც ამტკიცებს, რომ ხელნაწერი ტექსტი „ილიას ხელს" ეკუთვნის? პ. რატიანი უარყოფდა ამ ფაქტს, მაგრამ ვ. აბაშმაძე არც კი ცდილობს ამ დებულების გაბათილებას მეცნიერებაში მიღებული წესის მიხედვით, იგი უბრალოდ აცხადებს: „პროგრამა ილიას ხელით არის დაწერილი".

4. ი. ჭავჭავაძე, თურმე, უკავშირდება კადეტების პარტიას მხოლოდ ზედაპირულად, პროგრამის სახელწოდების შეცვლით. მაგრამ, იქნებ, პ. რატიანი მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ ილიასა და კადეტების პროგრამებს შორის პრინციპული მსგავსებაა. ვ. აბაშმაძეს არც უცდია შედარებითი ანალიზის ჩატარება.

5. არ შეესაბამება სინამდვილეს ვ. აბაშმაძის მტკიცება, თითქოს ილიამ „თავისი ხელით ჩაასწორა" „პროგრესისტთა" პარტიის პროგრამის სახელწოდება. „ცისკარში" დაბეჭდილმა ტექსტმა მეც კი შემაცდინა პირველ ხანებში, მაგრამ ტექსტების დეტალურმა შესწავლამ ცხადყო, რომ პროგრამის არცერთი ვარიანტი არ შეიცავს რაიმე შესწორებას დაკავშირებულს პარტიის სახელწოდებასთან. ილიამ ჩაასწორა მისი ხელით დაწერილი და მანქანაზე გადაბეჭდილი დეკლარაციის პროექტი, სადაც ახალ პარტიას პირველად „ავტონომისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" ეწოდებოდა. სწორედ ეს სახელწოდება შეცვალა ილიამ და არა პროგრამის ტექსტი (იხ. ქვემოთ).

ამდენად, ვ. აბაშმაძეს არავითარი უფლება არ ჰქონდა თავისი ნებით დაესათაურებინა „პროგრესისტთა პარტიის" პროგრამის ტექსტი ისე როგორც ეს მან ჯერ „ცისკარში" გააკეთა, ხოლო შემდგომ „დროშაში".

საგულისხმოა, რომ „დროშაში" ვ. აბაშმაძე საერთოდ არ მოიხსენიებს დეკლარაციას, თითქოს ეს დოკუმენტი არც კი არსებობს, ხოლო ილიას მიერ მასში შეტანილ შესწორებას პროგრამის ტექსტში გაკეთებულ ჩასწორებად წარმოგვიდგენს.

ვ. აბაშმაძემ უგულებელყო ი. ჭავჭავაძის ფონდში დაცული სხვა ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის 14 პუნქტიანი ნუსხა, რომელიც, პ. რატიანის აზრით, ილიას ხელით დაწერილი რუსეთის კადეტების პროგრამაში შესატანი „ცვლილებანი და დამატებანი" უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ავტონომიაზე ილიას კონცეფციის ვ. აბაშმაძისეულ ინტერპრეტაციას, ამაზე წინა პუბლიკაციაში მქონდა ლაპარაკი.

ამგვარად, დროის მცირე მონაკვეთში ვ. აბაშმაძემ რამდენჯერმე შეიცვალა აზრი. მისმა პუბლიკაციებმა ბევრი ნათელი საკითხი გააბუნდოვნა, წამოიჭრა მრავალი კითხვა, რომელიც კარგო ხანს უპასუხოდ დარჩა.

გ. მამულიამ აღადგინა სამართლიანობა, მან პირველმა გამოაქვეყნა რუსულად და ქართულად ი. ჭავჭავაძის ფონდში დაცული ხუთივე დოკუმენტი, ჩამოაყალიბა საინტერესო დებულებანი, რომლებიც ეჭვს არ იწვევენ. მან დაამტკიცა, რომ კადეტებისა და პროგრესისტების პროგრამებს შორის შინაარსობრივი მსგავსება არსებობს. სამწუხაროდ, მან გადაწყვიტა რადაც არ უნდა დაუჯდეს, დაუკავშიროს ილიას 1906 წლის 18-19 იანვარს „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილი „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა". სწორედ ამ დებულებამ გამოიწვია შ. ბადრიძისა და ჩემი ვრცელი კრიტიკული შენიშვნები.

მკითხველს, რომელიც გულდასმით ადევნებს თვალყურს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გაშლილ პოლემიკას, უნდა ახსოვდეს, რომ ი. ჭავჭავაძის ფონდში დაცული 5 დოკუმენტიდან (№1015-1016) მხოლოდ ერთი — პარტიის შექმნის პროექტი, დაწერილია ილიას ხელით, მისივე ხელით გასწორებულია პროექტის გადაბეჭდილი ასლი.

ზოგიერთი მეცნიერი სხვა დოკუმენტების ავტორობასაც ილიას მიაწერდა — ზოგი მათგანი ასეთ დოკუმენტად კალიგრაფიულად დაწერილ „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" 33 პუნქტიან პროგრამას მიიჩნევდა (ვ. აბაშმაძე, შ. ბადრიძე), ზოგი კი ილიას ნახელავად გაკრული ხელით 14 პუნქტიან ნუსხას აცხადებდა (პ. რატიანი, გ. მამულია).

მეცნიერული ექსპერტიზის შედეგად გაირკვა, რომ არც ერთი და არც მეორე დოკუმენტი ილიას ხელით არ არის დაწერილი. თუ 33 პუნქტიანი პროგრამის კალიგრაფიული ტექსტის დამწერის ვინაობის დადგენა ტექნიკურად შეუძლებელია, მისი შემოკლებული 14 პუნქტიანი ვარიანტის ავტორის დადგენა მომავლის აუცილებელ საქმედ მივიჩნიეთ. ამიტომაც, მას „ჩვენთვის ჯერ უცნობი პირი" ვუწოდეთ („კომუნისტი", 1988, 16 ივლისი).

და, აი, გ. შარაძის დახმარებით დადგინდა უცნობი პირის ვინაობაც: ეს არის სპირიდონ ვირსალაძე, ჩვენი ერის სახელოვანი მამულიშვილი, რომელიც აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა 1900-იანი წლების დასაწყისში. პუბლიკაციაში მოტანილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ს. ვირსალაძე აქტიურად იყო ჩაბმული 1905 წელს საქართველოში ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის საქმეში, რომელსაც ი. ჭავჭავაძე მეთაურობდა. სწორედ ს. ვირსალაძე ყოფილა ის პირი, რომელმაც შეამოკლა პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პირველი, 33 მუხლის შემცველი ვარიანტი, და დაიყვანა იგი 14 პუნქტამდე, რომელიც ასევე დაწუნებული იყო.

გ. შარაძემ მოგვაწოდა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი, კერძოდ, ს. ვირსალაძის წერილი, რომლითაც იგი იწვევს ი. ჭავჭავაძეს პროგრამის განსახილველად მოწვეულ კრებაზე, რომლის თარიღი ზუსტადაა მითითებული — 25 ღვინობისთვე.

ამგვარად, ირკვევა, რომ 1905 წლის 25 ოქტომბერს მოწვეულ იქნა სწორედ ის კრება, რომელიც 33 პუნქტიანი პროგრამის განხილვას მიეძღვნა. გამოდის, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის მიღებისა და კადეტების პარტიის ჩამოყალიბებიდან (1905 წლის 18 ოქტომბერი) ერთი კვირის მანძილზე პროგრამის ამ ვარიანტის შედგენა შეუძლებელი იყო დროის სიმცირის გამო. გ. შარაძის პუბლიკაციამდე ავტორთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ პროგრამის პირველი ვარიანტი შედგა უფრო მოგვიანებით (ნოემბრის დასაწყისი — დეკემბერი), კადეტების პარტიის ოფიციალურად ჩამოყალიბებიდან ხულ ცოტა ორი კვირის შემდეგ.

ამგვარად, გ. შარაძემ მოიძია უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტები, რომლებიც ნათელს ჰფენენ წლების მანძილზე არსებულ თეთრ ლაქებს ჩვენთვის საინტერესო საკითხში. ამიტომ ყოველი ჩვენთაგანი ამ ფაქტს დიდი სიხარულითა და მადლიერების გრძნობით შეხვდა.

გ. მამულია იყენებს გ. შარაძის მიერ მოტანილ ს. ვირსალაძის წერილს ივ. ჯავახიშვილისადმი იმის დასამტკიცებლად, თითქოს „პროგრესისტთა" პროგრამა შეიქმნა 1905 წლის აპრილში ქართველ ეროვნულ ლიბერალთა მიერ რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის ს. ვიტეს სახელზე 1905 წლის თებერვალში გაგზავნილი „მოხსენებითი ბარათის" საფუძველზე. „მოხსენებით ბარათსა" და „პროგრამას" შორის მართლაც დიდი მსგავსებაა. სამართლიანობა მოითხოვს საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ გ. მამულიას დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ამ დოკუმენტის მოძიება და გამოქვეყნება. („ლიტერატურნაია გრუზია", 1987, № 10, გვ. 68-69). მაგრამ დაბეჯითებით თქმა, თითქოს პროგრამა შეიქმნა 1905 წლის აპრილში, შეუძლებელია, მითუმეტეს იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც გ. მამულიას მოჰყავს. მისი მთავარი არგუმენტია კიტა აბაშიძის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი. გ. მამულია წერს: „1905 წლის 9 აპრილით დათარიღებულ წერილში კიტა აბაშიძე ივანე ჯავახიშვილსატყობინებდა: „აქ დაარსდა ახალი პარტია „საქართველოს დემოკრატიული პარტია", რომელიც რუსულ რადიკალურ პარტიას უახლოვდება და რომელშიც შევიდნენ ყველანი, რომელნიც ფედერალისტების პარტიაში არ ირიცხებიან. ეჭვი არ არის ფედერალისტთა პარტიის ერთი ნაწილიც ამას მიეკედლება". (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი, № 1539).

აქედან გამომდინარე, გ. მამულია იმ დასკვნამდე მიდის, რომ თუ 1905 წლის თებერვლიდან ქართველი ეროვნულ-დემოკრატები იწყებენ ფიქრს პარტიის შექმნაზე, „1905 წლის აპრილისათვის მათ „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა" შეადგინეს, რომელიც უმეტესად 1905 წ. თებერვალში ქართველ ეროვნულ ლიბერალთა მიერ მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის ს. ვიტეს სახელზე გაგზავნილ „მოხსენებითი ბარათის" დებულებებს შეიცავდა. ამავე დროს „პროგრესისტთა" პროგრამა „უფრო დახვეწილი და სრულყოფილია და, რაც მთავარია, მასში უკვე შეტანილია მოთხოვნა საქართველოს ავტონომიის თაობაზე". პატარა დეტალი: წინათ გ. მამულია გვიმტკიცებდა, რომ ილიამ უარყო „პროგრესისტთა" პროგრამის პირველი ვარიანტი იმის გამო, რომ მასში „არასწორად აისახა ილიას მოთხოვნა საქართველოს ავტონომიაზე" („ლიტერატურნაია გრუზია", 1987, № 10, გვ. 68).

მაგრამ დავუბრუნდეთ კიტა აბაშიძის ცნობას. გ. მამულიას მტკიცებით, წერილის თარიღი მოწმობს, რომ „საქართველოს დემოკრატიული პარტია" შეიქმნა 1905 წლის აპრილში. თვით გ. მამულიაც მიუთითებს („მაცნე", გვ. 41), რომ გაზეთ „შრომის" ცნობით ასეთი პარტია შეიქმნა 1906 წლის აპრილში („შრომა", 1906 წ. 2 აპრილი). მაგრამ ავტორი გვაფრთხილებს, ეს სხვა პარტია არისო. ჩვენ მაინც მოვძებნეთ ამ პარტიის პროგრამა («На повороте», № 5, 8 (21) 4. 1906), და შევადარეთ რუსეთის რადიკალური პარტიის პროგრამას: («Программы русских политических партий. СПБ. 1905. с. 49), რომელიც 1905 წლის 6 ნოემბერს შეიქმნა. რადიკალების პარტია ქადაგებს სოციალისტურ პარტიებთან თანამშრომლობის აუცილებლობას „წმინდა სახის დემოკრატიის პრინციპის ცხოვრებაში გატარებისათვის"; პროგრამა აცხადებს, რომ კადე-

(დასასრული მე-14 გვ.)

(დასასრული)

ტების პარტია „ცენტრის პარტიაა“, რომელმაც მხოლოდ „ზომიერად დემოკრატიული პროგრამა გამოაცხადა“. საგულისხმოა, რომ პროგრამა საკმაოდ დეტალურად ეხება „ეროვნულ-პოლიტიკურ ავტონომიას“, გაცილებით უფრო ვრცლად ვიდრე ამას კადეტების პროგრამა აკეთებდა. (მუხ. 3).

მართალია, „საქართველოს დემოკრატიული პარტია“, რადიკალური პარტიისგან განსხვავებით, არ ქადაგებდა დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების აუცილებლობას, იგი საერთოდ არ ეხებოდა სახელმწიფო წყობის საკითხებს: მისი შემქმნელები ლაკონურად მოუწოდებენ ბრძოლისაკენ „საქართველოსათვის საშინაო საქმეებში ავტონომიური მმართველობის დაარსებისათვის“, რომელსაც უნდა განაგებდეს არჩეული წარმომადგენლობითი კრება, მაგრამ, რაც შეეხება მოქალაქეთა უფლებებს, აგრარულ საკითხებს, მუშათა მდგომარეობას, საგადასახადო სისტემას და სხვ., ქართველი დემოკრატები ბევრს იღებენ რადიკალების პროგრამიდან, მათ შორის ყველა მიწის (სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სამონასტრო) საქართველოს ავტონომიის საკუთრებად გამოცხადება, აგრეთვე კერძო საკუთრებაში მყოფი მიწების ექსპროპრიაცია საკანონმდებლო კრების მიერ დადგენილ ფასებში. უკვე ეს არის საკმარისი, რომ უარვყოთ ამ პროგრამასთან ილია ჭავჭავაძის, და საერთოდ „პროგრესისტთა“, რაიმე კავშირი.

მაგრამ ჩვენი ყურადღება თავიდანვე მიიქცია ერთმა შეუსაბამობამ. გაზეთების მიხედვით „საქართველოს დემოკრატიული პარტია“ შეიქმნა 1906 წლის აპრილში, აპრილშივე გამოქვეყნდა მისი პროგრამა, რომელიც, მართლაც, როგორც ამას ამტკიცებს კიტა აბაშიძე, იხსენიებს რუსული რადიკალური პარტიის პროგრამის დებულებებს, ეს პარტია კი ახვევ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ დაარსდა. ხოლო კიტა აბაშიძის წერილი დათარიღებულია 1906 წლის 9 აპრილით. რა არის ეს — შეცდომა დათარიღებაში თუ ორივე პარტია მართლაც ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე ჩამოყალიბდა ჩანასახის სახით?!

პოლემიკაში პირველად ზემოაღნიშნულ ციტატას ჩვენ ვხვდებით შ. ბადრიძის წერილში („კომუნისტი“, 27/I-88 წ.). ავტორს მიაჩნდა, რომ ეს ცნობა ეხება „ქართველ თავადაზნაურთა საკრებულოს სხდომაზე (1905 წ. 1 აპრილის წინა დღეს) ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას“, რომელიც 1 აპრილის კრებამ მეფის სახელზე გასაგზავნი ადრესის სახით მიიღო („ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 2 აპრილი). შ. ბადრიძის აზრით, „ზემოაღნიშნულ ამბებს უნდა გულისხმობდეს კ. აბაშიძეც, რომელიც 9 აპრილს უკვე პარტიის შექმნას აფიქსირებს“.

გ. მამულია ამ მოკლე ინფორმაციას თავისი კონცეფციის ერთ-ერთ ძირითად დამამტკიცებელ საბუთად იყენებს.

თუ შ. ბადრიძე პარტიის შექმნას კ. აბაშიძის პირად შთაბეჭდილებას მიაწერს, გ. მამულია მის წერილს რეალური ფაქტის კონსტატაციად მიიჩნევს. უფრო მეტიც, იგი უფრო შორს მიდის — „პროგრესისტთა“ პროგრამის პირველი ვარიანტი თურმე სწორედ ამ დროისათვის ყოფილა უკვე დაწერილი.

მაგრამ იხევ და იხევ იხმის კითხვა — როგორ შეიძლება ასე დეტალურად ემთხვეოდეს ერთმანეთს 1905 და 1906 წლების აპრილის ცნობები „საქართველოს დემოკრატიული პარტიისა“ და რუსეთის რადიკალური პარტიის დაარსების შესახებ.

იძულებული გავხდი შემესწავლა აღნიშნული წერილის ორიგინალი. პირველი, რაც თვალშისაცემია, არის თარიღი „აპრილი 9.-1905“. თარიღის ბოლო კომპონენტი „-1905“ აშკარად უფრო მუქი მელნით არის დაწერილი; „9“-ის შემდეგ დასმული წერტილი ამაგრებდა ჩვენს ვარაუდს: ხომ არ მიაწერა ვინმემ ან თვით კ. აბაშიძემ წლის აღმნიშვნელი კომპონენტი რამდენიმე წლის შემდეგ, არქივის სისტემაში მოყვანის დროს?!

ვნახოთ, რას გვეტყვის წერილის შინაარსი. კ. აბაშიძე აწვდის პეტერბურგში მყოფ ივ. ჭავახიშვილს სხვადასხვა ცნობებს, მათ შორის ზემოაღნიშნულ ციტატასაც ვხედავთ. შემდეგ აბზაცში კი ვკითხულობთ: „მე ხომ სიტყვის მბხალად არ მოგწერეთ, რომ დაგეკითხეთ დასთანხმდებით თუ არა დუმაშითქო. (ხაზგასმა ჩემია — ლ. ა.). საქმე იმაშია, რომ თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ მამა თქვენის ვექილობით და ნება გაქვსთ იყაროთ კენჭი“.

აი თურმე რაში ყოფილა საქმე — 1906 წლის აპრილში დასასრულს უახლოვდება საარჩევნო კამპანია სახელმწიფო სათათბიროში (დუმაში) დეპუტატების ასარჩევად. „დუმა“! ამ ინსტიტუტის შესახებ პირველად 1905 წლის ივნისის დამლევს გახდა ცნობილი გაზეთებიდან, ხოლო 6 აგვისტოს გამოქვეყნდა მეფის მანიფესტი „სახელმწიფო სათათბიროს დაარსების შესახებ“ და დებულება მასში არჩევნების შესახებ. მაგრამ რევოლუციური მოძრაობის ქარ-ცეცხლში თვითმპყრობელობის ეს ცდა მოეტყუებინა ხალხი „დემოკრატიის“ ლოზუნგებით, ამაო აღმოჩნდა. 17 ოქტომბრის მანიფესტი სათათბიროს „გაუმჯობესებას“ ითვალისწინებ და ა. 1905 წლის 11 დეკემბერს კიდევაც გამოიცა ახალი დებულება სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების შესახებ, თუმცა ისიც ნაკლებად დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ბოლშევიკების მიერ გამოცხადებული ბოიკოტისა, არჩევნებისათვის მზადება დაიწყო იმპერიის მოსახლეობის ყველა სოციალურმა ფენამ, პირველ რიგში კადეტებმა. ხოკოებივით მრავლდებოდა პოლიტიკური პარტიები, ბევრი მათგანი რამდენიმე ათეულ წევრს თუ ითვლიდა, 1905 წლის დეკემბერში პეტერბურგში დაიბეჭდა კრებული, რომელიც 4 პარტიის პროგრამას შეიცავდა: რსდმპ, სოციალისტ-ფედერალისტების, კადეტებისა და რადიკალების, 1906 წლის აპრილისათვის კი კრებული 18 პარტიის პროგრამას შეიცავდა.

გავიხსენოთ, რომ I სახელმწიფო სათათბირო შეიკრიბა 1906 წლის 28 აპრილს.

ასეთია უტყუარი ფაქტების თანმიმდევრობა, რაც გამორიცხავს კ. აბაშიძის წერილის დათარიღებას 1905 წლის 9 აპრილით. იგი მხოლოდ „1906 წლის 9 აპრილი“ შეიძლება იყოს. არც უფრო გვიანი რიცხვით შეიძლება მისი დათარიღება, რადგანაც „საქართველოს დემოკრატიული პარტიის“ დაარსება და მისი პროგრამის გამოქვეყნება სწორედ ამ მონაკვეთში მოხდა.

გ. მამულია მართალია, რომ „პროგრესისტთა“ პროგრამა ახახავდა ბ. ვიტეს სახელზე გაგზავნილი „მოხსენებითი ბარათის“ ძირითად დებულებებს. ჩვენ პუბლიკაციაში ნაჩვენები იყო ის გაცხოველებული ინტერესი, რომლითაც ადევნებდა თვალ-ყურს ილია და მისი თანამოაზრენი 1904-1905 წლებში რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის მოძრაობას, მათ საპროგრამო დოკუმენტებს. მაგრამ ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ „პროგრესისტთა“ პროგრამა 1905 წლის 6 აგვისტომდე, ე. ი. სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების გამოცხადებამდე, შექმნილიყო.

გ. მამულიას აზრით, ილიას მიერ დაწუნებული „პროგრესისტთა“ პარტიის პროგრამის პირველი ვარიანტის შემდეგ 14 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა“, რომელიც ჯერ „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა, ხოლო შემდგომ 10000 ცალად ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

გ. მამულიას აზრით, მტკიცება, რომ „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას“ არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს ილიას არქივში დაცულ დოკუმენტებთან, უსაფუძვლოა, რადგანაც ჩვენ ხელთ არა გვაქვს გამოქვეყნებული პროგრამის ტექსტი, „ილიას თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით კი პროგრამის ტექსტი დაიბეჭდა“.

ამისათვის გ. მამულია იყენებს ივ. ზურაბიშვილის და ალ. ახათიანის მითითებას, რომ ილიას აქტიური მხარდაჭერით შეიქმნა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, რომლის პროგრამა დაიბეჭდა ათი ათას ცალად, (ი. ზურაბიშვილი), ალ. ახათიანის მტკიცებით კი დაიბეჭდა „პროგრამა და წესდება“.

ჯერ ერთი, ყოველი მემუარული ლიტერატურა ძალზე კრიტიკულად უნდა გამოიყენებოდეს მეცნიერული მიზნებისათვის, მით უმეტეს, როდესაც ბიოგრაფები არ არიან მომხდარი მოვლენების მოწმენი და მხოლოდ სხვა პირთა გადმოცემებს ეყრდნობიან. ივ. ზურაბიშვილის ბიოგრაფები, მისი შვილები, თვითონვე აღნიშნავენ, რომ ცნობები მოტანილია „უმთავრესად ჩვენი დედის და, ნაწილობრივ, იქვთიმე თაყაიშვილის ცნობათა მიხედვით“ (ივ. ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962, გვ. 22).

იბადება კითხვა — თუ ეს ცნობები სინამდვილეს შეეფერება, რატომ არის ლაპარაკი მხოლოდ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ პროგრამასა და წესდებაზე“? „ცნობის ფურცელში“ ხომ ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის“ მხოლოდ პროგრამა დაიბეჭდა?! ნებისმიერი პარტია სახელწოდების დაუზუსტებლად არ გამოაქვეყნებდა თავის პროგრამას (ისიც ათ-ათასიანი ტირაჟით, რაც ძალზე დიდი იყო იმდროინდელი საქართველოსათვის). რატომ არის, რომ ივ. ზურაბიშვილი თუ ა. ახათიანი არ იხსენიებენ ამ სახელწოდებას? იქნებ იმიტომ, რომ კარგად იციან — ილია სულ სხვა პარტიის შექმნას აპირებდა.

მეტიც, გ. მამულიას რომ დავუჯეროთ, პროგრამის „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნება, თურმე, ილიას გამორჩენია მხედველობიდან. „კომუნისტში“ გ. მამულია მიუთითებს ი. ჭავჭავაძის წერილზე გ. ჟურულისადმი (1906 წ. 6 მარტი), მაგრამ არ მოჰყავს სრულად მისი სათანადო ადგილი. შ. ბადრიძემ სწორად გაამახვილა ყურადღება იმ შეუსაბამობაზე, რომელიც ილიას წერილის შინაარსსა და გ. მამულიას ინტერპრეტაციას შორის არსებობს. პროგრამა „ცნობის ფურცელში“ რომ დაბეჭდილიყო, მაშინ ილია გულისწყრომით არ აღნიშნავდა — „ჯერ კიდევ შარშანვე შემუშავებული“ პროგრამა, „წეწვა-გლეჯვის საგანია“ და მის გამოქვეყნებას საშველი ვერ დაადგა. ჩვენ იმასაც დავუმატებდით, რომ ეტყობა, ვიღაცა ხელს უშლიდა ამ საქმის დაგვირგვინებას იმდენად ინტენსიურად, რომ ილია აღნიშნული წერილის დაწერისას დარწმუნებული არ იყო დასტამბვის პროცესის კეთილად დამთავრებაში.

დაისტამბა თუ არა ეს პროგრამა? ამაზე ჩვენ ჯერჯერობით არა ვიცით რა. თითქოს დაისტამბა „პროგრამაც და წესდებაც“ (ალ. ახათიანი), ან მხოლოდ პროგრამა (ივ. ზურაბიშვილი). გ. მამულიას მიაჩნია, რომ დღეისათვის შემონახული ერთადერთი ეგზემპლარი — „პროგრამა ქართველ-ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიისა“ სწორედ ის პროგრამაა, რომელიც „ცნობის ფურცლის“ შემდგომ დაისტამბა. ავტორი მიუთითებს კიდეც, სად ინახება ეს იშვიათი ეგზემპლარი, მაგრამ არ აღნიშნავს, რომ წიგნაკს გარეკანი აკლია, ამდენად, არ ვიცით გამოცემის ადგილი და, რაც მთავარია, წელი!

შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, როდის გამოქვეყნდა ეს პროგრამა. თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ წიგნაკის ტექსტი სიტყვა-სიტყვით იმეორებს გაზეთის ტექსტს. შეცვლილია მხოლოდ სიტყვების წყობა: სიტყვა „პროგრამა“ თავშია გადატანილი. რატომ იყო ამ ტექსტის ირგვლივ „წეწვა-გლეჯვა“ თუ კი მასში ერთი მისხალიც არაფერი არ შეცვლილა? რატომ დაბეჭდავდნენ ცალკე წიგნაკად, თანაც 10 000 ცალად, იმ პროგრამას, რომელიც გაზეთის საშუალებით მთელ საქართველოს მოფინეს. კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო ფაქტობრივი დეტალი — დავუშვათ, მართლაც პროგრამა ჯერ გაზეთში გამოაქვეყნეს, ხოლო შემდგომ ცალკე წიგნაკად დასტამბეს, რისთვისაც გამოიყენეს სტამბაში უკვე არსებული ანაწყობი. პირველი შეხედვით ასეთი რამ შესაძლებელი იყო, რადგანაც წიგნაკის ფორმატი ვიწროა, ტექსტი აწყობილია სვეტებად, იმდროინდელი გაზეთებისათვის ჩვეული ზომითა და შრიფტით. სინამდვილეში გაზეთისა და წიგნაკის ანაწყობში საერთო არაფერი არ არის — ორივე ტექსტი აწყობილია ვენური შრიფტით, მაგრამ გაზეთში პეტიტით, თვით წიგნაკი კი კორპუსით. საქმეში ჩახედული ადამიანისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ორ თვეში ე. ი. იანვარ-თებერვალში, არავინ შეეცდებოდა გაზეთში დაბეჭდილი პროგრამის ხელახლა აწყობას და ცალკე წიგნაკად გამოცემას. საგულისხმოა, რომ ძალზე ავტორიტეტული პუბლიკაციის შემდგენლები ათარიღებენ ამ წიგნაკს 1917 წლით, ალბათ ამისათვის მათ სოლიდური საფუძველი ჰქონდათ. (იხ. ქართული წიგნი, თბ., 1941, გვ. 120).

ასეთია „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი მხარე, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს მტკიცებას, თითქოს იგი იყოს ი. ჭავჭავაძის ფონდში დაცული დოკუმენტების ლოგიკური გაგრძელება.

აღარაფერს ვამბობ ამ პროგრამის შინაარსზე, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ილიას კრედოსაგან პოლიტიკურ და აგრარულ საკითხებში (იხ. კომუნისტი“ 16/VII-88). ეს, ჩემი აზრით, ყველაზე დასაბუთებული არგუმენტია, რომელსაც გ. მამულია საერთოდ უგულებელყოფს თავის პასუხში.

ი. ჭავჭავაძის ფონდში დაცული ყველა განსახილველი დოკუმენტის უფრო დეტალურმა შესწავლამ, სხვა პოლიტიკური პარტიების პროგრამებთან შინაარსობრივმა შეჯერებამ დაგვარწმუნა, რომ არც „ქართველ ავტონომისტთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, არც „საქართველოს დემოკრატიული პარტია“ არ შეიძლება ყოფილიყო ილიას პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგომი ორგანიზაცია. უფრო მეტიც, მანქანაზე გადაბეჭდილი პროგრამის ტექსტში ჩვენ ვერ ვხვდებით მითითებას, თუ რა სახელწოდების პარტია არსდება, არც რუსეთის კადეტებს იხსენიებს იგი. გავიხსენოთ, რომ იგივეს ვხვდებით „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის“ პირველ ვარიანტში, აქ სახელწოდება მხოლოდ გარეკანზე გვხვდება, ისიც სხვისი ხელით დაწერილი.

ამგვარად, მითითებას კადეტების პარტიაზე, მათი პროგრამის დებულებათა აღიარებაზე მხოლოდ ორი დოკუმენტი შეიცავს — სპ. ვირსალაძის მიერ შედგენილი 14-პუნქტიანი პროგრამის ვარიანტი და ილიას ხელით დაწერილი და გადაბეჭდილი დეკლარაცია. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ილიას, სპ. ვირსალაძის, გ. ჟურულისა და ზოგიერთ სხვათა სურვილი საგანგებოდ გაესვათ ხაზი ქართული პარტიის რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიასა და პროგრამასთან ოფიციალურად აღიარებული კავშირისათვის, შესაქმნელი ორგანიზაციის სხვა წევრთა წინააღმდეგობას წააწყდა, რის გამოც პარტიის შექმნის ცდა საბოლოოდ ამაო აღმოჩნდა. იქნებ ამით უნდა ავხსნათ ივ. ზურაბიშვილისა და ალ. ახათიანის ცნობა, რომ შეიქმნა „ეროვნულ-დემოკრატიული“ და არა „კონსტიტუციურ-დემოკრატიული“ პარტია, თუმცა, უდღეური აღმოჩნდაო. ცნობილია ისიც, რომ ეროვნულ დემოკრატთა რიგებში სხვადასხვა მიმართულების მოღვაწენი იყვნენ, რომელთა გაერთიანება არც ისეთი იოლი საქმე იყო. ზოგიერთი მათგანი სოციალისტ-ფედერალისტებთან თანამშრომლობდა, ზოგიერთი ავტონომისტებს და დემოკრატებს ეკედლებოდა. ილიას პლატფორმა ყველაზე ზომიერი ჩანს, მან კარგად იცოდა რა სახის დემოკრატიულ მოთხოვნებს „მოინელებდა“ თვითმპყრობელობა შექმნილ ვითარებაში, და გაურბოდა ისეთ პარტიებთან კოოპერაციას, რომლებიც ავტონომიის ცარიზმისათვის მიუღებელ მოდელებს თავაზობდნენ. მათ შორის ეგულებოდა არა მარტო სოციალისტ-ფედერალისტების გეგმები, არამედ „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის“ პროგრამაც, რომელიც მართალია იმეორებდა კადეტების პროგრამის ყველა მუხლს, მაგრამ დამატებით მუხლებში ავტონომიის ისეთ მოდელს თავაზობდა, რომელიც განწირული იყო — ასეთ გეგმებს რადიკალურ მოთხოვნად ნათლავდა არა მარტო მეფის კარი, არამედ თვით კადეტების ხელმძღვანელობა.

ილია განგებ არ ამახვილებდა ყურადღებას ავტონომიის დეტალებზე — ეს მომავლის საქმე უნდა ყოფილიყო, მას შემდეგ, რაც მთავარი გაკეთდებოდა — ადმინისტრაციულად გაერთიანებულ ქართულ მიწა-წყალზე ქართული ხელისუფლება დამყარდებოდა. სახელდობრ, ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო კრება.

ქართველი ერის პოლიტიკური განთავისუფლების გზა ილიას გაცილებით უფრო რთულ და ხანგრძლივ პროცესად მიაჩნდა, ვიდრე სხვა სახის ავტონომისტებს, ფედერალისტებს (თუმცა, ყველა მათგანი სეპარატიზმს უარყოფდა). ეს კარგად მოჩანს იმ დოკუმენტების შინაარსიდან, რომლებიც ი. ჭავჭავაძის ფონდში დაცულია და უდავოდ ილიას კრედოს გამოხატავენ.

რასაკვირველია, ილია ოცნებობდა საქართველოს მიერ სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის მოპოვებაზე. მაგრამ თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ის ვერ ხედავდა ამ იდეალის განხორციელების რეალურ გზებს და არც სვამდა ამ ამოცანას ერის წინაშე. ავტონომიის მისეული მოდელი იმდროისათვის ილიას ყველაზე მოზომილ სტატუსად მიაჩნდა, რომელიც თავისუფლად უნდა ჩამჯდარიყო რუსეთის ლიბერალების მიერ წამოყენებულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმების ჩარჩოში.

როგორც წინა პუბლიკაციაში აღვნიშნე, ილია ცდილობს მჭიდროდ დაუკავშირდეს რუსეთის კადეტების პარტიას, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პარტიას სახელმწიფო სათათბიროში ან დამფუძნებელ კრებაში არჩევნებში გამარჯვების ყველაზე რეალური შანსი ჰქონდა, არამედ, და, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს პროგრამა ძირითადში ახახავდა ი. ჭავჭავაძის კრედოს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებულ ავტონომიიდან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გადაქცევის გზაზე.

1905-1907 წლებში ილია არც „ავტონომიაზე რევოლუციურ“ იდეებს ქადაგებდა (ვ. აბაშმაძე), არც „უბრალო ლიბერალამდე ჩამოქვეითებულა“ (პ. რატიანი), ვერც „ლიბერალს“ მივაკუთვნებთ (გ. მამულია) ამ სიტყვის იმდროინდელი შაბლონური გაგებით, ეროვნულ-დემოკრატიული იდეალების მოტრფიალის ზოგადდემოკრატიული კრედო გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და თვითმყოფადია.

მაგრამ ილიას გეგმები ამაო აღმოჩნდა, ახალი პარტიის შემქმნელთა შორის განხეთქილებამ იჩინა თავი, ხოლო შემდგომ, ილიას სახელმწიფო საბჭოში არჩევის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ ავტონომიის ზომიერი მოთხოვნაც არა მარტო სახელმწიფო სათათბიროში ქართველ მენშევიკ დეპუტატთა წინააღმდეგობას აწყდებოდა, რასაც ილია ელოდა, არამედ, პირველ რიგში, კადეტების პარტიის ოპოზიციას.

ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრეობა უშრეტი წყაროა ქართველ მეცნიერთათვის, მაგრამ ამ საკითხების შესწავლისას ყოველი დასკვნა მრავალჯერ უნდა ავწონდავწონოთ. არ შეიძლება მოვექცეთ ფაქტების ზედაპირული მხგავსების გავლენის ქვეშ, გამოკვლევის დროს ყველა რგოლის შინაარსობრივ კავშირს უნდა ვეძებდეთ, ყოველი დეტალის გათვალისწინებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში მეცნიერული პოლემიკა სათანადო ნაყოფს გამოიღებს და ჭეშმარიტების დადგენამდე მიგვიყვანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



...ნოდარ დუმბაძე და გიგა ლორთქიფანიძე.



# ხასიათების გალერეა



ამ შემოქმედებით და ადამიანურ ურთიერთობას თავისი დასაბამი აქვს.

მწერალ ნოდარ დუმბაძის გმირები რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ გააცოცხლა სცენაზე და კინოეკრანზე. მათ შემოქმედებით დამოკიდებულებას წმინდა ადამიანური ურთიერთობა, თანხმობა ედო საფუძვლად. ნოდარ დუმბაძე აღარ არის, მაგრამ დარჩა მისი შემოქმედება, რომელიც დღესაც და მომავალშიც ხელოვანს, მკითხველსა თუ მაყურებელს დააფიქრებს — მის ნააზრევში ადამიანის ზნეობის, ქცევის, დანიშნულების პრობლემები, გარდუვალი ფასეულობებია.

ახალი მხატვრული ფილმი „თეთრი ბაირაღები“ ამის დასტურია.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ალიარებული მწერლის ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას. მათ შორის მოთხრობას „თეთრი ბაირაღები“.

რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ ამჯერად ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ კინოეკრანზე გადაიტანა. დასაფიქრებელი, გასახსენებელი ბევრია ფილმში. აქ ადამიანთა ერთი ჯგუფის ყოფა, მტკივნეული, ჯერაც მოუშუშებელი ჭრილობებია ნაჩვენები; ბრძნულად და ხალადაა წარმოდგენილი ადამიანური სისუსტე. რეჟისორი ზოგჯერ ლმობიერებას, სიმპათიასაც იჩენს ამ სისუსტის მიმართ, ზშირად კი, რაღა თქმა უნდა, კრიტიკულადაა განწყობილი. ფიზიკური თუ სულიერი, ზნეობრივი ნაკლოვანებები ტკივილს განგვაცდევინებს. ფილმში მკაფიოდ წარმოჩნდება ეს სატკივარი; ცოდვა, ბოროტება, გაუტანლობა, გულგრილობა, უნიათობა, დანაშაული, მომხვეჭელობა თითქოსდა ადამიანის გამოსასწორებლად დააწესა განგებამ. „ცოდვების“ ნუსხა კი აუარებელია ფილმში.

გიგა ლორთქიფანიძის მხატვრული ფილმი „თეთრი ბაირაღები“ ადამიანთა ხასიათების ერთგვარი კინოგალერეაა. მის კადრებში, სცენებში, ეპიზოდებში პიროვნების ინდივიდის ბუნება, ფსიქოლოგიური, ფიზიოპათოლოგიური წყობა წარმოჩნდება, მისი სოციალური, მოქალაქეობრივი მრწამსი და პორტრეტი, დანაშაული და მოწოდება. ფილმი თავისი მხატვრულ-აზრობრივი, პლასტიკური გადაწყვეტით კამერულია — ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ფილმის სიუჟეტი, დრამატურგია კამერული, ლოკალური ხასიათისაა. მოქმედება ძირითადად ციხის საკანში ხდება. ოთხკედელშუა გამომწყვდეული „ბინადარნი“ ერთმანეთს ულრენენ, გამჩენს წყევლიან. ეზოპეს ენით ნათქვამი ქვეტექსტი ზოგჯერ თვალშისაცემია.

ფილმი „თეთრი ბაირაღები“ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე შემოქმედებით გაერთიანებაში შეიქმნა. სცენარის ავტორია გიგა ლორთქიფანიძე, დამდგმელი ოპერატორი ლევან ნამგალაშვილი, დამდგმელი მხატვარი კახი ხუციშვილი, კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე.

ფილმში რამდენი როლი, რამდენი მსახიობიცაა, იმდენი შესანიშნავი სახეა. თავად განსაჯეთ: რამაზ ჩხიკვაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურამ ფირცხალავა, ლეო ანთაძე, გივი ბერიკაშვილი, გია ბურჯანაძე... ციხის საკანში რამდენიმე ცხოვრებაგაბზარული პატიმარია — ზაზა და ლიმონა, შოშია და ტიგრანა... სულ რამდენიმე კაცი. ისინი — ისევე, როგორც ცხოვრებაში, — ძნელად თანხმდებიან, დავობენ, ერთმანეთს ასამართლებენ, ადანაშაულებენ, ლანძღვა-გინებაში იხარჯებიან. საქმე ზოგჯერ „ყოფნა-არყოფნამდე“ მიდის, მაგრამ ქვეცნობიერად, უფრო გონების კარნახით, ისინი აშკარად პატივს მიაგებენ ერთმანეთის რჯულსა და კაცობას. გრძნობენ, „მუჭში“ უნდა მოიშორონ და ერთად იყვნენ. ასეა მოწყობილი ეს ქვეყანა, — ბოლოს და ბოლოს, დგება ჟამი ვალის გადახდისა, ადრე თუ გვიან „მოვალე“ მაინც მოგაკითხავს. თითოეული მათგანი იმასაც კარგად გრძნობს, რომ თეთრი ბაირაღების გამოფენა — ფარ-ხმლის დაყრა, კაპიტულაცია, — ნაადრევია და რომ ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა სიმხდალეა, სხვა არაფერი. ტემპერამენტით, სხვა თვისებებით განსხვავდება ერთმანეთისაგან; მაგრამ ისინი ადამიანები არიან. ცხოვრება ადასტურებს, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ადამიანს გონება ებინდება და ზანდაზან ჩვენი საქციელიც აქედან იღებს სათავეს.

დღეს ბევრს ნიშნავს შენი საქმის პროფესიონალი იყო. მაგრამ უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია იყო ზნეობრივი მოქალაქე, პიროვნება. შემოქმედი, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე თავის პროფესიულ მისწრაფებას ზოგად ეროვნულ, სოციალურ მოთხოვნებს, მხატვრულად რთულად გადასაწყვეტ პრობლემებს უკავშირებს იმ იმედით, რომ მაყურებელი გაუგებს მას.

თანამედროვე კინოხელოვნებაში ეძებენ მაყურებელთან ფორმით და მნიშვნელობით ახალ დამოკიდებულებას. მიზანი თავისი არსით ნათელი და კეთილშობილური — მსოფლმხედველობითი დიაპაზონის გაზრდა, ახალი ღირებულებების დამკვიდრება, სულიერი, ზნეობრივი წანამძღვრების წარმოჩენაა.

მაყურებლის სამსჯავროზე წარმოდგენილი მხატვრული ფილმის „თეთრი ბაირაღების“ მთავარი გმირი სიმართლეა. რეჟისორს ჰყოფნის მოქალაქეობრივი, პროფესიული სითამამე ეკრანზე სიმართლე თქვას, ადამიანის წუხილი გვაჩვენოს. სინამდვილისადმი ამგვარი გულწრფელი გამოკიდებულება, უკეთეს მომავლის განსაზღვრის უტყუარი გზაა. ფილმში ცალკეულ სუბიექტთა წარსული თუ თანამედროვე ყოფა ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პროცესებს, მართლმსაჯულებას უკავშირდება. რეჟისორი ხმამაღლა ამბობს სათქმელს — იგი შეშფოთებულია და საზოგადოების გარკვეული ნაწილის გარკვეული ჯგუფის ბოროტების, დანაშაულის, ძარცვა-გლეჯის, მკვლელობის წინააღმდეგაა განწყობილი. რეჟისორი ფილმში შეუბოჭავი და თავისუფალია.

მასალის სპეციფიკურობით გაპირობებული შეზღუდული სივრცის მიუხედავად, რეჟისორი სათქმელს გადმოსცემს სულიერი ექსპრესიით, უშელავათოდ. ამავე დროს, ფილმის მთავარი იდეის განაცხადში ცხოვრების სიბრძნე და ენერგია, სიკეთის გამარჯვების სტრატეგია იკითხება. რეჟისორს თავადაც სჯერა და ჩვენც, მაყურებელსაც გვარწმუნებს რომ ბოროტების, ძალადობის დანაშაულის მიმართ შემწყნარებლობა, პასიურობა, სხვა თუ არაფერი, ადამიანურობის, სიკეთის ღალატია. მას ღალატი არ სურს. ღალატი რა სათქმელია, აქტიურად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ დამბლას, რასაც ფილმში აღწერილი კოლიზიები ადასტურებს.

უყურებ ფილმს და ფიქრობ — როგორ მოვიქცეთ? რა ვილონოთ?! ვიჯდეთ და ვუმზიროთ, ვისმინოთ, ფილმის პერსონაჟები როგორ იქცევიან, რას გვეუბნებიან?! ისინი ხომ სასიკეთოს ნაკლებად გვთავაზობენ. ესეც რეჟისორის მხატვრულ-შემოქმედებითი ხერხია — უარყოფითის ჩვენებით პოზიტიურის დამკვიდრება. პასუხი ერთია- ფილმის ნახვის შემდეგ, საკუთარი საფიქრალი უნდა გამოვიტანოთ, მოქმედება, სავალი გზა დავსახოთ, პატიოსნებას გავუფრთხილდეთ და ვემსახუროთ.

მოქმედ პირთა დიალოგებში, საქციელში აქტუალური, ეროვნული, პოლიტიკური, სოციალური, ზნეობრივი პრობლემებია წარმოდგენილი, რომელთაც გარკვეულწილად შესწევთ უნარი, გავლენა მოახდინონ ჩვენს ყოფაზე, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, მის სახეცვლილებებზე. ფილმის კვლევის მთავარი ობიექტი ადამიანია, — მისი წუხილი და მოწოდება.

კინორეჟისორობა მოვალეობაა, რეჟისორი აწმყოს და მყობადს განჭვრეტს, ადამიანისა და გარემოს ურთიერთობებს იკვლევს. ამ ფილმში გიგა ლორთქიფანიძე ჩვენი თანამედროვეობის ყურადსაღები პრობლემებით წარმოგვიდგა, ჩასწვდა და გაამჟღავნა მხატვრული კინოხელოვნების გამომსახველობითი ბუნება და შესაძლებლობები. მოხდა თეატრალური ხელოვნების და კინოხელოვნების — უძველესი და შედარებით ახალი მუზების ერთგვარი სინთეზი, რამაც კულტურა, პეწი შესძინა ფილმს.

გვჯერა, რომ მხატვრული ფილმი „თეთრი ბაირაღები“ მაყურებელს სასიკეთო მეგზურობას გაუწევს ჩვენს რთულ დროში. ფილმში ლაპარაკია ცხოვრების მნიშვნელობაზე, მის განუმეორებლობაზე, სიცოცხლეზე, რომლის ხელყოფა უსასტიკესი დანაშაულია ღვთისა და კაცის წინაშე. ამ უდიდეს სიმდიდრეს დაფასება, გაფრთხილება, დაცვა უნდა. რა ხდება ჩვენს ირგვლივ? სტიქიური უბედურებები, ცრემლი, ანგარება, მომხვეჭელობა, კაცთმოძულეობა, — აი ჩვენი დღევანდელი სინამდვილე. სადაა ხსნა? გონიერება, კაცთმოყვარეობა, ქველმოქმედება უნდა იყოს ჩვენი თანამგზავრი, სხვანაირად გადავშენდებით.

ფილმში კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის მუსიკალური თანხლება შთამბეჭდავი, გულშიჩამწვდომია-მეთქი, რომ ვთქვა, ცოტა იქნება, მუსიკის მთავარი თემა წუთისოფელში ადამიანის მუდმივი მეგზური — სევდა და ნოსტალგია, ტკივილი და იმედის სხივია.

ფილმში „თეთრი ბაირაღები“ საგულისხმო დებიუტი შედგა. მთავარი გმირის ზაზას როლი ახალგაზრდა მსახიობმა გიორგი ხობუამ განასახიერა. იგი ზაზას როლს კი არ თამაშობს, რეალურად ცხოვრობს: ჭაჟკაცურად, ოსტატურად აუბა [illegible]არი ცნობილ, გამოცდილ მსახიობებს.

შეკითხვაზე, რაში გამოიხატება „თეთრი ბაირაღების“ კინოვერსიის დღევანდელი აუცილებლობა, მისი მთავარი არსი და დანიშნულება, გიგა ლორთქიფანიძე პასუხობს — კონკრეტულ ადამიანთა ხასიათებში საზოგადოების, ერის სულიერ-ზნეობრივი ენერგია ბუდობს. ჩვენ ყველამ ერთად და ცალ-ცალკე უნდა გადავარჩინოთ ცხოვრება ქურდ-ბაცაცებისაგან, ბოროტმოქმედებისაგან, მკვლელებისაგან, ნაძირალებისაგან; ვიხსნათ თავი და ამდენად ქვეყანა. „ციხის კედლის“ რომელ მხარესაც არ უნდა ვიყოთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ეს. მხატვრული თვალთახედვა, თეატრი, კინო სულ უფრო და უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს, ვიდრე, ვთქვათ, მშრალი, ამდენად ძნელად აღსაქმელი ოფიციალური იდეოლოგია-პოლიტიკა. ჩვენ — თანამედროვეობაში მცხოვრები თაობები, ვალდებულნი, მოწოდებულნი ვართ, ვიხსნათ სულები პატიმრობისაგან. „საკანში“ მომწყვდეული სული ავადმყოფია. ხელოვნებას, რელიგიას შეუძლია იხსნას სული, სიკეთე აზიაროს, განწმინდოს, მონანიება შეაძლებინოს. ადამიანის სატკივარის, უბედურების გაზიარება, თანაგრძნობა — უკეთილშობილეს მოწოდებად რჩება...

ამჯერად ნოდარ დუმბაძის და გიგა ლორთქიფანიძის ახალ მხატვრულ ფილმს — „თეთრ ბაირალებს“ გთავაზობთ.

კიდევ ერთი მოგონება — დაკარგული მეგობრის, ჭეშმარიტი მწერლის, სანიმუშო ქართველისა და უანგარო მამულიშვილის ხსოვნისათვის.

კიდევ ერთი შეხვედრა გველის ახალ ქართულ მხატვრულ ფილმთან.

ავთანდილ გველესიანი





# შავი ბედისწერის გვმართებს

ახლახანს გამომცემლობა „განათლებამ" გამოსცა საინტერესო წიგნი — სკოლის დამხმარე სახელმძღვანელო V კლასისათვის — „ჩვენი სამშობლოს მატიანე", რომლის რედაქტორებიც არიან პროფესორი ლევან სანიკიძე, პროფესორი როინ მეტრეველი და პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. მახარაძე. მოსწავლე წიგნში ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობა საქართველოს კულტურისა და წარსულის შესახებ.

სამწუხაროა, რომ პოეტ ლიდა მგალობლიშვილის („იმერელი ქალის") ლექსი — „ამას ამბობდა ქართველი, სპარსეთში დატყვევებული" — წიგნში შეტანილია, როგორც ხალხური ლექსი, თან დამახინჯებულად („ამას ამბობდა სპარსეთში დატყვევებული ქართველი..."), განსაკუთრებული ხაზგასმითა და კომენტარით — „ბავშვებო, წაიკითხეთ ხალხური ლექსი".

სავსებით გამართლებულია, ასეთი პატრიოტული ლექსის ამ კრებულში მოთავსება, მაგრამ მისი წარმოდგენა საჭირო იყო იმგვარი სახით, როგორც შექმნა პოეტმა:

ამას ამბობდა ქართველი,
სპარსეთში დატყვევებული,
რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,
მე არ გავხდები სპარსელი!
ხეზე მიმაკრან, გარს ცეცხლი
დამინთონ, ჩუმად ვიწოდე,
იქიდან ვეტყვი ჩემს მტარვალს,
მე ქართველი ვარ, იცოდე!
რა უყოთ ისეთ ქართველსა,
ვის ტანჯვა გასძნელებია,
ქეთევან, შალვა, დიმიტრი,
ბიძინა დავიწყებია.
ანდა ისეთსა, რომელსაც
დიდება გაჰკვირვებია
და სააკაძე გიორგი
ერთხელ არ მოჰგონებია;
არა, ასეთ შვილს არ შობდა
ჩემს სამშობლოში ქართველი.
და თუ წარმოშვა, ის არის
იუდა ისკარიოტელი.

„სპარსეთში დატყვევებული" მთელ საქართველოში საკმაოდ პოპულარული, გავრცელებული ლექსია.

1960 წელს ლიდა მგალობლიშვილის („იმერელი ქალის") პირველი კრებული გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა". 1980 წელს მანვე კვლავ გამოსცა პოეტის ლექსების პატარა კრებული. პოეტის ამ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით მრავალი წერილი და რეცენზია დაიბეჭდა პრესაში: გაზეთებში „კომუნისტში", „ლიტერატურულ საქართველოში", „ახალგაზრდა კომუნისტში", „ვეჩერნი ტბილისში", „ზარია ვოსტოკაში", ჟურნალებში „საქართველოს ქალში", „ეჭოში"; ხოლო 1976 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ გამოცემულ წიგნში „ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები". 1987 წელს გამომცემლობა „მერანმა" წიგნი რუსულ ენაზე გამოსცა — აქ იბეჭდება მონოგრაფიული ნარკვევი „იმერელი ქალის" — ლიდა მგალობლიშვილის შესახებ. აქვე წარმოდგენილია პოეტის ცნობილი ლექსები: „სპარსეთში დატყვევებული", „ღამე, ღამე..." „აღარ მყავს ღმერთი" და სხვა ლექსები, რომლებიც რუსულ ენაზე თარგმნა ცნობილმა პოეტმა და მთარგმნელმა ვლადიმერ ლეონოვიჩმა. სხვათაშორის, ლიდა მგალობლიშვილის რამდენიმე ლექსი რუსულ ენაზე შეტანილია თვით ვ. ლეონოვიჩის ლექსების კრებულში, მისი თარგმანების სახით.

როგორ მოხდა, რომ „იმერელი ქალის" ცნობილი ლექსი — „ამას ამბობდა ქართველი, სპარსეთში დატყვევებული..." რომლის შესახებ ამდენი დაიწერა, ამდენი ითქვა პრესაში, ხალხურ ლექსად გამოვაცხადეთ, თან ტექსტიც შევცვალეთ და დავამახინჯეთ?!

**ნინო ჩიხლაძე**

**სურათზე:** გიორგი ქავთარაძე, ნელი კანდელაკი, შალვა დემეტრაძე, ნინო ჩიხლაძე, ზურაბ მგალობლიშვილი, შალვა აფხაიძე, მორის ფოცხიშვილი, ბიძინა მგალობლიშვილი ლევან გოთუა, ლიდა მგალობლიშვილი, ირაკლი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი.

# წიგნი გამოიცა „საბჭოთა საქართველოსთან" ერთად

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ გამოვიდა ნარკვევებისა და სხვა დოკუმენტური მასალების კრებული „9 აპრილი". ინფორმაციაში შეცდომა გაიპარა — წიგნი გამოსცა არა მარტო „მერანმა", არამედ ორმა გამომცემლობამ: „მერანმა" და „საბჭოთა საქართველომ". ასე რომ, წიგნის თავფურცელზე აღნიშნულ საქველმოქმედო სამას ათას მანეთს ეს ორი გამომცემლობა ერთობლივად გადარიცხავს.

ამასთან, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ხელმძღვანელობამ გვაცნობა, რომ წიგნის ერთ-ერთი შემდგენელი არის ამ გამომცემლობის რედაქციის გამგე ლეილა ნანიტაშვილიც. მისი გვარი, გამომცემელთა უყურადღებობის გამო, გამორჩენილია.

# მოწამეთა

გამოვიდა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის სადროშოს ყოველთვიური გაზეთის „მოწამეთას" პირველი ნომერი, რომლის მუდმივი დევიზი იქნება დიდი აკაკის უკვდავი ფიცი: „არც მწამებია, არცა მწამს შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!" პირველ გვერდს ამშვენებს ჯემალ ფხალაძის ფოტოსურათი „მოწამეთა".

გაზეთში გამოქვეყნებული მასალებიდან აღსანიშნავია რეზო ჰეიშვილის მოგონებები „მეზონინიანი სახლი" და „როგორ გავანებე სიგარეტს თავი", ოტია იოსელიანის პუბლიცისტური წერილი „ასი თვალი, ასი ყური", პროფესორ ერიხ ობსტის გეოპოლიტიკური ნარკვევი „საქართველო", რომელიც 1924 წელს გამოქვეყნდა ცნობილ გერმანულ კრებულში „ცაიტ შრიფტ ფიურ გეოპოლიტიკში" (ამ მასალის ფოტოასლი რედაქციას მოაწოდა გამოჩენილმა ქართველოლოგმა, დოქტორმა რუთ ნოიკომმა), ზაირა სამხარაძის „წერილი ბუქარესტიდან", გია ბენიძის „ვის ჰირდება მწერალთა კავშირი?" თემურ აბულაძის „ოღონდ არა ბაღდადი", გონერი ჰეიშვილის მოთხრობა „ლუბა, ლია, ლელა, ლალი, ლევანი და ჰიჰიკო" (დასაწყისი), ეთერ ნაცვლიშვილისა და თედო მესხიშვილის „მსხვერპლი", „სისხლის წვიმები" (ბოლშევიკური რუსეთის მონობისაგან საქართველოს, ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის 1924 წლის აჯანყების მასალები, პუბლიკაცია მოამზადა ელგუჯა თავბერიძემ), „აი, რა გამოგზავნეს" (ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელი მორიგი აფხაზური დოკუმენტი), „სიტყვა ადვილია, საქმე ძნელი" (ავტოქარხნის გენერალური დირექტორის რეზო ჰეიშვილის საუბარი გაზეთის კორესპონდენტთან), ავთანდილ ყურაშვილის პუბლიცისტური ნარკვევი „რკინის ფელი" (წაკითხულია მიტინგზე 1989 წლის 15 სექტემბერს), ე. თ.-ს „ილაპარაკეთ, გევედრებით... ოღონდ ქართულად...". ჯემალ ფხაკაძის „იამზე ციხის ნაშალო..." თორნიკე ერისთავის „სისხლი" და სხვა.

გაცნობებთ „მოწამეთას" პირველ ნომერში გამოქვეყნებულ ზოგიერთ განცხადებასა და ინფორმაციას:

„მილოცვა": „ჩვენს ხალხს ვულოცავთ დამოუკიდებელი ეროვნული საფეხბურთო ფედერაციის შექმნას, ამ წლიდან ეროვნული ჩემპიონატების ჩატარების დაკანონებას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ეროვნული სუვერენიტეტისკენ მიმავალ გზაზე.

კეთილად დაბედებოდეს საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში".

„შაუმიანის ქუჩის იმ მონაკვეთს, სადაც ძირითადად ქართველი ებრაელები ცხოვრობენ, სახელწოდება შეეცვალა, დაერქვა „ვეფხისტყაოსნის" ებრაულ ენაზე უბადლო მთარგმნელის ბორის გაპონოვის სახელი. ამ ქუჩის მეორე ნახევარს, რომელიც ძირითადად ქართველებით არის დასახლებული, კვლავ ძველი „შაუმიანის" სახელი დარჩა. ეს გვარი საერთოდ არაფერს ეუბნება არც ქუთაისს და მით უმეტეს ისტორიულად ცნობილ მწვანეყვავილას უბანს. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, გვიშუამდგომლოთ ქალაქის ხელმძღვანელობის წინაშე, რათა შაუმიანის ქუჩის ამ ნაწილს დაერქვას მწვანეყვავილას სახელი.

შაუმიანის ქუჩის მცხოვრებლები.

ხელს აწერს 17 კაცი".

„რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებაში უამრავი ასეთი განცხადება შემოდის. მართლაც, შესაცვლელია ქალაქის ქუჩის სახელწოდებათა უმეტესი ნაწილი ლიბკნეხტის, კიროვაბადის, მედვედოვსკის, ლენინის, ძერჟინსკის, ფრუნზეს, ბოგდანოვკის, ქალაქში გვაქვს წულუკიძის სახელობის სკვერი, ძეგლი, სახლ-მუზეუმი, ლენინისა და ლაკობას სახელობის ქარხნები... ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული ამა თუ იმ სახელწოდების შეცვლის საკითხი, მაგრამ არც აჩქარება ივარგებს. აუცილებელია ძველი ტოპონიმების გათვალისწინებაც, ქარვასლა, გეგუთი და უამრავი სხვა ძველი სახელწოდება აღსადგენი და გასაახლებელია".

„რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება და არქიტექტორთა კავშირი აპირებენ გამოაცხადონ კონკურსი უდანაშაულოდ დაღუპულთა მემორიალის ასაგებად. ადგილი — საღორიის ტყე. თუ არის ცოცხალი მხვრეტელი, ან ამ ხოცვა-ჟლეტის რომელიმე მონაწილე, გთხოვთ, ანონიმურად (ხელმოუწერლად) მიგვანიშნოთ, სად ხვრეტდნენ ხალხს. ამით მათ ცოდვაც შეუმსუბუქდებათ და ჩვენც გაგვიადვილდება ადგილის დადგენა".

„ვინ დახვდება ტანკს": იანვრის აქციების დროს ათასობით ქართველი თბილისში სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრთა ჩამოსვლას და მათთან დიალოგს მოითხოვდა, ერთ-ერთ საღამოს ტელევიზიით გამოვიდა ბ-ნი გივი გუმბარიძე და თქვა, თუ თბილისში ტანკი შემოვიდა, იცოდეთ, პირველი მე დავხვდებიო. არადა, პბ წევრთა, ნორმალური, სუფთად ჩაცმული და ჰალსტუხიანი კაცების ჩამოსვლას ვითხოვდით, ტანკი არ გვითხოვია.

დამოუკიდებლობისათვის მხოლოდ პარლამენტური მეთოდებით ბრძოლა ვის არ მოეწონება, მაგრამ რა ვქნათ, ბატონო გივი, რომელ ენაზე ველაპარაკოთ იმ სახელმწიფოს, რომელსაც კაცს მოთხოვ და კაცის მაგივრად, შეუძლია ტანკი გამოგიგზავნოს?"

პასუხისმგებელნი „მოწამეთას" გამოშვებისათვის: რეზო ჰეიშვილი, ავთანდილ ყურაშვილი, ტრისტან ჯანხოთელი, ჯემალ ფხალაძე, გონერი ჰეიშვილი, თემურ აბულაძე, ელგუჯა თავბერიძე და თორნიკე ერისთავი.

# მეგობრის ხსოვნას

ქართველ მწერლებს კიდევ ერთი მეგობარი გამოგვაკლდა უეცრად და უდროოდ. ვახტანგ ფიფიას ყველა მაღალი ტიტული — დოქტორისაც, პროფესორისაც, აკადემიკოსისაც — დასტაქრობით ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ მისი ინტერესების სფერო მხოლოდ მედიცინით როდი იყო შემოფარგლული, ბევრ ჰუმანიტარს არ დაუდებდა ტოლს ქართული ლიტერატურის და ხელოვნების, საქართველოს ისტორიის ცოდნასა, სიყვარულსა და ერთგულებაში. აქ დიდად გასაკვირი არაფერია. ჩვენდა საბედნიეროდ, ეროვნული კულტურა ნებისმიერი პროფესიის ქართველი კაცისთვის უძვირფასესი რამაა და მისი ცოდნა არც არავისაგან უნდა გვიკვირდეს. ვახტანგ ფიფია მაინც გვაკვირვებდა, რადგან მისი ამგვარი განათლებაც და ინტერესიც თავისი საფუძვლიანობით მოყვარულობას სცილდებოდა და პროფესიონალობას ემსგავსებოდა.

ჩვენ, ვისაც ბავშვობიდან გვახსოვს ვახტანგი, კარგად ვიცით მისი ნიჭის მრავალმხრივობა, არც იმაში გვეპარება ეჭვი, რომ მისგან მშვენიერი ლიტერატორი (თუ მწერალი არა) დადგებოდა, მაგრამ ჩვენი სკოლის დროის ბრწყინვალე პედაგოგის, ქართულის შეუდარებელი მასწავლებლის ვარო ვარდიაშვილის გავლენას ამ შემთხვევაში მაინც ოჯახურმა ტრადიციამ სძლია და ვახტანგიც სახელგანთქმული მამის, საყოველთაოდ ცნობილი ქირურგის ენატე ფიფიას გზას გაჰყვა. გაჰყვა და სახელოვნადაც იარა ამ გზაზე. თან მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, სადაც არ უნდა ყოფილიყო, სამშობლოში თუ სამშობლოს გარეთ (მან არაერთი წელი დაჰყო რუსეთში სასწავლებლად და სამოღვაწეოდ), ერთგულად ატარა სიყვარული ყოველივე ქართულისადმი, უპირველესად კი — ქართული ენისადმი, მწერლობისადმი, კულტურისადმი.

ვახტანგ ფიფიას ეროვნული გრძნობით დაღლილი გული განსაკუთრებით მკაფიოდ 9 აპრილის ტრაგიკულ ვითარებაში გამოჩნდა.

ამ ცოტა ხნის წინ ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს. ამით დიდი ნდობა გამოუცხადეს, დიდი პატივი მიაგეს. აღტაცებული და ბედნიერი იყო. ახალგაზრდობას ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი, — ხშირად იმეორებდა. არ დასცალდა. რას იზამ, როგორც იტყვიან, ასეთი იყო ღვთის ნება.

ჩვენ ახლა დაგვრჩენია, შევინახოთ მისი ხსოვნა, ვახტანგ ფიფიამ ეს სავსებით დაიმსახურა.

**ზურაბ გვერდწითელი, არჩილ სულაკაური, სარგის ცაიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე.**


**რედაქტორთა საბჭო.**

სარედაქციო კოლეგია: **თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე** (მთავარი რედაქტორი)

პასუხისმგებელი მდივანი **გივი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი **ნინო ქაჯაია.**



**რედაქციის მისამართი:** 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

**ტელეფონები:**

მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-87-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-83; 99-08-65.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 18 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ფასი 20 კაპ.